

ლიტერატურული გზეუტი

№56 12 აგვისტო - 1 სექტემბერი 2011

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ტარიელ ჭანტურია

ვიკილექსი

II-III

ანდრო ბუაჩიძე

გამოღვიძება

IV-V

ლაშა იმედაშვილი


ქართული მანონი

VI-VII

დავით ქართველიშვილი

მოცემულობა

X-XI



პოკერი — ანდერგრაუნდის სივრცე...

იმ ირჩეოდა, თუ ირჩეოდა, ტოტალური რეჟიმის ჩათვალა... მხატვრობის, თეატრის, კინოს ავტორები! ავიდა კარგი ადამიანები თქმა! საქართველოს მტერი და მოყვარე! იქ, იმ წლებში ვერ ნახავდით აგენტს, გამცემს, მოლატეს!

სწორედ ამ პრინციპით იყო შედგენილი ეს „პულკები“ — მოთამაშეთა ზუთულები (თავისი „სათადარიგოებით“, ცხადია...). იქ კომუნისტებიც იყვნენ, ოღონდ — არაკომუნისტი კომუნისტები — მონანიე კომუნისტები. ვფიქრობ, საჭირო არაა განმარტება, რა მონანიეებზეა საუბარი!

წაკითხული აქვს ცრუჟურნალისტს მურმან ლებანიძის მოთხრობა „დიდი პულკა“? — არ დაიჯეროთ! ან ან თემაზე — პოკერის თემაზე სმენია ან იცის რამე? მეტი არაა ჩემი მტერი! მან იცის, როგორ გადაავსოს გაზეთი ნავით, როგორ დაამინოს მისნარი უფიცები და როგორ გაიჩინოს მომხრეები უფიცების მეორე ნაწილში!

მერედა, ეკადრება ეს გაზეთს? მის მეპატრონეს? რა გაუჭირდათ ასეთი, სავსეა საქართველო მაღალნიჭიერი ჟურნალისტებით, ნამდვილი ინტელექტუალებით!

რა გახდა ორი-სამი ასეთი ჟურნალისტის გადაბირება! სანამ უნდა უტეხდნენ უნიჭო აფერისტები სახელს გაზეთს, რომელსაც სულ იოლად შეუძლია, მართალი გაზეთის რეპუტაცია მოიპოვოს! ნუთუ არ უფიქრიათ ამაზე! რაღაც საკითხს, თემას, პრობლემას რომ ეხება გაზეთი, ნუთუ მისი კომპეტენცია უნდა ნულის ტოლი იყოს! არ უნდა შეისწავლოს ის თემა, ის პრობლემა საფუძვლიანად? უსაბუთო ლანძღვა-გინება ან ასევე უსაბუთო ქება-დიდება ჟურნალისტთა? ულოგიკო, უაზრო და უსამართლო ლანძღვა-გინება და ამგვარივე უსაფუძვლო ქება-დიდება!

პოპო ლუდენს — მოთამაშე კაცი! — ეს შესიტყვება იცის ყველამ, ვისაც კულტუროლოგიისკენ ნუთით მაინც გაუპარებია თვალი!

გონიერი, ნამდვილი კულტუროლოგისთვის პოპო — თამაშია, და პოპიც მოთამაშე კაცია — პოპო ლუდენს!

არის თუ არა თამაში — ვთქვათ, პოკერი — პოლიტიკა! რა თქმა უნდა, არის! უფრო სწორედ, პოკერი არის, ასე ვთქვათ, მინუს-პოლიტიკა! — ვინც პოკერს თამაშობს, იმას შენი პოლიტიკა ფეხებზე კიდია, და არა მარტო ფეხებზე, სხვათა შორის! ვინც არ თამაშობს, ის პოლიტიკაში მიძვრება და იქ თამაშობს! კომუნისტების დროს წმინდა ომი იყო გამოცხადებული პოკერისტების წინააღმდეგ. რამდენჯერ აჩვენეს ტელევიზიით დამანახველები — მოთამაშე ხალხი! არ მინდა ახლა იმათი გვარების ჩამოთვლა! ხშირად წაკითხავდით ან მოისმენდით მოთამაშეების — შულერების, კარტოჟინიკების, ყომარბაზების ლანძღვა-გინებას! ინერციით, სხვათა შორის, ეს დღესაც გრძელდება! მაგალითად, მურმან ლებანიძე და მასთან ერთად მე ადამიანებმა, რომელთაც რუსთაველის ან სახელმწიფო პრემიები ვერ მიიღეს, არაერთხელ გაგვლანძღეს პრემიათა თუ ტელევიზიით. ეპითეტები ზემოთ გაგაცანით: შულერები, კარტოჟინიკები, ყომარბაზები...

ეს ეპითეტები სხვადასხვა დროს ბევრჯერ იხმარა ერთმა ცრუჟურნალისტმა! ნანერის მიხედვით თუ გამოვიტანთ დასკვნას, ცრუჟურნალისტი ნამდვილი ავადმყოფია, ოღონდ, ეტყობა, ავადმყოფობა ქრონიკულში გადაუვიდა და მის სიცოცხლეს, მისი დამკვეთების გულის გასახარად, საფრთხე უკვე აღარ ემუქრება — კიდევ დიდხანს შეძლებს მსგავსი დავალებების შესრულებას.

მართლა ჟურნალისტი რომ იყოს უხსენებელი პასკვილანტი, ყველაფერს, რასაც წერს, პირიქით იტყობა, ვთქვათ, ასე: როცა მურმან ლებანიძისა და ტარიელ ჭანტურას კოლეგების ერთი ნაწილი ხან — ცეკას პლენუმზე იჯდა, ხან — ტეკას ბიუროს სხდომაზე, ხან — კაგებოლი და ხან სად და ხან სად, ეს ხალხი — ცნობილი ქართველი მწერლების, მხატვრების, მსახიობების, მუსიკოსების ერთი უკეთესი ნაწილი, შემოქმედებითი შრომისაგან გადაღლილები, ისხდნენ ერთად და პოკერის თამაშით იტყვიდნენ თავსო! მერე დასკვნის გაკეთებასაც შეძლებდა ალბათ ბატონი ცრუჟურნალისტი: რა ჯობს — ცეკას და ტეკას ბიუროებზე ჯდომა, კაკეტანთან თანამშრომლობა? თუ — ძმაცეკან და კოლეგასთან პოკერის თამაში — ცრუჟურნალისტის ლექსიკას თუ გამოვიყენებთ — კარტოჟინიკობა, ყომარბაზობა, შულერობა!

აი, ასე უნდა ფიქრობდეს და წერდეს ნამდვილი ჟურნალისტი, მაგრამ ამისთვის ერთი აუცილებელი პირობაა საჭირო: ის უნდა ნამდვილი ჟურნალისტი იყოს!

აქვს კი ცრუჟურნალისტის ფაქტიკურობა აზრი? — არა, არა აქვს! ხომ ვერ შეიცვლება ასე იოლი რომ იყოს კაცის შეცვლა, მაშინ ჰიტლერი გახდებოდა ვან გოგი (ხატვა უყვარდა, მოგესხენებათ), ლენინი

— პასტერნაკი (შურდა პოეტების), პუტინი კიდევ — სტალინი... არ გამოვა ეს საქმე, და ყველაფერი, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, იქნება ძველებურად: ცრუჟურნალისტი სულ იქნება ცრუჟურნალისტი, და მეც სულ ვიქნები ის, ვინცა ვარ!

პოკერს თამაშობდნენ: რეზო თაბუკაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, მურმან ლებანიძე, პიკო ნიჟარაძე, ოთარ ჭილაძე, არჩილ სულაკაური, გურამ ასათიანი, გოგი თოფაძე, ოთარ ლითანიშვილი (უფროსი), ვალიკო კვაჭაძე, გურამ სალარაძე, სოსო ლალიძე, რეზო მაღალაშვილი, მურმან ჯგუბურია, რეზო ამამუკელი, გურამ ლორთქიფანიძე (ლორთქია), გურამ გომართელი (კოია), გურამ ბარნოვი, რეზო ჭიჭინაძე, ბიჭიკო ბარნაბიშვილი, კარლო ლლონტი, ანზორ სალუ-

ტარიელ ჭანტურია



პიკილქასი

ქვადე, ნოდარ მანაგაძე, გიული ჭობონელი, საშა მანუკაძე, ტიტო კალატოზიშვილი, გედი ჭყონია, ლევან ჭელიძე, ედიშერ ყიფიანი, ჯემალ ლოლუა, ჯარჯი ფხოველი, გურამ სხირტლაძე, ბუხუტი გურგენიძე, რეზო ჭეიშვილი, ზაურ ბოლქვაძე, გიზო გაბესკირია, თენგიზ მდივანი, გია მურდულია, ნუგზარ შატაიძე, ელდარ კერძევაძე, ოთარ ჩიჯავაძე, თამაზ ტყემალაძე...

ბარემ ჩვენი ვირტუალური პარტნიორებიც ვახსენოთ — იგივე ილია, იგივე აკაკი, პუშკინი, დოსტოვესკი, მაიაკოვსკი, ხულოი კორტასარი, ჯერომ სელინჯერი... ეს უკანასკნელი, სწორედ მაშინ, როცა თავისი განუმეორებელი შედევრისთვის მიიღო არნახული ჰონორარი — 62 მლნ. დოლარი, საერთოდ გამოურდა ცხოვრებას, ჩაიკეტა თავისთვის და მიწებდა ნირვანაზე ფიქრს. ერთი გამოჩინების დაუშვა მხოლოდ — კვირაში ერთხელ თავისი ჩაკეტილი სასახლიდან გადიოდა პოკერის სათამაშოდ!

ყველა ესენი, ვისი ნაჩქარევი სიაც ხელა გაგაცანით, არიან, რა თქმა უნდა, შულერები, აფერისტები, კარტოჟინიკები, საზიზღარი ფუქსავატი ადამიანები!

ცრუჟურნალისტზე აღარაფერს ვიტყვი! ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს კი ვუსურვებ, მიეღწიოთ აქ ჩამოთვლილი ადამიანების სიმალეებისათვის და, როცა დიდ და სერიოზულ საქმეებს მორჩებიან, ეთამაშოთ, ეთამაშოთ ბევრი, ეთამაშოთ სიკვდილის ბოლო ნუთებამდე!

აი, ამათგან, ამ შულერებისაგან, ამ ფუქსავატი ადამიანებისაგან ვისწავლეთ ჩვენ ეს მანკიერი საქმე!

როგორც ჩანს, პოპო ლუდენს — ეს უცნაური ფენომენი — გადახედვას საჭიროებს! ეს საქმე, წესით, ცრუჟურნალისტს არ უნდა გაუჭირდეს!

ფუსურვებ ნარმატებას!

პოსტსკრიპტუმ პო, მართლა, მავინყდობდა: პოკერს არ თამაშობდნენ შოთა ნიშნიანიძე, მურმან მაჭავარიანი, მორის ფოცხიშვილი, გრიგოლ აბაშიძე, რომან მიმინოშვილი, თენგიზ ბუაჩიძე, რევაზ ჯაფარიძე, ბესო ჟღენტი, ხუტა ბერულავა, ოტია იოსელიანი, ელვაჯა მალრაძე, გიორგი მერკვილაძე, კარლო კალაძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, გურამ ფანჯიკიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ჯანსუღ ლეინჯილია, გიორგი ციციშვილი, ვახტანგ ჭელიძე, გიორგი ჯიბლაძე...

მოგვიანებით ამ სიასაც დავუსუსტებ! ან ერთი უნდა გეთამაშა, ან მეორე! ესენი სხვა თამაშს თამაშობდნენ! „რას ფიქრობს შენი განთქმული კარტი“ — მეკითხება ჩემდამი მოძღვნილ ლექსში იზა ორჯონიკიძე. სინამდვილეში

მან შესანიშნავად იცოდა, რას ფიქრობდა ჩემი კი არა მხოლოდ, რას ფიქრობდა საერთოდ სამოციანელთა კარტი...

...პოკერი მაინც ანდერგრაუნდის სამყარო იყო!..

*** მახსენდება პიკო ნიჟარაძის სახელსწრის, ბესიკის ქუჩაზე გამართული ერთი პოკერი: პიკო, რეზო თაბუკაშვილი, ოთარ ჭილაძე, ჩუბნიკა, და თქვენი მონა-მორჩილი.

აღარ მახსოვს, ვინ მოიგო. მახსოვს მხოლოდ ნაგებულები: პიკო, რეზო თაბუკაშვილი, ოთარ ჭილაძე, ჩუბნიკა, თქვენი მონა-მორჩილი...

ასეც შემეძლო მეთქვა: აღარ მახსოვს, ვინ ნაგავო! მახსოვს მხოლოდ მოგებული-მეთქი! — პიკო, რეზო თაბუკაშვილი, ოთარ ჭილაძე, ჩუბნიკა, თქვენი მონა-მორჩილი...

მოგება და ნაგება ძმებიაო, გახსოვთ

შური დამაჯერებლობითაა დამტკიცებული, რომ პეტრიაშვილი — არც მეტი, არც ნაკლები — ლიტერატურული არარაობაა!

აი, ეს ახსოვს ძალიან ნაკბენივით, და იმ სამარცხვინო პუბლიკაციაში, რომლის გამოც ჩემი ეს რეზოკა ინერება, უცვლს, ისე, რომ მე არაფერ შუაში ვარ, მახსენებს მე: „ანდა ავიღოთ ტარიელ ჭანტურიაო“, და მლანძღავს ისე, რომ მკითხველი ვერაფრით მიხვდება, რატომ, ან როგორ უნდა „ამიღოს“ მე პეტრიაშვილმა! დიახ, მკითხველი ვერ მიხვდება, ვერც ოცდახუთი წლის წინანდელ ჩემს წერილებს გაიხსენებს ალბათ, მაგრამ არაუშავს, მე დავგეხმარები. არ არის საინტერესო, ამჯერად ვის დაკვეთას ასრულებს მენაგვე? მოუსმინეთ: „ტარიელზე მთელი გამოკვლევა აქვს დაწერილი თედო იაშვილს...“ იმას აღარ ამბობს, არავითარი თედო იაშვილი რომ არ არსებობს, და რომ ეს სახელი და გვარი ჩემი პასკვილანტის ფსევდონიმია! სწორედ ჩემი პასკვილანტის შეკვეთას ასრულებს შინ დაბრუნებული ნაგავი!

ჩემი გასარჩევი არაა, კერძოდ რომელი ქვეყნის სპეცსამსახურების შემოგზავნილია საქართველოში პეტრიაშვილი, მაგრამ რა მიზნითაა შემოგზავნილი, ამის მიხედვით ძნელი არაა. — უნდა აჭრას კარტი, ერთმანეთს წაკიდოს საქართველოს შვილები — იგივე ებრაელი, იგივე სომეხი, იგივე აზერბაიჯანელი, იგივე რუსი, იგივე ქართველი... ერთმანეთს დაუპირისპიროს საქართველოს მოქალაქეები, გათიშოს ქვეყანა, ქართველ ხალხზე აბატონოს... ალბათ იცით, ვინ!

აი, პეტრიაშვილის მიზანი! თავის დროზე ეს ნაგავი და მისი მსგავსი ნაგავები თავად გამსახურდიას ხელისუფლებაში ჰყავდა შეგზავნილი რუსეთს, და მაშინ მათ — ამ ნაგავებმა — დიდი როლი შეასრულეს გამსახურდიას დამხობაში, საქართველოს გათიშვაში და მის დასუსტებასა და დამარცხებაში! ახლაც იგივე მიზანი აქვს საქართველოს მტერს, და იგი ახლაც იყენებს ამ ძალას — ცდილობს, ისევ გაგვითიშოს საქართველოს შვილები და ახლაც ისევ მიაღწიოს მიზანს! აი, ამაზე, ამ ინფანტილურ თამაშზე უნდა წამოვიგოს გონიერი საქართველო? ამ ამკარა მტერს უნდა მივცეთ ასპარეზი? ამ ნილაზმობისნაირი მტერების გამოცნობა უნდა გაუჭირდეს ქვეყანას? ამ ამკარა აგენტების ტექსტები უნდა ვამრავლოთ ყოველგვარი კომენტარის გარეშე? გვეკადრება?

ვისაც ნაკითხული არა აქვს პეტრიაშვილის საუბრის ტექსტი, მათ მოვავაგონებ ზოგიერთ ადგილას:

„...დღეს მთავრობაში რამდენი წევრიც გინდა, იმდენი სომეხია და ურთიბიც არიან. დავით კეზერაშვილი ურიაა. როგორ, ისრაელში ვინმე თავდაცვის მინისტრად ქართველს დანიშნავს? ის იაკობაშვილი, რომელიც ადრე ახლავარდა სიონისტი იყო, როგორ ბედავს პროვოკაციული განცხადებების გაკეთებას? მაგ ურიას ამდენის ნებას რატომ ვაძლევთ? ამ ერთი ბუნო საქართველოს თავზე ასხედავ სომეხები, ებრაელები და რუსები. ქართველებს გვეშინია, სომეხი და ურია თანამდებობაზე რომ არ დავინიშნოთ, ნაციონალისტიობას დაგვებრალებენ. დამაბრალონ, კაცო! მე ბევრი ურიისთვის ყბაში გამილანუნებია... რადგან ძალიან ბევრს ხტუნაობს, ერთ-ორ სიტყვას ვიტყვით ბუბა კიკაბიძეზე. ეგ ყოველთვის იყო წარმომოქმედით ქართველი, რომელიც მღეროდა სომეხი კომპოზიტორების რუსულ სიმღერებს... ნანი ბრეგვაძემ ბრძანა, ჩემი ყველაზე კარგი მაყურებელი ვოლგოგრადის ოლქშიაო... ეგენი ყველანი გასატანები არიან! ბუბა კიკაბიძე დიდებულად ცხოვრობდა რუსეთში, წამოსვლა არც უფიქრია...“

...საცოდავებო, ნაგავები ხართ ყველანი!

გახსოვთ, რა თქმა უნდა: თუ ხარ საქართველოს შვილი, ნუ მომაკლებ მაგ ტკბილ ხმასა! ეს საქართველოს შვილი არ უდრის უსათუოდ ქართველს: სომეხი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და მისი მოქალაქეა — საქართველოს შვილია!

ებრაელი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და მისი მოქალაქეა, საქართველოს შვილია!

აზერბაიჯანელი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და მისი მოქალაქეა, საქართველოს შვილია!

რუსი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და მისი მოქალაქეა, საქართველოს შვილია!

პეტრიაშვილი ცილს სწამებს საქართველოს წარსულს! პეტრიაშვილი ცილს სწამებს დღევანდელ საქართველოსაც — თითქო ჩვენ კეტი მივდევდით ურიებს — ჯერ ერთი, როგორი ზიზხითაა შერჩეული ეს სიტყვაც მის კონტექსტში... კეტი მივდევდით ვითომ სომეხებს, და ეს მაშინ, როცა ისინი ჩვენთვის მუდამ იყვნენ

საქართველოს შეილება! 26 საუკუნე ისე გავატარეთ ებრაელ ძმებთან ერთად, ერთხელ არანაირი ტერიტორიული პრეტენზია არ სმენია მათგან არავის! ყოფილა შემთხვევა, ავტორიშია მიუთხოვოთ? და არ დავალბებ მოგცეს დღეს ასეთი! პეტრიაშვილი ჩვენ — საქართველოს შეილება — გათიშვას გვიპირებს, ჩვენი ერთმანეთთან დაპირისპირება უნდა, ჩვენს ნაკლებს (ცილიბოს!) თითქოს გენეტური წარმომავლობა საქართველოს შეილს უფლებას ართმევდეს, იყოს საქართველოს შვილი! ასე აშკარად და დემონსტრირებულად ქადაგებს ამ ბოროტებას უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ შემოგზავნილი ნაგავი! — ასეთია ჩემი ეჭვი! მოკლედ, პირადად ჩემთვის და, დარწმუნებული ვარ ბევრისთვის, პეტრიაშვილი ეჭვმიტანილია ყველაზე დიდ ცოდვაში!

საქართველოს მტრების, აშკარა თუ ფარული მტრების განეიტრალება აუცილებელია! ჩვენი საზოგადოება ვალდებულია, იცოდეს ეს!

75 წლის ნანი ბრეგვაძეს, მისი სახელოვანი იუბილეს წინა დღეს, აქილევს და ლანის მოლაპარაკედ აცხადებს! ასევე ექცევა ბუბა კიკაბიძეს! არც კოკა იგნატოვს ასვენებს საფლავში! — ამორალობის გაკვეთილს უტარებს ქვეყანას, სადაც ოცი წლის მანძილზე ორჯერ არ ჩამოსულა!

აკაკი გაგახსენოთ უნდა — გვაფრთხილებს: მთავარი მტერი, ყველაზე საშიში მტერი ერთგული მამულიშვილის სახელით მოსული მტერია!

დავუჯეროთ აკაკის! დავუჯეროთ ილიას! დავუჯეროთ ილიასა და აკაკის მემკვიდრებს! წინააღმდეგ შემთხვევაში პეტრიაშვილები და კომპანია ისე გამოგვაცლიან ხელიდან საქართველოს, აზრზე მოსვლას ვერ მოვასწრებთ!

პარბა ხანია, საკუთარი თავით ასეთი კმაყოფილი არ ვყოფილვარ! — როდის გამოვიცანი ბატონი პეტრიაშვილი, არა? როდის გავშიფერე, როდის ჩავავლე, და რაღა ყველაფერი აკეთა იმისთვის, რომ ჩემი სიმართლე დაედასტურებინა! მას მერე მეოთხედი საუკუნეა!

სხვათა შორის, ისიც ვიცი, როგორ დაასრულებს! ოღონდ სად — ვერ გეტყვით! ამ ტიპის მანანალებს, როგორც წესი, რამდენიმე პატრონი ყავთ!

კამათი მქონია ტარიელ ჭანტურია-სთან! ისე სხვათაშორის ამბობს, თითქო მას ჰქონდა ჩემთან კამათი და არა მე — მასთან! მას ჩემი სახელი ნახსენები არ ჰქონდა, როცა მე მას, სხვების — ლირსეული ადამიანების უკეთური ხსენებისათვის მთელი თავისი სიგჟეები თავზე გადავახეი! აი, ამას მაღაღს! მე დავმაღაღე? — ამდენი ჭკუა არა აქვს! აი, ამ სტილით, როგორც ჩანს, ამ სტილით უნდა ელაპარაკო ადამიანს, ვისთვისაც მორალი, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს! მე რაღა დამრჩენია! — მხოლოდ ის, რომ ბოდიში მოვუხადო მკითხველს ამგვარი სტილისთვის...

ერთი გაფიქრება ისიც კი გავიფიქრე, ხომ არ ავდგე და ის ძველი, მეოთხედი საუკუნის წინანდელი მართალი წერილები თავიდან ხომ არ დავებქდო-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე, და ალბათ სწორადაც მოვიქეცი! — ნაგვის რეკლამა გამოვიდოდა, ეს იქნებოდა და ეს!

დასაშლელად განვირუგო ტანდემი

ჰო, მართლა, ლევან ბრეგვაძე ცუდ წრეშია მოხვედრილი!

პასკვილანტების ტანდემი — დოიაშვილი, ბრეგვაძე! ლმერთმა ისე ნუ გამომასულელოს, ამ ორს შორის ტოლობის ნიშანი დავსვა! დიდა? პატარაა? — ამის გარკვევას ამჟამად არ ვაპირებ! ამჯერად იმას ვიტყვი მხოლოდ, რომ ლევან ბრეგვაძე **შემოქმედია!** რაც შეეხება თ. დოიაშვილს, იმას შემოქმედებასთან, მწერლობასთან აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო. ასე რომ, პასკვილანტების ამ ტანდემს რომ მოკრავს ნორმალური ადამიანი თვალს, პირველი, რასაც იგი გაიფიქრებს, ესაა — სანყალი ლ. ბრეგვაძე ცუდ წრეშია მოხვედრილი!

ჯერ ის ვნახოთ, გვარები როგორაა დალაგებული: **დოიაშვილი, ბრეგვაძე!** ტანდემის წევრთა ამგვარი განლაგება გაუგებრობაა! — ჯერ უნდა იყოს **ბრეგვაძე**, მერე **დოიაშვილი!** ასეა ეს ალფაბეტი! ასეა ეს პოლიგრაფიის ელემენტური წესის მიხედვით — ჯერ უნდა მოკლედ გვარი ეწეროს, მერე — გრძელი! **ერკმან-შატრანი** გაიხსენეთ! **ილფი** და **პეტროვი!** და კიდევ იმდენი ტანდემი, რამდენიც გნებავთ! მაშ, რა ხდება **დოიაშვილი-ბრეგვაძის** შემთხვევაში! ის მხოლოდ, რომ **დოიაშვილი** — დირექტორია! მბრძანებელია! უფროსია! ბელადია! კანონებს ის სცემს! მისი სიტყვა **ბრეგვაძისთვის** კანონია! არადა ამ დროს, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ამ

ორიდან **შემოქმედი** — ერთია, მწერალი — ერთია! ესაა ბრეგვაძე!

რით დაიმონა და დაიმორჩილა უარეს-მა უკეთესი, არამწერალმა მწერალი, უნიჭოდ ნიჭიერი, მე ეს არ ვიცი და არც მარჩილობას ვაპირებ! მე ის ვიცი მხოლოდ, რომ ლ. ბრეგვაძე ცუდ წრეშია მოხვედრილი.

დოიაშვილმა და ბრეგვაძემ გრძელი, აბსურდული და მოსაწყენი პასკვილები დანერგეს ჩემზე ერთად! და ცალცალკეც. რაც ცალცალკეა, ისიც, ცხადია, ერთადაა. მეც დავწერე ვრცელი და დასაბუთებული პასკვი, მაგრამ მერე მივხვდი, მის გამოქვეყნებას აზრი არა აქვს — ამით მხოლოდ უნდა დავეხმარო ყავლგასულ პასკვილანტებს. მარტო იმის თქმა ჩავთვალე საჭიროდ, რასაც ახლა კითხულობს მკითხველი — ყველაფრის ერთად! და ცალცალკეც. რაც მაკადრა ლ. ბრეგვაძე, მკითხველს ვთხოვ, ეს ორი ავტორი ერთმანეთში არ აუროს!

— დიდა? პატარა? — ბრეგვაძე შემოქმედი, ლიტერატორია, პუბლიცისტი, კრიტიკოსია, მთარგმნელია! დოიაშვილი? — არარაობაა! უნიჭობის განსახიერებაა! მეტაც გეტყვით — მანიაკია! გრაფომანია! საცოდავი არსება, ოღონდ პირადად მან ამის თაობაზე არაფერი იცის! — მანიაკებმა თავიანთი მანიაკობის შესახებ არაფერი იციან! ეს სწორედ ის შემთხვევაა! ასე რომ, ერთად ხელმონერიღოს რომ ნახათ ამ ორ გვარს — დოიაშვილი, ბრეგვაძე — ერთმანეთში არ აგერიოთ! იცოდეთ, **ბრეგვაძე** — ცუდ წრეშია მოხვედრილი!

ნურც იმას დამწამებს ვინმე, თითქო ამას იმიტომ ვწერ, მინდოდეს, ერთმანეთს ნაკვიდო ორი პასკვილანტი! სულ ფეხებზე მკიდია, კარგად იქნებიან ერთმანეთთან თუ ცუდად! ერთად იქნებიან? მით უარესი ბრეგვაძისთვის! აკი გითხარით — ცუდ წრეშია მოხვედრილი!

ერთი რამეც სათქმელია: ლევან ბრეგვაძეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათის წერილი აქვს ჩემზე დანერგილი! ერთში — მესარჩლება და პასკვილანტისაგან მიცავს, მეორეში — მათათვის და უსაბუთოდ მაგინებს!

დარწმუნებული ვარ — ლევან ბრეგვაძე ადრე თუ გვიან უსათუოდ გააკეთებს საკუთარ თავში არჩევანს! არა მგონია, ბოლომდე დარჩეს ცუდ წრეში...

მარადიული შედეგია...

არ არის საინტერესო? — რომელია მუხრან მაჭავარიანის ყველაზე კარგი ლექსი: **საბა? ვახტანგ მეფის ნანადირევი? ცივი ქუჩები პეტერბურლის? მიდის, მიდის? ვითარცა მტკვარი? შენ, სისხლო ჩემო!**

არა, რა თქმა უნდა! პოეზია არ არის ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების დამცველი იურიდიული ინსტიტუტი! მუხრან მაჭავარიანის ყველაზე კარგი ლექსია:

თითქო დამძლია ორგულმა და იარალი ამყარა, ან თითქო მიწას ვაბარებ ჩემს უსაყვარლეს ამხანავს — ეს ორი დღეა, რატომღაც ვარ ხასიათზე ისეთზე... ისე, მიზეზი რომ მკითხო, ვერაფერს მოვიმიზეზებ...

არ ვიცი, ზუსტად დავწერე თუ არა! ფაქტი ერთია — ზეპირად დავწერე! ზეპირად ვიცი.

ყველა ეგზისტენციალისტი, ათეისტიც და თეისტიც, ყველა კამიუ, ყველა სარტრი, ყველა მარსელი, ყველა ჰაიდეგერი ჩათვლიდა ბედნიერებად, მისი ყოფილიყო ეს ერთი ბენი შედეგო! აი, ამის გამო ვთვლი მე მუხრან მაჭავარიანს დიდ პოეტად და არა იმის გამო, ათასნაირი ხერხით, სახით და ფორმით რომ უცხადებს სიყვარულს საქართველოს და მაღალმხატვრულად რომ ამტკიცებს, რომ საქართველო — კარგია, მისი მტრები — ცუდი!

აი, ეს უმიზეზო სევდა, ეს უმიზეზო დარდი, კაცმა არ იცის, საიდან მოსული ტკივილი არის გამოთქმული ადევკატორი, მუცვლელი, შესაშური ფორმით! ეს ლექსი არაა ქართველის, ეს ლექსი არაა ბერძნის, რუსის, ამერიკელის, ესპანელის... ეს ლექსი ადამიანის ლექსია — უკლებლივ ყველას! ეს მსოფლიო დარდია! მსოფლიო გასაჭირია! ეს ადამიანის ადამიანობის დასტურია, მისი თანდაყოლილი სატანჯველის გამოძნობლა, თანდაყოლილი უიმედობის გამოფიქრია, მთელი დედამიწის დატირება, ავი მოლოდინის განცდა, გამოთქმული უმშვენიერესი ფორმით...

ამ გზით, ამ ესთეტიკით უნდა ველო და ეცხოვრა მუხრან მაჭავარიანს, და არ უნდა გონებოდა, რომ მარტო სახელით თუ მოიხსენიებდნენ, კარგ ბინებს მისცემდნენ, კარგ სამსახურებს, კარგი მანქანით ივლიდა, ეს საქმარისი იქნებოდა მისი გამოჩენილი ტალანტის რეალიზებისთვის... მუხრანის დიდი ნიჭის დიდი ნაწილი მის ადამიანურ სილუსტებებს შეენირა — ვერ მოხდა ამ ნიჭის სასურველი მასშტაბით რეალიზება!

ანი ამ საქმეს ვერც მთანმინდის პანთონი უშველის, ვერც საქმეში ჩაუხედავი მკითხველების ტაში, ოვაცია და გამოსარჩლება — მისი წიგნი და ცხოვრების წესი სინანულის გრძობას გაუჩენს ყველა მოაზროვნე მკითხველს, ყოველ ჭეშმარიტ ინტელექტუალს. ეს სტრიქონები არ იწერება მუხრანისთვის! ეს სტრიქონები მომავალი საქართველოს მომავალი მუხრანებისთვის იწერება — ისინი ასე ცუდად არ უნდა მოექცნენ საკუთარ დიდ ნიჭს, და პირველი, რაც უნდა გააკეთონ — ებრძოლონ საკუთარ თავში სიცოცხლეს დახარბებულ ობივატელს...

მე ვიცი, ცუდი ადამიანები ცუდ დასკვნას გამოიტანენ იქედან, რაც წაიკითხეს! მე ამის არ მეშინია — მე კარგი ადამიანების იმედით ვარ! იმავე მუხრან მაჭავარიანის იმედით! — მას შეუძლია ყველაფერ ამის გაგება! მეჩვენება — მისი უცნაური სიკვდილის მიზეზიც სინანული იყო — ისიც იმ უმიზეზო, აუხსენლმა, მარადიულმა დარდმა მოკლა, რომლისადმიც მისი უცნაური, მარადიული შედეგია მიძღვნილი...

გიკვირს კაცს: მუხრანმა ეს ლექსი ან-თოლოგიაში არ შეიტანა...

P.S. მუხრან მაჭავარიანს მარადიული შედეგის სხვადა აქვს. ამაზე სხვა დროს...

საბჭომოთა კავშირის დაშლის ოცი წლის თავზე მაინც იმის თქმა გვიხდება, რომ **პოეზიის საბჭოთა კავშირი** ჯერ ბოლომდე არ დანგრეულა, ისევე, როგორც პოეზიის დასავლური მოდელი ჯერ ბოლომდე არ აშენებულა! ისე, ამ უკანასკნელში ცუდი არაფერია, კაცმა რომ თქვას! დასავლური დელაქალებიდან ჩამოტყანილი და სამშობლოსთვის პრემიებად შემოსაღებული **სიგელები** ველარავის ატყუებს, პატრონების გარდა!

წიგნები სჭირდება იმას, ვისაც ნობელი არ ეკუთვნის! აბა, ვისაც ეკუთვნის, იმას რად უნდა ნობელი! — რად უნდა ნობელი ფერმის, ბორს, ზორნს, ჰემინგუეის, ფოლკნერს, პასტერნაკს...

ვაჟას რომ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის მარიათაი ჰქონოდა, ქე გახდებოდა ალბათ ნობელიანტი — ათას ცხრაას პირველ წელს გაიცა პირველი ნობელი! კიდევ 14 წელი რომ ეწალინა ვაჟას მისი ზოგიერთი თანამემამულის სტილით, ნაღდად გაიგებდნენ ბოლოს და ბოლოს, სიული პრუდომისხელას ლობიოში წინაკას რომ ავდებდა ფშაველი გენიოსი! თუმცა რა ჭირად უნდოდა ნობელი! — ნობელი სჭირდებათ იმით, ვისაც იგი არ ეკუთვნის!

რომორ უნდა მოახდინო არიფ მკითხველზე დამორგუნველი შთაბეჭდილება ლექსით დღეს, როცა არც სჭირდება ხალხს ლექსი და არც უკვირს! მარტოც ხერხი არსებობს საამისოდ: ერთი სტრიქონი — ინგლისურად, ერთი — ფრანგულად, ერთი — ესპანურად, ერთი — გერმანულად! სქოლიოში ამ სტრიქონების ქართულ თავმანსაც დაურთავთ ლექსს! ასე უფრო ჭკვიანი ჩანხარ არიფი მკითხველის თვალში, უფრო ნაკითხი, უფრო დინჯი, უფრო დარბაისელი! თუ ასე გააგრძელებ, შორს წახვალ! ამერიკამდეც მიხვალ! ოღონდ უფრო შორს აღარ გინდა, პოსტ. პოსტ. პოსტ. პოსტ. პოეტო! ამ საქმეს რომ მორჩები, ერთი დაუტატანე და ოქროსფრად მობრჭყვიალე, მეტალის მძიმე ჯაჭვიანი, ჭრელა-ჭრულა ჯინჯილებიანი პოეტები გააღადავე! ასე!

კოჩობა

კოჩობა — ილია აროსია! — ლიტერატურული აუტსაიდერის ყველაზე უფრო პოპულარული სახე თბილისში.

ყავთ თუ არა სხვა ქვეყნების ლიტერატურებს თავიანთი **კოჩობები!** რა თქმა უნდა, ყავთ!

და აი, დგება ქართველი **კოჩობა**, ჩადის ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაში, იტალიაში, ეცნობა იქაურ **კოჩობებს**, ამყარებს მათთან კავშირებს, და ამ ნაცნობობის საბოლოო შედეგი საინტერესო და შთამბეჭდავია.

ქართველ **კოჩობას** უცხოელი **კოჩობები** თარგმნიან თავიანთ ენებზე! მაღლიერი ქართველი **კოჩობა** პატოსნად იხდის ვალს, და ქართულ ენაზე იბეჭდება მის მიერ თარგმნილი იტალიელი, ესპანელი, ფრანგი, ამერიკელი, ინგლისელი, გერმანელი **კოჩობები!**

თემის გაგრძელება ლიტერატურული პრემიებია. ჩვენი მკითხველი თავად შეძლებს თემის გაგრძელებას! — კოჩობა — ქალი **კოჩობა** — მრავალი უცხოური ფსევდონიმის ლაურეატია!

გამორიცხული არაა, ჩვენი **კოჩობა** რომელიმე უცხოელმა **კოჩობამ** ნობელისკენაც გაქაჩოს!

პოეტი და ორჯარი პოეტი

საქმომღოსამღაბა ცნობილი ქართველი ხალხის საყვარელი პოეტისა და მოქალაქის — ოვანეს თუმანიანის ფრაზა: ყოველი ქართველი — პოეტია, ქართველი პოეტი კი — ორჯერ პოეტი! ამ ფრაზაში იმაზე სერიოზული და პრეტენზიული აზრი დევს, ვინემ ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს — ქართველი ხალხი **პოეტურ ხალხადაა** გამოცხადებული. ამის თქმას არავითარი აზრი არ ექნებოდა, იგი უკლებლივ ყველა ხალხს რომ თანაბრად ეხებოდეს. ესე იგი, კაცობრიობა გაყოფილია **პოეტურ** და **ნაკლებ პოეტურ** ხალხებად. ვთქვათ, ასე: ესპანელები უფრო პოეტურები არიან, ვინემ, ვთქვათ... არა, არ დავასახელებ ნაკლებად პოეტურ ხალხს ან ხალხებს, მარტო იმას გავიმეორებ, რომ თუმანიანის ფრაზა სწორედ ამგვარ გაყოფას გულისხმობს. მოკლედ, ტანდემების ჩამოთვლას არ მოვყვები, მაგრამ ორ სიტყვას მაინც ვიტყვი **პოეტისა** და **ორჯერ პოეტის** თაობაზე.

ესე იგი, არსებობს პოეტი და არსებობს ორჯერ პოეტი. დავაზუსტებ: არსებობს პოეტურად განწყობილი ადამიანი, ერთი მხრივ, და ნამდვილი პოეტი, მეორე მხრივ! ყველა, ვინც „პურს“, „ყურთან“, ან „გულს“ „სულთან“ გართმავს და თავის ინფანტილურ ნააზრევს ვერსიფიკაციულ სექნდენტში გამოაწყობს, რა თქმა უნდა, პოეტი ვერ იქნება!

ეს ყოველი ქართველი ანუ **პოეტი**, რომელიც **ორჯერ პოეტი** არაა, იწყებს პოეტობას, რითმავს „სულთან“ „გულს“, „პურთან“ „ყურს“, და მალე იმედგაცრუებული ტოვებს პოეზიის არენას! ოღონდ ყველას არ ყოფნის ჭკუა, მისთვის უფრო შესაფერისი საქმე ეძებოს, და რჩება პოეტების სამეფოში, შერიგებული იმას, რომ იქნება მხოლოდ მათევალებში. უფრო ჭკვიანები და ეშმაკები, რომელთაც გულის გულში ჩამარხული მონის გრძობაც — შურისძიების გრძობაც — ამოძრავებთ, კრიტიკოსობას იწყებენ. ამასთან არ იციან, ჩვენც რომ ვიცით მათი არჩევანის გამომწვევი იმპულსი!

ასე მოხდენენ პოეტების სამეფოში ჩვენი პასკვილანტებიც (და არა მხოლოდ ისინი, ჩვენდა სამწუხაროდ...).

მეტიხმატად შავი იუმორი

მოსარ ჩხეიძის წლისთავზე ვიყავით, დიდუბის პანთონში. მოვიდა ერთი — კინალამ ვთქვი, მწერალი-მეთქი — მეუბნება: ლიას საფლავზე ვიყავი ეს-ესაა, გადასარევი საფლავი ჰქონიაო. რამდენიმე კაცმა ერთად შეიცხადა — ლია გარდაიცვალა? არა, კაცო, ცოცხალია, მაგრამ გაგეხარებებოთ, რა კარგი საფლავი აქვსო, თავისი ქმრის გვერდითო. აბა, მე არც აქ მივარგა საცხოვრებელი და, რომ მოვკვდები, კაცმა არ იცის, როგორი საფლავი შემხვდებაო! ეს არის საქმეო!

იმის მაგიერ, რომ ცრემლი მოგვეწურა, გულიანად ვიცინეთ. მართლა რა უცნაური რაღაცაა, წინასწარ რომ იცი, სად დაგკრძალავენ! სულ ერთია, გინდ ხეოპსი იყავი, გინდ ხეფრენი, ვინც გინდა იყავი! — როგორია ა? — ხედავ, აი, აქ უნდა ჩაგდონ ან დაგდონ, ეს, პრინციპულად სულ ერთია, და შენც, კვირაში ერთხელ მაინც, მიდიხარ, რომ დახედო იმ შენს მომავალ სამარეს და კიდევ ერთხელ დაიმძიმო გული არყოფნაზე ფიქრის შხამით!

ამას, ეტყობა, ისევ ის ჯობს, როცა ამ პრობლემის თაობაზე — შენს მომავალ საფლავზე — ფაქტიურად არანაირი „ინფორმაცია“ არ გავაჩნია...

რაც წაიკითხეთ, იმის შემდეგ კიდევ ერთხელ შეიძლება გაცინება! გინდათ? — ატირებაც! „პაჟალუსტა!“

ისე, რაც გინდათ თქვით და, კარგი რაღაცაა კარგი ბინა ამქვეყნად და იმქვეყნად! — ასე ვთქვათ, ოპტიმალური ვარიანტი.

კაცობრიობამ არ იცის, რომ არაფერი არ იცის — თითოთროლა კაცმა თუ იცის ეს...

აგერ, ჩვენს თვალწინ, **ამომავალი მზის ქვეყანა** შესაძლოა სულ იოლად იქცეს **ჩამავალი მზის ქვეყნად!** კაცობრიობამ არც ეს იცის...

დაუჯერებელიცაა, სანყენიც, მაგრამ ასეა...

* * *

კვლავ მიეხლება შუბლით ქარ-წვიმებს,
არ შეიძლება გაიშვიათდეს...
უბრალოდ, ვისი ხსოვნაც გამძიმებს,
მათი სულები გაიშრიალებს
ზაფხულის მაღალ, ნათელ დღეებში...

სამრეკლოს ზარი ნელა წკრიალებს,
ჩემს ფანჯრებამდეც აღწევს წკრიალი,
გუშინ წყვილიაღმეც როგორ ვიარე,
დღეს ნაფლეთებად ყრია წყვილიაღი
და თან აღარ ჩანს დღის სინათლეზე...

მადლობა ღმერთს, რომ ისევ გათენდა...
ასანთს გავეკარი... ბნელში ვიარე,
ვინც მე მიყვარდა, ვინც მე მანთებდა,
მათი სულები გაიშრიალებს
ზაფხულის მაღალ, ნათელ დღეებში...

* * *

მარადიული ეგ ჩაფიქრება
ყოველთვის შენთან ერთად იქნება,
მე შენ ხმას ახლა ველარ მოგანვდენ,
ძნელია უკვე შენი მიგნება.
მარადიული ეგ ჩაფიქრება
გადანახებს შენმა წიგნებმა,
ეს არის, რისი გაგებაც გასურდა
და რაც ამ ქვეყნად არ გაიგება.

* * *

მე საკუთარ თავს ღამეში ვაგნებ,
ღამეა, ღამე — უძირო ხრამი
და ეკარგება ფორმა იმ საგნებს,
აჩრდილებივით რომ მახლავს ღამით.

და თუკი უკვე თენდება სადმე,
ელნათურები უქმად ბრწყინავენ,
შენს სანყალ სინდისს — დაღვენთილ სანთელს
რალაც ანვალებს ხორცის წინაშე.

რა საჭიროა მოვიდეს მკვლეელი
ანდა იქნევედეს ნაჯახს ჯალათი,
თვითონ ტრიალებს ცხოვრების კევრი
და თავისთავად მოაქვს ღალატი.

ზამთარიც რჩება იმავე ზამთრად,
თოვლივით ადევს ძველი სახელი,
ზამთარიც თავის სუსხითვე დათვრა
და უმწარესი ახლავს ნაღველი.

და მეც აქვე ვარ, მოწმე ამ ღამის,
სიჩუმეს მირღვევს ქროლა ქანქარის,
უნაპიროა ღამე ვით ხრამი
და ფურცლის კიდეს ავსებს ფანქარი.

გამოღვიპება

რატომ იღვიპებ შუალამისას
და საიდანლაც გესმის ქვითინი,
და ესეც თითქოს ბედმა გაღირსა:
ქალაქი — ხელისგულზე მითივით...



ანდრო ბუაჩიძე

განათებული და დაქანცული
და დაღდასმული ცივი ციციმით,
გათენებისკენ მძიმედ დაძრული
ვრცელი სიჩუმით, ეჭვით, სიმძიმით...

რატომ მოფრინავთ შუალამისას
ჩემთან სიტყვები, როგორც ჩიტები,
და ესეც თითქოს ბედმა მაღირსა,
რომ კვლავაც იტყვოთ, რასაც იტყვით.

ისიც მოვიდა, რამაც დამტოვა —
სევდა-ნაღველი და მეც მითივით
დავხვდი ამ ნაღველს და თან რატომღაც
ამ ზამთრისპირზე მესმის ქვითინი...

სტუდენტობის მეგობარს

შენ გეხსომება,
მტვრიან დახლებზე რომ ვსვამდით ღვინოს,
შენ გეხსომება,
გახსოვს კიდევ მტვრიან დახლებზე...
წყალწყალა ღვინოს...
და ცხოვრებას, როგორც ნაფხრენებს,
რომ ვიხსენებდით...

რამდენი რამე ჩაესვენა, გადაესვენა
და ნავიდა სვენებ-სვენებით...
შენ გეხსომება,
რომ ვიხსენებდი ე. წ. დაბადების დღეს
ძეხვით და პურით...
შენ გეხსომება,
რომ დავთვევით და დავიკარგეთ და
გვეძებდნენ და გვეპოულობდნენ...

აქ, ამ ქალაქში...
შენ გეხსომება...
თუმცა კი ვიცი, რა გეხსომება?
შენ ხომ თვითონ ხარ მტვრიანი დახლი,
რომელსაც ქარი ნათურებს ახლის,
მე კი ქელები ნათურასავით,
ისევ ვანათებ შუქის სავსავით...
ასე მგონია ჩვენ იმ დახლებზე
დაგვრჩა ცხოვრება,
ქარი დაჰბერავს
და გადაყრის როგორც გაზეთებს,
დაგვინახავენ,
დაგვიხსომებენ რაღაცნაირებს, ისეთ-ასეთებს...

შენ დამიჯერებ,
მე თუ გეტყვი, ჩემი ნაღველიდან
ვხედავ ყველაფერს,
რასაც ქარი თავში მახლიდა,
და რასაც მახლის...
შენ გეხსომება,
დავწერე ლექსი ყრუ მაიმუნზე,
შენ გეხსომება,
დავწერე ლექსი ლიანდაგებზე,
შენ გეხსომება,
როგორ ვსვამდით წყალწყალა ღვინოს
და ვიხსენებდით,
ამ ცხოვრებას როგორც ნაფხრენებს...
გახსოვს, დავწერე ასეთი ლექსი:
„ჩამოცურდება ქვაფენილზე ჩრდილი იოლად,
ვარაზისხევი სალამო დგება,
ჩემი შეშლილი სიყვარული აქ დადიოდა,
და აქ ახლიდა ფილაქანს კეფას“.
გახსოვს ის ბალი, „სამაია“, თვითონ
„ყაზბეგი“?
ქალაქის მაგრად დასიცხული ქვაფენილები,
ამოვდიოდით ელბაქიდიდან
და ვირხეოდით
სარეცხვით მოაჯირზე გაფენილები...

როგორ წავიდა
ის, რაც იყო, როგორ წავიდა!
როგორ გაგვეფანტეს ქარიშხლებმა
და გადაგვხვეწეს!
დღეს აღარა ვსვამთ წყალწყალა ღვინოს
მტვრიან დახლებზე,
აღარ ვიხსენებთ ამ ცხოვრებას
როგორც ნაფხრენებს...

ბასიჩინაბა

მითხარი, როგორ უნდა ვიაროთ
აქ, ამ ფერდობზე მე და შენ ერთად
და ვარსკვლავების ვიყოთ ზიარი
და მე მამა და შენ შვილი გერქვას.

აქ, ამ ფერდობზე, სადაც ნაძვები
დგანან და გვრჩება ნაფხურები,
სადაც სალამოს ჩრდილი დაწვება
და ჩვენ ორივეს ნაგვეხურება.

აქ, ამ ფერდობზე მე და შენ ერთად,
და ამ ცოდვების ვიყოთ ზიარი,
და მე მამა და შენ შვილი გერქვას,
რომ ვაგრძელებდით ასე სიარულს.

უნდა მიკვირდეს, რომ შენ აქამდე
არ არსებობდი, არ მყავდი გვერდით,
და თუ ორნი ვართ, მე ხელს გაკარებ
და მიკვირს, როგორ ვიყავი ერთი...

ღამის რადიო

შენ იწევი სიბნელეში და უსმენდი რადიოს
და მოულოდნელად წააწყდი ჩემს ხმას რადიოში.
უსმენდი დიდხანს, უსმენდი მერეც,
როცა შეწყდა ჩემი ხმა და დაიწყო
სხვა გადაცემა,
შენ მოულოდნელად წააწყდი ჩემს ხმას;
შენ უსმენდი და გიკვირდა,
და ისევ უსმენდი და ისევ გიკვირდა
ჩვენი შეხვედრა შუალამისას...
უხილავი რადიოტალღები მიარღვევდნენ
დიდმის მასივის ბნელ სივრცეს,
მიარღვევდნენ ბნელი ალღების ხეივანს,
ქუჩას, ნაგვის ყუთების ირგვლივ მოგროვილ წყვილადს,
გაცვენილ ნაძვებს და თავს იყრიდნენ
ერთ პატარა ოთახში, მეორე სართულზე,
და შენ იწევი და ჯერ კიდევ ფიქრობდი ცხოვრებაზე
და საერთოდ, ადამიანის ბედზე ცხოვრებაში,
ფიქრობდი ყველაფერზე,
რასაც შეიძლებოდა შეხებოდი მზერით ან სმენით —
საწოლის ძვიდეს, საწერ მაგიდას,
შპალერზე არბენილ სინათლეს,
რომელმაც ელდნაცემივით გადაუარა
ტანსაცმლის კარადის თავზე შეწყობილ წიგნებს...
შენ უსმენდი ჩემს ხმას,
მოულოდნელად რომ წააწყდი...
... ახლა მეც ვწევარ სიბნელეში
და ვუსმენ შუალამის რადიოს,
ვუსმენ სიმღერას, რომელიც ნაღველიანად იღვრება,
უხილავი რადიოტალღები მიარღვევენ
ნუცუბიდის პლატოს უშველებელ სიბნელეს
და ჩემს ირგვლივ მეთორმეტე სართულზე
ერთ პატარა ოთახში იყრიან თავს,
სადაც სძინავთ ბავშვებს,
სადაც სძინავს ცოლს,
სადაც პატარა ღამა ანთია,
რადგან ეს ნუთია ჩაქრა სინათლე
და სრულმა წყვილიაღმა დაისადგურა.
მე ვუსმენ სიმღერას, რომელიც ცეცხლის ენასავით
ანთია სიბნელეში და აფრიალებს
თავის უმწეო მელოდიას...

მე ვუსმენ რადიოს, რომელსაც შენ უკვე აღარ უსმენ,
ვწევარ უძრავ და თითქმის ბნელ ოთახში
და გვრძნობ სადღაც მივექანებით
მე, ცოლი და ბავშვები,
სადაც მივექანებით საკმაოდ სწრაფად
ამ უძრაობაში...
მე მეზარება საწოლიდან წამოდგომა,
და გარეთ გახედვა, რადგან ვიცი,
სახლების ნაცვლად მაღალ სილუეტებს დავინახავ,
ვიცი, რომ ასეთ დროს
მთელი ქვეყანა ემსგავსება დიდ ოთახს,
სადაც მაღალი ბნელი სახლები აღმართულან
და მათ ქვეშ მოისმის მისუსტებული ძაღლების ყეფა...
მე ვუსმენ რადიოს
და თითქოს თავს ვიმშვიდებ ამ რადიოთი
და ამ წყალწყალა სიმღერით...
და მახსენდება, რომ ამ ოთხიოდე წლის წინ
შენც უსმენდი შუალამის რადიოს
და მოულოდნელად იქ წააწყდი ჩემს ხმას...

მე ვუსმენ რადიოს, რომელსაც შენ აღარ უსმენ.

* * *

გარიჟრაჟიდან, კარის ღრიჭოდან, სარკის ბზარიდან გაიხლოვდება, წარბს არ შეიხრის და ღამეები გესევა ნუნკალ მგლებს ხროვებდა. არ გაჩერდება, არ შენელებს, არ შეტოვდება, გაიხლოვდება... უკვე ჩავლილი ყველა ღამიდან, ანდა ჩამქრალი ყველა დღიდან, რამაც მიგიღო და შეგიწოვა ანდა ხელი გკრა და განგირიდა; მოდის მოპარვით, მოდის ბორძიკით, თვალგაშტერებით ან თვალრიბად — შუალამეა, ძალღები ყვეფენ... გამომალვია ჩემმა ყვირილმა.

ოთახი

როგორ იბუდებს ამ ბინაში სიცარიელე, რაც შენ დატოვე სამუდამოდ ეს ოთახები, და დღის სინათლე იატაკზე როცა იელვებს, სხვა რამეს ამბობს, ამ სივრციდან რაც შენ გახვედი. სიჩუმეს იკრეფს ყველა ნივთი — ბზა თუ რვეული, მარადისობა თითქოს იწყობს თავის საბუდარს მთრთოლვარე ხელით. და არ უნდა რომ ჭირვეული იყოს, ამიტომ ჭკვიანურად ქსოვს აბლაბუდას. და ეს ოდნავი მოძრაობა თითქოს მუდმივად ითრეფს ამ ოთახს და ედება სხვა ოთახებსაც და მთელი ბინა დაიკავა უკვე უნდობა; არ შეიძლება რომ ის იყოს სადმე ნახევრად.

ქალაქბარათი

მეგობარს

რატომ მოვხვდით მე და შენ ამ ქვეყანაზე, სადაც არსებობს რეგალიები და წოდებები, სადაც არსებობს მკვლევარები და რატომ კლავენ არ იციან, სადაც იცვლება ხშირად ტაროსი და სულ უაზროდ ლიონისფერი მზე ანათებს ამ ქედებს უკან. ცივი ქარია, ალბათ მოთოვა ტყეებს მიღმა, ჩვენ მივაბიჯებთ ნელა და ვიცი: უკვე ცხოვრების საკმარისი გზა გავიარეთ და კვლავ მივდივართ. ცარიელია ტრასა. შენ ამბობ: კარგია, რომ აქ იცხოვროს კაცმა, — მზიან ტრასასთან აქვე სულ ახლოს ლისის ტბა არის, მალე ავტობუსების გარაჟები აღარ იქნება და მათ ნაცვლად აქ იპოდრომს გააშენებენ. ქალაქგარეთ, ნუცუბიძის პლატოს იქით ჩვენ მივაბიჯებთ ნელი ნაბიჯით. შენ იხდი პიჯაკს და მხრებზე ისხამ, და მერე უკვე არაფერზე აღარ ვსაუბრობთ, ნელა მივდივართ მზიან ტრასაზე. ეს პიროვანი მზიანი დღეა მარტის თვეში. საიდან მოვხვდით აქ, სადაც ქვაფენილებზე ორმოებია და მარცხნივ კი ტრიალ მინდორზე ლტოლვილების კორპუსია, სარეცხი კიბია აივნებზე და ბავშვი ტირის ზედა სართულზე, შორიახლოს კი ჩვენს წინ და თან მარცხენა მხარეს მოჩანს ის — ე.წ. „ბავშვთა სოფელი“ და თეთრი სახლი — ჩემი შვილების საბავშვო ბაღი. მე იქ მივდივარ პატარების გამოსაყვანად, შენ კი მომყვები. ჩვენ ხომ ჩვენი წარსულიდან გამოვეშურეთ და უკანვე ველარ დავბრუნდით. დიღმის მასივი მივატოვეთ და გავიფანტეთ სხვადასხვა მხარეს. კლასელები ვართ. კიდევ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს. ცხოვრების გზები კიდევ ერთხელ გადაიკვეთა. როგორც ღამეში შუქნიშნები კვეთენ მოედნებს და მიინევენ სახლებისაკენ. ჩვენ უკვე გავცდით ლტოლვილთა კორპუსს. აქ ჭალაა და ჯუჯა ნაძვები, და წყალი დაგუბებული. გზისპირას ვდგავართ ორივენი და გადავყურებთ: მიტოვებული საძირკველია, ქვის საღებავში მწვანე წყალი დგას. წყალში ცა მოჩანს მონმენდილი და ცარიელი, ხიმინჯებია, მიგდებული მშენებლობის მიუსაფრობა, მზე და სიცვი და მივაბიჯებთ მზიან ტრასაზე. საიდან მოვხვდით აქ არ ვიცი, სადაც იმედებია ღრუბლებივით განოლილი ქედების მიღმა, სადაც ვეძებდით ბევრ რამეს და ვერკი ვიპოვეთ და ახლა უკვე შუახნისანი მივაბიჯებთ, რადგან ცხოვრება სიარულია, შენ ყოფილი ფეხბურთელი ხარ, მე კი ისევ იმ ერთ ნერტილს მივჩერებივარ. ახლოვდება ე.წ. „ბავშვთა სოფელი“, და აგურის წითელ სახლებში სინყნარეა, თეთრ სახლში კი ჩემი შვილები მელოდებიან და ამენებენ კუბიკებისგან ახალ ცხოვრებას...

სიზიფა

იქნებ როგორმე მივიყვანოთ ერთმანეთი დაძინებიდან დაძინებამდე, ქალაქმა უკვე დაიძინა, შრიალებენ მანქანების საბურავები;

ხელი შევუწყობ ერთმანეთს იქნებ, რომ ბენვის ხიდეზე გავიაროთ და მივალნიოთ დღიური ლუკმით, დაღლილობით, ტანჯვით, ჭორებით დაძინებამდე... თუნდაც ზრუნვით, ურთიერთზრუნვით, როგორმე უნდა მივალნიოთ დაძინებამდე, ოღონდ არ ვკითხოთ ერთმანეთს რა გვსურს, რა გვტკივა, რა გვტკივა, რა გვეშველება, ქალაქმა უკვე დაიძინა, აფიშები ნანვიმარია, ქვაფენილებზე ზიმზიმებენ საბურავები, ჩვენ ვემზადებით დასაძინებლად, ძილისწინა ლოცვებს ვისმენთ, ტელევიზორს ვთიშავთ, ვჩურჩულებთ, ჩუ, არავინ არ გავალცივით, როგორმე უნდა მივალნიოთ დაძინებამდე.

სიზმრის ცხაპური

რა უცნაური რამე შემემთხვა, ადრე თუ სიზმარს ცხადიდან ვღვრიდი, — ახლა სიზმარი ცხადთან შეერთდა, სიზმარ-ცხადს შორის ჩამიტყდა ხიდი.

და ახლა ვისმენ ღამის ხმაურებს, უკვე სიზმარში და არა ცხადში, და დღესაც სიზმარს ცხადში ავურევე, რადგანაც ღამის წინაშე დავრჩი.

და ასე სიზმარ-ცხადზე ჯვარცმული, როცა ვიძინებ ანდა ვიღვიძებ ! სიზმარში ცხადით ვარ გაკანრული და სიზმრის ელდა ახლავს სიფხიზლეს.

რა ეშველება ღამის ხმაურებს, როდის შეწყდება მდორე დინება, ღამე აწყდება სიზმრის ცხაურებს, ნავა და სადღაც მიეძინება.

ბურუსში გაფანტული ძმების გახსენება ნუკრის, კახას, ზაზას

როგორ მომინდა, მომესურვა თქვენთან სერობა ნასალამოვებს, თქვენთან ჯდომა უბრალოდ ქვაზე ან ხმელ კუნძზე. თუნდაც ტყის პირას ქალაქგარეთ, სადმე წყნეთის მიდამოებში, როცა ღამდება და ბურუსი ეცემა ტაფობს, ქალაქის ტაფობს, დამნუხრებულს ამაოებით. სერობა, ქვაზე ძველ გაზეთში გამოხვეული პური, ყველი, ძეხვის ნაჭერი. და თან მდელიოზე იქ, ტყისპირას, სადმე წყნეთის მიდამოებში სულ სამი ბოთლი, სამი ბოთლი კახური ღვინო. უბერავს სიო მახლობელი ტყის წიაღიდან აღწევს გრილი წყვიადის სუნი. მაგრამ ჯერ არ დაღამებულა. როგორღაც მოვხვდით აქ შემთხვევით. და ასე ვსხედვართ ზოგი ქვაზე და ზოგი კუნძზე. ალბათ ახლა არა აქვს აზრი რაზე ვსაუბრობთ და არც ჰქონია აქამდისაც. ჩვენ ბურუსის ნაფლეთში მოვხვდით და ამ ბინდ-ბუნდის თხელ გარსში ვართ გამოხვეულნი; თბილისის ახლოს, აქვე, წყნეთის მიდამოებში... ხანგამომშვებით ჩაიქროლებს გზაზე მანქანა და უცაბედად გადაისვრის ჩვენს ხმებს ბურუსში, ხოლო მერე კი ჩვენ ხელახლა ვინყებთ ცხოვრებას, ხელახლა ვამბობთ სათქმელს,

თითქოს წარსულს ვიხსენებთ. თითქოს ვიცივით, თითქოს ვტირით, თითქოს ვკამათობთ. თითქოს არ გვინდა ჯერაც წასვლა და აქ ვახანებთ, თითქოს რაღაცა ერთი სიტყვა ავიკვიატეთ და გამუდმებით ვუტრიალებთ ამ სიტყვას ირგვლივ, ვეღარც კი ვამჩნევთ ირგვლივ როგორ შემოგვადამდა, როგორ აინთო გზისპირებზე ელნათურები, რომლებიც ქალაქს მოთმინებით გადასცქერიან. და თითქოს წამით, თითქოს წამით ვწყდები საუბარს და გადავყურებ ელნათურას, იმ ვინრო სივრცეს, იმ ტყისპირას და გზატკეცილის მომცრო მონაკვეთს, ეს ელნათურა ზედ რომ აფენს ყვითელ სინათლეს. ხომ შეიძლება, რომ აქ დარჩე გაქვავებული და აქ რომ იდგე სიყვითლეში მთელი ცხოვრება, იქნებ ეს არის მონაკვეთი მარადისობის — ყოველივეს და ყველას მიმართ განურჩეველი, მაგრამ ეს აზრი იმავე ნუთს ჩამოშლილდება და ვუბრუნდები მე ბურუსში მოსაუბრებებს... უკვე დავლიეთ დასალევი, დროც გადავიდა, გამოვეფინეთ ტრასაზე და გზას დავადექით,

თითქოს ჯერ კიდევ ადრე იყოს, ნელა მოვდივართ, თავქვე ვეშვებით გაფანტულნი ქალაქისაკენ, უკან, ტყის თავზე რჩება დიდი, ბრდღვილა მთვარე, რომელიც არცერთ ჩვენთაგანს არ შეუმჩნევიდა. და ჩვენ ვბრუნდებით ვინრო გზაზე გამოფენილნი. მაგრამ მითხარით, სად მივდივართ, გზა საით გვიდევს, შეღვინებულებს, დაფანტულებს, ფეხარეულებს, ჩვენ ხომ შინ უკვე ვერასოდეს ვერ დავბრუნდებით, რადგან შინყოფნა აღარასდროს არ გვიწერია მას აქეთ, რაც კი ბავშვობიდან გამოგვაძვეს. იქნებ სახლია ჩვენთვის მთელი ყოფიერება და ამიტომაც უკვე არსად არ გვეჩქარება... ტყის წიაღიდან აღწევს გრილი წყვიადის სუნი და გაზაფხულის სუნთქვაც იძვრის იმავე წყვიადში, ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ მაინც უკვე საგრძნობი, ალბათ ვიღაც ღვთისნიერი წამოგვეწევა ალბათ მანქანას გამოვეყვებით ქალაქისაკენ, მაგრამ არ ვჩქარობთ, მივუყვებით ფეხით გზატკეცილს... როგორ მომინდა, მომესურვა თქვენთან სერობა ნასალამოვებს, თქვენთან ჯდომა უბრალოდ ქვაზე ან ხმელ კუნძზე, სადმე ტყის პირას ქალაქგარეთ, აქვე წყნეთის მიდამოებში, როცა ღამდება და ბურუსი ეცემა ტაფობს. სადა ხართ, ძმებო, სად ნახვედით ამ ბურუსიდან?

მატარებლის ხმა

გადაიქროლა ჩემმა წარსულმა მატარებლებად მყიფე ხმაურით და ყველაფერი მალე დასრულდა — მთვარის პირისპირ დარჩა ცხაური. და ახლაც ხშირად შორიდან აღწევს ის ხმა ბორბლების ჩუმი ფეთქებით და ამ ხმითა ვარ ხელახლა სავსე, მე რომ მანყდება თავგამეტებით, ნაშუალამევს ამ ხეებს იქით, ამ ქუჩებს იქით, მდინარის მიღმა, მატარებელმა გადაიქროლა და ხმა კი დარჩა ძალიან დიდხანს...

ხვედრი

შენ ხარ ქმატრია — უნდა ემსახურო რწმენას და მახვილს. ბჰაგავატგიტა

მე აღარ დამრჩა აღარც რწმენა, აღარც მახვილი, რადგან რაც მოხდა, ის ვერასგზით ვერ გავიზრე, და კვლავ ქანაობს ეს სიცოცხლე, როგორც ძახველი, ქანაობს ყოველ დაბერვაზე, ყოველ ნიაგზე. ამაზე კარგი ხვედრი მაინც არ მინატრია, თუმც არ მეგონა ტკენა ასე თუ გამსჭვალავდა და ვზივარ ახლა მოცელილი როგორც ქმატრია, რომლის ცხოვრებაც უბრძოლველად არ ღირს ჩალადაც.



დასაწყისი N 55

ლაშა იმედაშვილი

ქართული მანონი



ხმალიაქმ გამრა. მოულოდნელობისგან ვერაფერი მოახერხა და ისლა შესძლო, რომ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია, თითქოს მართლაც არ იცოდა საკუთარი უფროსის გვარი და ამ გვარის გამხელის სურვილი ჰქონდა ისევ და ისევ ეთერისგან.

– ვიქტორ ლომთათიძე, ჩვენთანაც ბევრჯერ ყოფილა, რომ ჰკითხო, ჩემს ქმარს ემეგობრება, რას იტყვი?!

ყოველგვარმა პასუხმა აზრი დაკარგა. ხმალიაქმს სირცხვილით თავი არსად გამოეყოფოდა და საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა, შესაძლოა, ეს თავიც დაეკარგა. ხელი ხელს ბანსო, სწორედ ამაზე იყო ნათქვამი. ხმალიაქმ იძულებული შეიქნა, ეთერის ნესებით ეთამაშა და სანუგეშოდ ისლა რჩებოდა, რომ ქალებს მასზე ძლიერი მამაკაცებისთვისაც სრულიად ადვილად მოუგრეხიათ კისერი.

თბილისში სიცხვეები დაიწყო.

დედაქალაქის სასწავლებლების გათბობა, არსებული ხელშეკრულების თანახმად, „მექარხნეთა საზოგადოებას“ ევალებოდა, მიუხედავად ამისა, ხსენებული საზოგადოება საკუთარი მოვალეობის შესრულებას არ ჩქარობდა და თავის გასამართლებლად მიზეზი არ ელყოდა. ხან უმაზუთობას იმეულებდა, ხან უფულობას, ხან კიდევ სხვა რამეს. ამის გამო, მეტად კი აუტანელი სიცხვის გამოისობით, სასწავლებლებში სწავლა ძნელდებოდა. მასწავლებლები, მოსწავლეები და სხვა მუშაკნი დღენიდავად ავად ხდებოდნენ, ხან კი გამგეობა იძულებული ხდებოდა ყველა დროზე ადრე გაეთავისუფლებინა, რის გამოც სწავლის პროცესი ჩაშლის პირას იდგა.

არც თბილისის უნივერსიტეტი ყოფილა გამონაკლისი.

ელენე ლეონიძემ, სწორედ აუტანელი სიცხვის გამო, ხუთი წუთით ადრე მიატოვა სამსახური, უნივერსიტეტის ბიბლიოგრაფიული განყოფილება, და სახლისკენ ფეხით გაემართა. ერთი სადარდებელი მინც გამოჰყვა სამსახურიდან, რომანი, რომელსაც წერდა, მაგიდის უჯრაში დარჩა. არადა, ჩვეულებისამებრ, დამალვას აპირებდა, მაგრამ განყოფილების უფროსმა იხმო, ახალი დავალება მისცა და მასაც ხელნაწერის ადგილის შეცვლა გადაავიწყდა.

გარეთ გამოსულ ელენეს ეცვა გახუნებული ლურჯი დრაპის პალტო და ეხურა ყავისფერი, ნაქსოვი ბერეტი, თუმცა ეს სამოსი სუსხისგან მაინც ვერ იცავდა. ამის ბრალი იყო, მეტად კი ნაცნობის, რომელიც აქამინდის შეუფერებელი გრძელი საუბარი გაუბა სიცხისგან შენუხებულ ელენეს, რომ იგი უკან აღარ შებრუნებულა მივიწყებული ხელნაწერის ასაღებად და სწრაფი ნაბიჯით მელიქიშვილის ქუჩას გაუყვა. ათიოდე წუთში ბაქრაძის ქუჩას მიაღწია და ის იყო, სადარბაზოშიც შეასწრებდა, მაგრამ არ დასცალდა. სწორედ ამ დროს მის ფეხებთან შავი მანქანა შეჩერდა, გაიღო კარი და მანქანიდან გადმოსულმა მამაკაცმა საკმაოდ თავაზიანად მიუთითა ელენეს ღია კარისკენ. ელენე დამორჩილდა და თავი მანქანაში მჯდარი ქალის გვერდით ამოჰყო, რომელსაც ყავისფერი პალტო ეცვა და ასეთივე ყავისფერი ქუდი ეხურა. მანქანა დაიძრა და გეზი შინსახკომის ციხისკენ აიღო.

ელენე დასვეს მოსაცდელ ოთახში იატაკზე დაჭედებულ ტაბურეტზე, მეთვალყურედ მიუჩინებ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავჩაქინდრული რალაცას ჩაჰკირკიტებდა. ორივენი გრძნობდნენ უხერხულობას, უფრო კი ნუხილს ირგვლივ გამეფებული სიჩუმის გამო.

– ვის ველოდებით? – იკითხა ელენემ, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, დახმულ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო.

ლოდინი და გაუსაძლისი სიჩუმე ექვს დღეს გაგრძელდა. ამ სიჩუმეს დროდადრო გასაღების ღრჭიალი არღვევდა, რომლის ხმის მოსმენა მხოლოდ მიცვალებულის ყურთასმენას არ შეჰზარავდა. ეს დღეები გამოძიებას უქმად არ დაუკარგავს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ჩხრეკა ჩატარდა, რა თქმა უნდა, ჩხრეკის მიზეზი თანამშრომლებისთვის არაფერი უთქვამს. ხელს გააყოლეს რამდენიმე ყუთი ნივინი და ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელი მიხეილ აბულაძე, რომელიც, ამ შემთხვევის შემდეგ, თვალში აღარავის მოხვედრია.

მეშვიდე დღეს პატიმარს მოაკითხა ციხის დარაჯმა და ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში ნახიროვით წინ გაიგდო. მგზავრობა გაგრძელდა ორიოდ წუთს და დასრულდა გამოძიებულ მარქაროვის ოთახში. ეს მარქაროვი განთქმული გახლდათ განსაკუთრებული სისასტიკითა და დაუნ-

დობლობით. კლასობრივ მტრებს არაფერად აგდებდა და, სანამ კაბინეტში გადაინაცვლებდა, მათ საკუთარ ტოლ-ამხანაგებთან, სავიციოსთან, ხაზანთან, პარამონოვთან, კრიმიანსკის და ლოლობერიძესთან ერთად, პირდაპირ ქუჩაში ხვრეტდა. მიზეზად ყველაფერი გამოდგებოდა, თუნდაც ევროპული ქუდი ტროფაილი და ტარება. ამის შესახებ ელენესაც ჰქონდა გაგონილი, მაგრამ გამოძიებელი მარქაროვი თვალთ არასოდეს ენახა, ამიტომაც, ჯერჯერობით მაინც, თავს შედარებით ლალად და სხვაგვარად შედარებით თამამად გრძნობდა.

– თვალები რატომ გაქვთ დანთლებული? – ჰკითხა მარქაროვმა მის წინ მჯდარ ქალიშვილს.

– უძილობის ბრალი უნდა იყოს. – უბასუხა ელენემ და იქვე დაამატა – მითხარით, რატომ დამაპატიმრეს.

– ამხანაგმა ტალახაქემ დაადო სანქცია თქვენზე დაპატიმრებას.

– მითხარით, რატომ დამაპატიმრეს?!

– გაიმეორა ელენემ.

– დრო მოვა და გაიგებთ, ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს, თქვენგან განსხვავებით, მანამდე კი განანგეს უნდა დაემორჩილოთ. – თქვა მარქაროვმა და პატიმარს ისეთი მზერით შეხედა, რომლის მსგავსსაც ციხის გარდა ვერსად ნაანწყებია ადამიანი.

ოთახში დაბალი კაცი შემოვიდა, თან გამურული დაფა შემოიტანა, ელენეს მაჯაში სწვდა და ხელის მტვეანი დაფაზე ისე დაადებინა, თითქოს ნაჯახით მისი მოკვეთა ჰქონდა გადაწყვეტილი. ერთი მოამთავრა და მეორე ხელს მისდგა, შემდეგ კი საკუთარი ბარგი-ბარხანა აკრიფა და დერეფნის წყვილადმი გაუჩინარდა.

გაუსაძლისი ლოდინი ყოველთვის იყო და, კაცმა რომ თქვას, დღესაც რჩება ციხეში მოხვედრილი ადამიანის მთავარ ჯალათად. ელენეს ყველაზე მეტად გულს ის სტკვენდა, რომ გამოძიებელი არავინ ჰყავდა. მხოლოდ ერთხელ დაავლენინა სიტყვა კარის დარაჯს და ამ სიტყვაშიც სანუგეშო ვერაფერი იგრძნო.

– მითხარით, ნებაყოფლობით მუშაობთ აქ?

– შიშით აქ რა გამაძლებინებდა, პატიმრები რომ არ მეგულებოდეს, – ჩუმად უთხრა დარაჯმა და აქეთ-იქით მიმოიხედა იმის შიშით, ვითუ მათი საუბარი ვინმეს გაეგო და უფროსთან ენა მიეტანა, რაც სამსახურის დაკარგვას ნამდვილად ნიშნავდა.

ერთ კვირას მეორე მიჰყვა. გამოძიებელი გამოიცვალა, მარქაროვის მაგივრად ჩიტაია დანიშნა, რომელიც ელენეს ნაკლებად უბღვირდა და ადამიანით თუ არა, ძალღვივით მაინც აღარ ექცეოდა გამუდმებით გაურკვევლობაში მყოფ პატიმარს.

ჩიტაია გამოცდილ მუშაკად ითვლებოდა და ჯერ კიდევ იმ დღიდან ბრძანდებოდა პარტიის წევრი, როდესაც ეს პარტია სულ რალაც ათასიოდე წევრს ითვლიდა. ამიტომაც იმთავითვე საპასუხისმგებლო დავალებებით ტვირთავდნენ. ხოლმე, სულ ახალგაზრდა ლადო კეცხოველთან ერთად სტამბის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა. კეცხოველი მაშინ გაიცნო, როდესაც მეტეხის ციხეში უსამართლო მუშტი-კრივისთვის მცირე სასჯელს იხდიდა. ორივენი, კეცხოველიცა და ჩიტაიაც, ერთად გათავისუფლდნენ. სტამბის ჩამოყალიბება მაშინ გადაწყდა, მაგრამ უფულობის გამო რამდენიმე თვით შეფერხდა. კეცხოველმა ხერხი იხმარა, ძმას მისწერა და ვითომდა სწავლის უსაგარძელებლად ორასი მანე-

თი მოსთხოვა, რომელიც მალევე მიიღო. ვორონცოვის ქუჩაზე ვინმე თურქისგან იქირავეს ოთახი და, სახლის პატრონი წყნარად რომ ყოფილიყო, შეგირდად მისი შვილი, ნური დაიყენეს. გაზეთს მაინც ვერ სცემდნენ, აკლდათ დაზგა, ფირფიტა, ლერძი, საღებავი და ბევრი სხვა რამეც მოუგვარებელი ჰქონდათ. ერთ დღესაც შაპოშნიკოვის სტამბას ესტუმრნენ, თითქოს სადარბაზო ბარათების დაბეჭდვა ჰქონდათ განზრახული, სინამდვილეში კი რამდენიმე მუჭა შრიფტი გააყოლეს ხელს. ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდა და „ისკრის“ ოთხი ნომერი დაიბეჭდა, ამას მოჰყვა ქართული გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც შინაარსით რუსულისგან დიდად არ განსხვავდებოდა. როგორც იმ დროს ნელად ჰქონდათ, ყველაფერი ლენინს მისწერეს, მისგან კი ამ საქმის გამო გერმანულ-ებრაული მადლობა დაიმსახურეს. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ დღესაც ოხრანკამ დააპატიმრა ჩიტაიას საყვარელი, ექიმი გინსბერგი, რომელსაც სახლში აკრძალული ლიტერატურა და მიმონერა აღმოაჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამას მოჰყვა სხვა დაჭერებიც, მათ შორის ჩიტაიასი და კეცხოველის. მოგვიანებით კეცხოველი მოჰკლა ციხის დარაჯმა საკნიდან საკანში გადალაპარაკების დროს, ხოლო ჩიტაია ხანგრძლივი პატიმრობისგან იხსნა საერთო-სახალხო ამბოხმა, იგივე რევოლუციამ.

აი, ასეთ გამოცდილ მუშაკს უნდა ნაყვანა ელენეს საქმე.

– რა იყო, ელენე, ცუდად ხომ არ ხარ?!

– იკითხა გამოძიებელმა და სკამიდან წამოდგა. – თავი თუ გტკივა, ფანჯარას გამოვალე, უკეთესად გახდები.

სარკმელი მართლაც გამალო, მაგრამ მალევე მიხურა.

– სიცხე შემოდის, არ მინდა რომ გაცივდე.

– რას ითხოვთ ჩემგან? ან ის მაინც მითხარით, რაშია საქმე?

– შენს რომანში, რომელიც სამუშაო მაგიდის უჯრაში დაგჩინია.

– ჩემს რომანში სახელმწიფოს საზიანო არაფერი სწერია, თარგმნეთ რუსულად და გაგზავნეთ მოსკოვში, თუ მთარგმნელი არ გყავთ, დაგეხმარებით და მე თვითონ ვთარგმნი.

– შენი დახმარება სხვა რამეში გვჭირდება.

– მაინც?

– რომანი უნდა დაასრულო.

ეგ რომანი ხომ... კინაღამ წამოსცდა ელენეს, მაგრამ რალაც ძალად შეაჩერა და იმავე ძალად უკარნახა თუ ჩასწორრულა, რომ ამ ყველაფრის, დროებით მაინც, სათავისოდ გამოყენება შეეძლო.

– რომანს სახლშიც დავასრულებდი, რალა საჭირო იყო ჩემი დაპატიმრება?

– ხელმძღვანელობამ ასე გადაწყვიტა, სამუშაო პირობებს შეგიქმნით, რა თქმა უნდა, სრულ გათავისუფლებას ვერ დაგპირდები, მაგრამ შეღავათიან რეჟიმს არ დაგამადლი, რაც მთავარია, საქართველოში მოიხდი პატიმრობის ვადას, – ჩიტაია წამით გაჩუმდა და იქვე დაამატა, – შენ ნიჭიერი მწერალი ხარ, სასჯელს რომ მოიხდი, ახალ ნიგნებს დაბეჭდავ, მე კი ვიყიდი და სახსოვრად შექნება.

– მომიტანეთ, ვეცდები რომ დავასრულო, – დათანხმდა ელენე და, კაცმა რომ თქვას, სხვა რა გზა ჰქონდა დარჩენილი. ამ შემთხვევის შემდეგ პატიმარ ლეონიდის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მართალია, თავისუფალი ადამიანისა ვერ შეედრებოდა, მაგრამ სხვა

ტუსალებთან შედარებით მეფურსა ჰგავდა. საქმელი ნორმალური შემოსდიოდა, აბანოს საშუალებაც გამოჩნდა, ამჯერად მხოლოდ კვირაში ერთხელ, მაგრამ ესეც საქმე იყო. პატიმარ ლეონიდეს მხოლოდ ერთი რამ ევალებოდა, რომანის დასრულება, თანაც რაც შეიძლება სწრაფად, ამისთვის კი იმპერიის საიდუმლო სამსახური არც კალამს იმურებდა და არც ფურცელი ენახებოდა.

შური რომ იყო ყველაფრის სათავე, ამას ჩიტაიას მიკიბულ-მიკიბული საუბარიც ადასტურებდა. ასეთი ამბების შესახებ, ჭორად მაინც, ელენესაც ჰქონდა გაგონილი. ვილაცას ვილაცის ცოლი მოსწონდა და მეუღლის დაბეჭდვით მის მოპოვებას ახერხებდა, ვილაცას სხვისი ბინა მოსდიოდა თვალში, ვილაცას სამსახური და დანაწარმება, მაგრამ საქმე რომ მხატვრული შემოქმედების მითვისებაზე მიდგებოდა, მართლაც ძნელი დასაჯერებელი გახლდათ, არადა, ელენეს თავს გადამხდარი ამბავი სულ საპირისპიროს ადასტურებდა.

მაინც ვის უნდა დასჭირვებოდა ელენე ლეონიდის რომანი?

მეგობრებს?

სავსებით დასაშვებია, რადგან იმ შავ-ნელ დროში მეგობრის ნდობაც ძნელი იყო. მაგრამ მეგობრებს ელენეს რომანი ნაკითხულიც კი არ ჰქონდათ, მეტიც, ვერც კი წარმოედგინათ, თუ ელენე მხატვრული შემოქმედებით იყო გატაცებული.

თანამშრომლებს?

ეს სავსებით დასაჯერებელი გახლდათ, რადგან ელენე საკუთარ რომანს ბიბლიოთეკაში ინახავდა. პირველი, რაც პატიმარს გაახსენდა, სამსახურში მის გვერდით მჯდარი ეთერ დავითაშვილი იყო. გვარსახელის გახსენებას იმ საუბრის მოგონება მოჰყვა, რომელიც ექვსიოდე თვის წინ შესდგა და რომლისთვისაც ელენეს მაშინ დიდი ყურადღება არ მიუქცევია.

საუბრის გახსენება, რომელიც ისევ და ისევ ბიბლიოგრაფიული განყოფილების კედლებში მომხდარა, დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, მითუმეტეს, რომ ამ საუბრიდან არც ისე დიდი დრო იყო გასული, როგორც უკვე ითქვა, სულ რალაც ექვსიოდე თვე.

– რა კარგი რომანი დაგინერია, ელენე,

– უთხრა მეგობარ-თანამშრომელმა ერთ-ერთი შეხვედრის დროს.

– რომანი? – გაიკვირვა ელენემ.

– რამდენიმე გვერდის ნაკითხვა მოვასწარი, სანამ ტელეფონზე გამოგიძახეს.

– სად ნახე?

– მაგიდაზე დაგჩინოდა სიჩქარეში.

– მაგიდაზე მე არაფერი დამიტოვებია.

– ვიცრუე, – გამოტყდა დავითაშვილი,

– უფრიდან ამოვიღე, ხომ არ მიზრახდები?

– ეხლა რალა, მაგრამ ჯობდა ჩემთვის გეკითხა და გეტყოდი, ჯერ ნაკითხვა არ ღირს.

– ვითომ რატომ?

– დაუსრულებელია და იმიტომ, – იცრუა ელენემ.

– მე ვერაფერი შევატყვე, ისე კარგად იკითხება, ეჰ, ნეტავ ეგეთი რომანი დამანერინა.

– მაინც როგორი.

– პატრიოტული გრძნობებით აღსავსე, ისეთი, როგორიც ჩვენს ხალხსა და ჩვენს დიად სამშობლოს შეეფერება, აი, როგორებსაც დავით კლდიაშვილი წერდა.

– ეგ მოთხრობებია, – შეუსწორა ელენემ.

– ვიცი, მე შემოქმედების ძალას ვგულ-ისხმობდი, მის ნაწერებში მწარე სინამდვილესთან ერთად საამური მომავლის ნიშნები გამოსჭვივის.

ამის შემდეგ ეთერი გაჩუმდა. ალბათ ნათლად წარმოედგინა ის დრო, როდესაც კრიტიკოსთა არმია ქება-დიდებას შეასხამდა სასიქაღულო მწერალს, მთავრობაც დაფავსებდა და მის ნაწარმოებს სასკოლო სახელმძღვანელოშიც შეიტანდნენ. არ იყო გამორიცხული, ვინმეს სადისერტაციო ნაშრომიც კი დაეცვა, თუნდაც ასეთ თემაზე: ტარა ზუნდელის პატრიოტული შემოქმედება. რა თქმა უნდა, იმ დროისთვის ეთერ დავითაშვილს ძველი გვარ-სახელი დაბრუნებული ექნებოდა, რადგან წარსულის შეცდომით თუ სირცხვილი აღარ დატანჯავდა, ხელოვანს ხომ თავის მოკვლაც ეპატიება და თავის მოკვლის მცდელობაც.

– ხომ მალე დაასრულებ? – ჩურჩულით იკითხა ეთერი.

– დავასრულებ, აუცილებლად დავასრულებ, – წყნარად თქვა ელენემ და ნიგნების ბარათების დახარისხებას მიჰყო ხელი, რადგან შესვენება უკვე ხუთი წუთის დასრულებული გახლდათ.

რალა დიდი მიხვედრა უნდა, ეთერ დავითაშვილის ხელი ერია ამ საქმეში, რომელ-

საც, რადაც უნდა დასჯდომოდა, სახელის მოხვეჭა ჰქონდა გადარწმუნებული, ამისთვის კი მიზნად ელენე ლეონიძის რომანის დასაკუთრება-მითვისება ჩაეთქვა გულში. ელენეს ბედი დავითაშვილს არაფრად ენადვლებოდა, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში ციხე-ბანაკებისთვის ჰყავდა განწირული.

ელენემ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ საკუთარი რომანი არ დაეთმო. მართალია, ამით წამხდარ საქმეს ვეღარ გამოასწორებდა, მაგრამ ცოტა ხნით მაინც შეიმსუბუქებდა მდგომარეობას, წერას გააჯანჯლებდა და დროსაც მოიგებდა. კაცმა რომ თქვას, პატიმარ ლეონიძეს არსად ერქარებოდა.

სამაგიეროდ, ჩქარობდა დავითაშვილი, სულ იმის ფიქრში იყო, როგორმე რომანი ხელში ჩაეგდო და, როგორც ამბობდა, შემოქმედ ხალხში გარეუღიყო. ამ ფიქრით ხმალაძესაც გვარიანად აწუხებდა, თან სულ იმის სხენებაში იყო, ხომ გახსოვს, ლენის სული ხელთ მიპყრია, არ გამაბრაზო, თორემ წერილს პირდაპირ მთავრობაში ვაფრენ და იმასაც მოვახსენებ ხელმძღვანელობას, თუ როგორ გათქვი საკუთარი თავი და ოპერაცია საფრთხის წინაშე დააყენე. ორ ცეცხლს შუა მოქცეული საბრძოლო ხმალაძე პატაკს პატაკზე ადგენდა და ზემდგომებს სთხოვდა, ცოტა ხანი მაცალეთ, საცაა სამალავის ადგილსამყოფელი დადგინდება, რა თქმა უნდა, ეთერ დავითაშვილის წყალობითა და დახმარებით, რითაც, თავისდაუნებურად, ელენე ლეონიძის ბედ-იღბალზე ზრუნვაც გამოსდოდა. ამით ელენეც სარგებლობდა, ვითომ რომანს ჩაჰკრიკებდა, სინამდვილეში კი სულ სხვა რამით იყო დაკავებული. თუმცა ერთი-ორი ადგილი, რომელიც ჯერ კიდევ თავისუფლებაზე ყოფნის დროსაც საჩოთითოდ ერქვებოდა, მართლაც ჩაასწორა, მართლწერასაც მიხედა, მაგრამ ამის იქით აღარ წასულა და მთელ დღეს ქალაქში ციხის შთაბეჭდილებებს ინიშნავდა. მართალია, ელენე გუშანით გრძნობდა, რომ მთავარი შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ წინ იყო, მაგრამ რამე რომ არ დაეინწყოდა, უმნიშვნელოსაც კი თავის მესაიდუმლო ქალაქს ანდობდა.

რამდენიმე თვის ლოდინმა, იმედგეროულად ოპერატიულმა მუშაობამ და თვალთვალმა შედეგი ვერ გამოიღო. დავითაშვილის სამალავი არ ჩანდა და აღარც რომანის დასრულებას დაადგა საშველი. საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელობა და ეთერ დავითაშვილი მოთმინებას ერთდროულად კარგავდნენ. ნათლად ჩანდა, პატიმარი ლეონიძე რომანის დასრულებას არ აპირებდა, ხოლო სამეურნეო მუშაკი დავითაშვილი სამალავის გათქმა-გამოკლებას.

ორივეს ბედი თითქმის ერთდროულად გადაწყდა.

ლამით დააპატიმრეს მძინარე დავითაშვილი. დაპატიმრება, სხვა ყველაფერთან ერთად, იმანაც დააჩქარა, რომ იაგო დავითაშვილი, საგარეო ვაჭრობის კოლეგიის გადაწყვეტილებით, იმ დელეგაციის ხელმძღვანელად გახლდათ დანიშნული, რომელიც იტალია-თურქეთში მიემგზავრებოდა აბრეშუმის თხლის შესაძენად. არსებობდა განძის საზღვარგარეთ გატანისა და დავითაშვილის საბოლოოდ მიმალვის ალბათობა, დაყოვნება საქვეყნო საქმეს არ ნაადგებოდა.

ხუთსაათიანმა დაკითხვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგი გამოიღო და სამალავის ადგილსამყოფელიც ნათელი შეიქნა. შაქროსა და კატოს ნაყაჩაღარი ნივთები აღმოჩენილ იქნა სოფელ მელანში, დავითაშვილის საყვარლის, თებრონია ქუშიციკაშვილის მამაპაპისეული სახლის სხვენში. თებრონია მსახურობდა დავითაშვილის უწყებაში დამლაგებლად და, როგორც ჩანს, უფროსის უსაზღვრო ნდობითა და სიყვარულით სარგებლობდა. აქვე აღმოჩნდა პროკლამაციის ფურცელი, რომელიც უფროსისა და მისი საყვარლის დანაშაულის ერთი-ორად ამძიმებდა.

თუ უშიშროების საარქივო მასალებს დაეჯერება, პროკლამაციის მინარსი ასეთი გახლდათ:

მამულიშვილი!

საქართველო განსაცდელშია! რუსეთს ობობასავით თავის ხლართებში ვყავართ გაბმული და სისხლსა გვწოვს. დღეს, როდესაც მსოფლიოს დიდმა სახელმწიფოებმა თავისი ნებით გაათავისუფლეს კოლონიები, იმპერიალისტური რუსეთი კიდევ უფრო მაგრად უჭერს მარნუხებს დაპყრობილ ერებს. ველიკორუსული შოვინიზმის ფსიქოზით დაავადებულ კრემლს არ სურს შეიგნოს, რომ ძალადობაზე, მუქარაზე, შიშზე დაფუძნებული ყველა სახელმწიფო დანგრეულია და ისიც განწირულია

დასალუჰად. ბოლშევიკური რუსეთი ზეიმობს თავის შვიდ ნომბერს, რომელსაც, როგორც დამონების დღეს, ისე უყურებენ საბჭოთა იმპერიაში შეხვეული ერები. კრემლის იმპერიალისტებმა იმდენი მოახერხეს, რომ საქართველო გააპარტახეს და ცდილობენ, რომ სულიერადაც გადაგვავარონ: ჩვენს ერს არასდროს შეუწყვეტია ბრძოლა თავისუფლებისთვის და დღესაც მტკიცედ აცხადებს: რუსებო, ნათელით საქართველოდანი!

ერთი მუჭა ქართველები.

მომრი დაკითხვაზე დავითაშვილმა აღიარა, რომ პროკლამაცია გადასცა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგემ, მიხეილ აბულაძემ, ხოლო ნაქურდალით აპირებდნენ იარაღის მოგროვებას, ამ იარაღის შექმნაში კი უნდა დახმარებოდა აბულაძის ძმა, რომელიც იმხანად თავდაცვის სამინისტროში მსახურობდა. მართალია, ეს იარაღი ბოლშევიკური რეჟიმის საფუძვლებს ალბათ ვერ შეარყევდა, მაგრამ ერის გამოფხიზლების საქმეს კი წაადგებოდა. ამას მოჰყვებოდა საქართველოში გაბნეული ორგანიზაციის ხელისშემწყობთა მოზრდილი სია, რომელშიც, როგორც რიგითი დამხმარე, ელენე ლეონიძეც აღმოჩენილა. ორგანიზაციის წევრად ელენე დაუსახელებია საკუთარ უფროსს და იქვე აღუნიშნავს: პროკლამაციების გასაკრავი ნებო და ფუნჯი სწორედ ელენეს მიუტანია. ნებო სახელგამის მალაზიაში შუქმენია, ხოლო კენგურუს ბენისგან დამზადებული ფუნჯი, რომელიც არ ხმებოდა და სხვადასხვა ტემპერატურულ სხვაობას ადვილად იტანდა, მისთვის გადაუცია საქართველოს სახალხო მხატვარს ევსტიხი გულისპარელს. მხატვრის საქციელი მართლაც გაოცებას იწვევდა, რადგან სახელთ თუ დიდება რევოლუციური თემატიკითა და ბელადების პორტრეტების შექმნით მოეხვეჭა, თუმცა, როგორც გამოიჩინა, საქმით ერთს აკეთებდა, გულის სიღრმეში კი მორცხე ფიქრობდა.

ასე გაიხსნა ორგანიზაცია „მუჭულები“ გახმაურებული საქმე, ისევ და ისევ პოლკოვნიკ ჩიტაიას ძალისხმევით, რომელსაც განუული შრომა დაუფასდა და რამდენიმე თვეში საშუალოდ დიდი ქვეყნის დედაქალაქში იქნა გადაყვანილი.

დაჭერა-დაპატიმრებებს ქვეყნის საღარჯოზე მდგარი ფიზიკელი ქართველების მხრიდან სათანადო გამოხმაურება მოჰყვა. აფრასიონ ყრატაძემ, როგორც ჩვევად ჰქონდა, უკან არც ამჯერად დაიხია და ორმოქმედებიანი პიესა, „ნაკაცარები“ შექმნა, რომელიც წარმატებით დაიდგა რამდენიმე სახალხო თეატრში. განსაკუთრებით ქალები აქტიურობდნენ და წერილს წერილზე სწერდნენ.

ერთი ასეთი ანანია კვიციანი გახლდათ, რომელმაც წერილით — „ისტორიამ გაგვამართლოს“ — ბოლო ლურსმანი ჩააჭყდა „მუჭულების“ ისედაც გვარიანად დაჭყდილ კუბოს თავსახურს.

„დღეს ყველა ხედავს, თუ რა კეთდება საქართველოში, თუ როგორი სისწრაფით ვითარდება აღმშენებლობა, როგორ უვლის ხელისუფლება ჯანმრთელობას, როგორ არის დასერილი ყველა მისი კუთხეები საქმიო პუნქტებით, როგორ სწრაფად მიაბიჯებს წინ განათლების საქმე, როგორ ზღაპრულად იზრდება დღეს ქართული წიგნისა და გამოცემების საქმე, როგორ ფასდება მუშის შრომა. ნუთუ ყოველივე ამას, აღმშენებლობის გიგანტურ მსვლელობას უარი უნდა უთხრათ, მართლაც და ერთი მუჭა ქართველების გამოისობით?! დაე, გაიგონ, ჩვენ ვინამეთ ეს საქართველოს სინამდვილე, ვინამეთ საბჭოთა საქართველო, ერთდროულად დადგებით მის საღარჯოზე, არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხივთ, ყოველ მათ ყვირილზე კიდევ უფრო მჭიდროდ შევაკავშირებ ჩვენს რიგებს ხელისუფლებასთან, რათა დავიცვათ საბჭოთა კავშირი ყაჩაღებისგან. ასე მოვიქცევით ჩვენ და დაე, ისტორიამ გაგვამართლოს.“

ეს შემოთქმება, როგორც ჩანს, ოლგა კვიციანისა და გაუზიარებია და მცირე ნაშრომში შეუქმნია სათაურით — „ქართველ ქალებს“.

„რამია საძმე“

ამ დღეებში დააპატიმრეს ჟორდანიან-რამიშვილის მიერ წარმოგზავნილი ემისარო, რომელსაც, როგორც მასთან ერთად დაპატიმრებულთა დოკუმენტებიდან ჩანს, დავალებული ჰქონდა შეედგინა პარიტეტული კომიტეტი. ამ კომიტეტს უნდა მოეხდინა აჯანყება, აერჩია დროებითი მთავრობა, გამოეცხადებინა დეკლარაცია და

სხვადასხვა.

მაგრამ ჩვენი, ქართველი ქალების ვალია, მედგრად ვიდგეთ თავის საღარჯოზე, ჩვენ უნდა ვეცადოთ არ მივცეთ ავანტიურისტებს არც ერთი ქართველი ახალგაზრდა. ქართველი ქალი! შენ ყოველთვის იდეალ ქვეყნის მსხნელებთა პირველ რიგებში, შენ ასეთ დროს არ შეგიძლია გულხელდაკრეფილი იდეა, ისტორიული მომენტი მოითხოვს შენს აქტივობას.

ხმა ამოიღე ქართველო ქალი!

დაგმე, დაშანთე სოციალისტური სამშობლოს მტრები!“

ამ ამბების შემდეგ პატიმარი ლეონიძის სიცოცხლე გახვეტილ გროშადაც კი აღარ ფასობდა. მართალია, დახვეტიას სასწაულით გადაურჩა, მაგრამ ოცდახუთწლიანი პატიმრობას მაინც ვერ ასცდა. რომანი, რა თქმა უნდა, ჩამოართვეს, არც კალამი და ფურცლები შეარჩინეს, თუმცა ელენემ მაინც მოახერხა და პატარა ნაგლეჯის დახმარებით ოჯახს ის შეატყობინა, რომ ეტაპით მორეულ გზებს გაუყენებდნენ. მატარებელი ნავთილულის სადგურიდან გადიოდა, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ელენემ თავისიანებს თვალი ვეღარ მოჰკრა, არადა, ელენეს ნათესავებს კანვოს უფროსისთვის ოთხასი მანეთი და სურსათ-სანოვანა გადაუციათ, თუმცა ამ ყველაფერს პატიმრამდე ვეღარ თუ აღარ მიუღწევია.

ამის შემდეგ ელენე აღარავის უნახავს. სავარაუდოდ, მისი ძვლებიც იმ ყინულებში ჩარჩა, რომლის უკიდევანო სიღრმეებსაც ყველა ხელისუფლება მანამდე და მის შემდეგაც ასე გულმოდგინედ და ჯიუტად ავსებდა.

ღირდა კი ერთი დაუსრულებელი რომანი ამოდენა დავიდარაბად?

პატიმარ ლეონიძისთვის რომ ეკითხა ვინმეს, რა თქმა უნდა, თავს დააქნევდა და ათეული თუ არა, ერთი-ორი მიზეზი მაინც აღმოაჩნდებოდა საკუთარი შეხედულების დასაცავად. ჯერ ერთი ის, რომ დამნაშავე არ იყო, მეორე კიდევ ის, რომ საკუთარი რამის ძალით დათმობა მამინაც ისევე ლახავდა დადამიანის ღირსებას, როგორც ამ დროის შემდეგ. მესამე მიზეზი კი, მთავარს რომ ეძახიან, სწორედ ის უნდა ყოფილიყო: საქმე ის გახლდათ, რომ ელენე ლეონიძეს რომანი კარგა ხნის დასრულებული ჰქონდა, ამას კი ყველა მიხვდებოდა, ვინც რომანს ცალი თვალთ მაინც ჩახედავდა.

ვითომ ამით რა იცვლებოდა?

ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ. გადასცემდა საკუთარ რომანს ლეონიძე ტარა ზუნდელს, ისიც დაანერდა საკუთარ გვარ-სახელს, ამოჰყოფდა თავს მწერალთა კავშირში, მოითხოვდა სახელსა და დიდებას, უმალ მიიღებდა ორივეს და უნიჭოთა თუ გაკეთებული ნიჭის მწერალთა ასეულში ერთ-ერთი მეთაური თუ არა, რიგითი წევრი ნამდვილად შეიქნებოდა. არადა, ხელის ნაკვრა ნიჭს სჭირდება, თორემ უნიჭობა თავისითაც გაიკვლევს გზას. ასე რომ, უნიჭობასთან ბრძოლაც პატრიოტიზმი უნდა იყოს, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. ასე მიაჩნდა ელენე ლეონიძეს დაპატიმრებამდე და, რა გასაკვირიც უნდა იყოს, დაპატიმრების შემდეგაც.

ისე, თუ ვინმეს აინტერესებს, რომანს ასეთი დასასრული ჰქონია: კაცი, რომელიც სამშობლოს გაიმეტებს, დაუნდობელი მხეცია და სადაც უნდა დაიდოს ბუნავი, ყველგან მიწვდება მშობლიური ცის კივილი და სიკვდილამდე შეაძრწუნებს.

დრომ ამ რომანის შესახებ სხვა არაფერი შემოგვინახა და ეს რამდენიმე წინადადებაც სრულიად შემთხვევით გადარჩა, ისევ და ისევ პოლკოვნიკი ჩიტაიას წყალობით, რომელიც ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს სადღეგრძელოს სახით სხვადასხვა სუფრაზე თამადაობისას, რა თქმა უნდა, მოსკოვში და, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე.

— ტყუილია! — იყვირა ანდროს სიდემრმა, რითაც მეორე ოთახში მთვლემარე სიძე მოურიდებლად შეაფხიზლა, მეტად კი გვარიანად დააფრთხო.

ძილ-ღვიძილში მყოფმა ანდრომ თავიდან ვერც კი გაარკვია, თუ რას უარობდა საყვარელი სიდემრი, იმ ძველ ამბავს თუ კიდევ სხვა რამეს. ეს გაუგებრობაც მალე გაიფანტა, ისევ და ისევ ანდროს სიდემრის დახმარებით.

— ტყუილია! — გაიმეორა ქალმა.

— რა არის, დედა, ტყუილი? — მოკრძალებულად შეუბრუნა ქალიშვილმა.

— ყველაფერი.

— მაინც? — არ მოეგვა ქალიშვილი.

— გადაღვრიდა მაგ მანონს.

— რატომ, დედა?!

— ჩემს ჯინაზე, მაგას შვილი რომ უნდოდეს, სხვანაირად მოიქცეოდა, მაგრამ

ჩემი სიკვდილი აქვს ჩაფიქრებული, მამაშენს ხომ მოულო ბოლო?! არ მოისვენა, სანამ ექიმების ხელში არ ჩააგდო.

— ჩუმად, დედა, არ გაიგოს.

— გაიგოს, მე დასამალი არაფერი მაქვს! — თითქმის იყვირა ოჯახის უფროსმა. — შენ დამლუპე, სხვასთან რომ გესწავლა ეს ინგლისური, რა დამავდებოდა?! რა ჩემს ოჯახში შემოსაშვები ეგ იყო?! კაცს მაინც გავდეს, ნახავ, ვინმე თუ არ ყავდეს, დედის გულის ამბავი ხომ იცი?! მამაშენს ამხელა თანამდებობა ჰქონდა მთელი ცხოვრება და ერთხელაც არ დაუგვიანია სახლში, სულ თათბირი და კრება გამიგია?!

ამის შემდეგ ორივე გაჩუმდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, ანდრომ კედლის მეორე მხრიდან ვერაფერი შეიტყო, ასე რომ, მისი ბედ-იღბალი, დროებით მაინც, გაურკვეველი რჩებოდა, თუმცა კარგი რომ არაფერი ელოდა, ისედაც მიხვდებოდა ანდროსნაირი ადამიანი. ამას ემატებოდა ისიც, რომ სიჩუმე თანხმობის ნიშანია, და ისიც, რომ ყველა შვილი უმეტესად მშობლის მონაა და არც მერიკო, სწორედ ასე ერქვა ნელის ქალიშვილსა და ანდროს მეუღლეს, გახლდათ გამონაკლისი. როგორც იტყვიან, შავი ღრუბლები თავს იყრიდნენ და ანდროს საკუთარი თავისთვის უნდა ეშველა.

მეორე დღეს, რა თქმა უნდა, დილით ანდრომ მეუღლეს მანვინს გამყიდველის მისამართი გამოართვა და წყნეთისკენ გაემართა ვითომდა მანვინის მოსატანად და იმის დასამტკიცებლად, რომ მთლად ისეც არ იყო საქმე, როგორც მის სიდემრს ეგონა.

დროებით გადაადგილებულ პირთა, იგივე ლტოლვილთა, დასახლებას ანდრომ სრულიად ადვილად მიაგნო და ოთხსართულიანი კორპუსის მეორე სართულზე, ნორა ნაყოფიას ბინის კარზე დააკაკუნა, რომელიც ორი პატარა, ოთახისმაგვარი სათავსოსგან შედგებოდა. კარი არავინ გაუღო და ის იყო, გულგატეხილი გამობრუნებას აპირებდა, რომ კიბეზე ამომავალ მამაკაცს მოჰკრა თვალი, რომელიც, თუ ხელში მოთამაშე გასაღებს მხედველობაში მივიდებოდა, ნორას მეზობელი უნდა ყოფილიყო.

ანდრომაც სწორედ ასე იფიქრა.

— ნორას ვეძებ. — თითქმის ბოდიშით თქვა ანდრომ.

— ნორას? — დააზუსტა მამაკაცმა.

— ქალბატონი ნორა არ არის?

— ნორა რომ არის, ისე იყოს ჩემი მტერი, — ამოიოხრა მამაკაცმა და შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ოხვრისა თავის ქნევაც მოაყოლა, — მანქანა დაეჯახა დღეს დილას, მანონს რომ არიგებდა, მაშინ.

— გარდაიცვალა?

— არა, მაგრამ ჭკუა აღარ მოეკითხება, რალაც აპარატზე ყოფილა მიერთებული.

— ცუდი საქმე დამართნია, — ახლა უკვე ანდრომ გადააქნია თავი.

— ცუდი და კიდევ უარესი, ეგ არჩენდა ამხელა ოჯახს.

— ჩვენთანაც მოჰქონდა მანონი, — ჩაუერთო ანდრომ.

— მანონი თუ გინდა, გასაღები მაქვს აგერ და ვნახოთ.


— უხერხული თუ არ იქნება...

— ვის ცალია ახლა მაგისთვის და გაფუჭდება მაინც.

— სულ ნავილებ, რაც იქნება, — წამოცდა ანდროს.

— მაგას რა სჯობს, ბევრი არაფერია, მაგრამ ეს ფულიც ნაადგება მაგ უბედურს.

ამ სიტყვებით შევიდნენ ნორა ნაყოფიას ბინაში და აივანზე, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, იმპროვიზებულ სამზარეულოსაც წარმოადგენდა, „ადილის“ ქვეშ გადამალული თუ შეფუთული ხუთი ქილა მანონი აღმოაჩინეს, რომელსაც თავზე გაყვითლებული ფურცლები ჰქონდა შემოკრული.



გაბრიელა შემდეგ ნომარი

იანანა თოჯინებისთვის

რატომ მიდიხარ და მკვდარივით მიათრევ ფეხებს,
ნითელი ბამბით გატენილო მიტკლის თოჯინავ,
რატომ იგონებ გახევებულ ყველა შეხებას,

ლიმილის აკვლავი

მომიხსენიეთ,
გახსენით კარი.
მიცანით დენითი ამომწვარ თვალბზე და
თქვით, რომ
სულ არ მელოდით,

მომიხსენიეთ.

მოგონებებს გემო აქვს მოტკობო.
შიშისგან მალვით მოღუქილი ტუჩის გახეთქილ
გლუვი კანიდან ქენჯნასავით გამოვყოფნავ და

ჯერ კი,
ჯერ ფართედ გამოიღეთ კარი,
ჩამხედეთ სისხლთან არეულ მიწაში და
თქვით, რომ
ლიმილის მკვდრები არ ბრუნდებიან...



ნანა ქელესიძე

მე ზურგით ვდგავარ

მე ზურგით ვდგავარ
და სიჩუმე ფონს აფერადებს.
ეს შემოდგომა, გაბზარული
ლამის მარჯანი,
მოდი, ჩამაცვი,

მე ვდგავარ ზურგით.

ჩამომავრდნე ტკივილი მხრებთან,
შემომამარცხე შემოდგომა — ტანზე მარჯანი —
და იქნებ...

ქარების ხილვა

თიკო აბაშიძე

მკლავებგაშლილი დიდხანს დგახარ საყვარელ ხიდზე,
თვალს ხუჭავ და ელოდები დაბეროს ქარმა —
მოვარდეს იქნებ,
ამოგიცნოს,
დაგწეროს იქნებ...

თინათინ, ახლა აღარ წერენ „ვეფხისტყაოსანს“
და ვარსკვლავებსაც აღარავინ ითვლის ბოლომდე —
ერთი... ორი და...
შენ კი გინდა, რომ გაზაფხულზე მაინც აყვავდეს
შენი ფიქრები, რომ შეკარი აკიდოებად
და საოცარი ბალებივით ცაში გაკიდე.

ახლა მზეზეად ენთებიან ყოველ თენებას —
თუმც ვერვინ გითვლის
და ვერავინ აღწევს შენამდე...

შენს თვალბში კი,
თაფლით დამტკბარ სავსე ნუშებში,
როდესაც წვიმს...

წვიმს...
წვიმს უსაშველოდ,
იმედებს ზოგჯერ ნაპირებთან ხავსი ედება
და ფსკერზე მშვიდად სძინავს ჩავლილ საუკუნეებს —
შენ ხომ სიღრმეებს თავსაცავი ღიმილისაგან
მოუქსოვე და ჭილოფივით გადააფარე.

შენ ამ დროს შენი ზაფხულების ისვენებ ქასთან,
შენ ღიმილს, ის კი ხის თავსაფარს იჩენავს ყელთან,
და მერე დიდხანს ერთმანეთთან მდუმარედ დგახართ
და ამ დუმით ერთმანეთის დაღლისას ყვებით...

მიდიხარ მერე უვალ გზებით საყვარელ ხიდთან,
ხუჭავ თვალბს და მკლავებგაშლილს, გაცდენილს ჭაობს,
გეჯახება და გამსხვრევს ქარი და ცაში გფანტავს
და გადაუთვლელ ვარსკვლავებად სხეული კვნესის:

ვაი, თინათინ, აღარ წერენ „ვეფხისტყაოსანს“...

კოკა

„კობტა გოგო თებროლო...“

...
ვერ მოგიხდინე წყარომდე კოკა
და სიჩუმისგან გაბზარული თიხა
მხარზე ჩამიტყდი.
ან რა მეგონა,
ჩითის კაბიანი მხიარული გოგო არასოდეს ვყოფილვარ
და შენი შვილების დედა როგორ გავხდებოდი,
თუნდაც თავიდან მომეზილე რუხი ფქვილისგან,
მერე დაღლილი ხელები თეძოზე აჩქარებით შემენმინდა
და
შენს დაპურებაზე მეზრუნა ერთგული ცოლივით.

შენ ძალიან მშვიდად,
თითქოს ჭერზე სხვისგან
მიწერილ სიტყვებს კითხულობდი,

მითხარი —
აღარ შემიძლია ჰაერში სიარული
და ეს გზა უნდა დამინდეს!

ვერ მიგიტანე კოკა ტაძრამდე.
ისევე შეგაკონინებ მგონია
და წყენას მხრებიდან თიხა მინასავით ვიშორებ.

„თეე...ბრო...ლე... მიი...დის...“
მიდიოდა და ვერ მიაღწია...
გაზაფხულამდე
ახლა სოფლის წყაროსავით შორია.

შავლავ, შენი შორი სუნთქვა

„შავლავ, შენი შავი ჩოხა...“

ზაფხულის ფერს შერევია ლეგა,
უშენობას ყველა ნერვით ვითმენ,
ივლისის მზეს ინახავენ შლეგურს
შენთვის, ჩემი ჩამოშლილი თმები.

შენთვის, ჩემი დანისლული მზერა,
აქედან და... შენამდე და... ქარის
იქეთ აღარ გადავიკიდოთ გზები,
სადაც ყველა სიხარული ქრება.

სადაც ბნელში სინანული ხობავს,
ვიდრე მიღმა მონატრება ყვირის,
სანამ სითბოდ შემოუცვამს ჩოხა,
შენი გულის ჩამონატეს ყინულს...

შავლავ,
შენი შავი ჩოხა, ბიჭო,
შენი სალი, ატეხილი მხრები
სულში ქვებად ჩამწყობია, მიჭირს
და საშველად შენს სიყვარულს ვუხმობ,

თორემ ვკვდები,თორემ ნებით გთმობ და
ბოლო ლოცვად ქართულ კაბას ვიცვამ,
სისხლში ვნებად გამბნევია გრძნობა,
თმაში მზესაც უკვე სცივა, ვიცი...

შავლავ,
შენი შორი სუნთქვა, ბიჭო...

მასევე!

პირველად რომ ჯუთაში ავედი და ნის-ლიდან ამოზიდულ ჭიუხებს შევავლე თვალი, მომნუსხა ამ თავზარდამცემი შავი კლდეების პირქუშმა სილამაზემ.

ბანზე ჩამომსხდარიყვენ ოქროსფერთმიანი და ოქროს საყურებიანი, ნითელ-ყვირთელი ქომონით აჭრელებული ხევსურთ დიაცნი. კაცები საფიხვნოს ისხდნენ და საქვეყნო საქმეებზე მსჯელობდნენ, ხოლო მუქლურჯტალავარიანი ვაჟები, ბეჭებზე ტვიფარავით რომ ერტყათ ამოქარგული, კლარტი სისხლისფერი ჯვრები, ჩაჩოქილნი ეჭვნაობდნენ...

ცხადია, ასეთი აღარ დაგვხვდებოდა ჯუთა, მაგრამ გული მაინც მიინევდა მთისკენ, თუმცა იმ ძალისხმევით ვეღარა, მუხლები მალატობდნენ. ალბათ, ეს მოგზაურობა საბოლოო იქნება ჩემს ცხოვრებაში, ვფიქრობდი და მიკვირდა, ფეხებს რომ ძლივს მივათრევდი. უნინ მყოფნიდა სითამამე და გულიც მერჩოდა. მთაში ხომ ისინი დადიან, ვისაც ჭარბი ენერგია აქვთ.

ავტობუსის მძღოლმა სნოს ხეობის დასაწყისში ჩამოგვსხა. მოვიკიდეთ ზურგჩანთები და შევეუდკეთ გზას. ჭიუხების სანახავად მივიჩქაროდით. წინ ხომ საოცარი სანახაობა გველოდა. მოჭქუსს თეთრად აქაფებული მთის წყალი, ცოფმორეული აწყდებდა სისველით ჩამუქებულ ნაპირებს, ნაპირთან თეთრი გვირილა ირხვავა, გაუთავებლად ქანაობს, თითქოს თაყვანს სცემს, თავს უხრის და ესალმება აქაფებულ წყალს. წყალი შხეფებს აფრქვევს და მითქრიალობს ლოდებზე.

მთის ფერდობზე, მწვანე ხასხასა საძოვარზე, ცხვრის ფარას გადაუვლია და მწვანე მთას უფრო მუქად დაძმნევიდა ცხვრის ნავალი, თითქოს ხავერდოვან მდელის უკულმა აუსვა ხელი ცალთვალა დევმაო.

ვეება, შავი ღრუბელი ზანტად მიიზღაზნება მთათა თხემებზე, მისი ბნელი ჩრდილი კი ხან ხევიში ჩაიჭრება, ჩაიჩეხება, ნამით გაქრება და მოულოდნელად სულ სხვა მხარეს ამოჩნდება და აბნელებს მზიან იალაღებს, გადადის მთიდან მთაზე და შორეთში იკარგება.

შორიდან მანქანის ხმა მოისმა. კარკუჩამდე არც ვიყავით მისულნი, საბარგო მანქანა რომ წამოგვეწია. ისეთი სისწრაფით მოჭქროდა, ხელიც კი ვერ ავეუნიეთ შიშით, ვითუ, დაამუხრუჭოს და გადაბრუნდესოქო.

მძღოლმა ზედ ჩვენს წინ დაამუხრუჭა და შემოგვესმა ხალისიანი სიტყვილი, კაბინიდან თავი გამოყო თმახუჭუჭა, შავთვალა ბიჭმა და მხიარულად მოგვესალმა, სხაპა-სხუპით დაგვაყარა კითხვები: „გაგი-ელგუჯა ბერძენიშვილი“

რუსთაველი! ჩვენი მთავარი ქუჩა, აქ გავატარე სიყრმე და სიჭაბუკე, ამ ქუჩის წყალობით ვიცნობდით ერთმანეთს ნახევარი თბილისი. ეს იყო სიხარულის და ბედნიერების წლები.

და, ახლა, როცა ამდენი დრო გავიდა, ჩემს ცნობიერებაში ცოცხლდება შორეული წარსული, მოგონებები იღვიძებს, ვხედავ მივიწყებულ სახეებს და გაფერმკრთალებულ სურათებს.

აი, მოდის ულამაზესი გოგონა. ჩვენ მას ბოტიჩელის გოგო შევარქვით. ბიჭებს ძალიან მოგვწონდა, ალბათ გულში ყველა ოცნებობდა მის გაცნობას და მასთან სიახლოვეს. ყოველდღე, ყოველ საღამოს ვხედავდით ამ უცნობ, მაგრამ ახლობელ გოგოს — რბილი ოვალით, ცისფერი, მშვიდი თვალებით, ძლივს დამჩნეული წარბებით. მის შეტყუებულ, ამობურცულ ბაგეებში იგრძნობოდა სისხლის ჩქეფა, მშვიდი პულსაცია, გრაციოზულად დადიოდა, მსუბუქი თმების ფრიალით ჩაივლიდა ხოლმე. ერთ დღესაც იგი მარტო აღარ გამოჩნდა, გვერდით ვილაც ახმახი მოჰყვებოდა და ჩვენი ბოტიჩელის გოგო ქვემოდან შესცივინებდა.

ამ კაცს გალიფე ეცვა, გაპრიალებული ჩექმები, ხაკისფერი უხეშად ნაქსოვი ჯუბა. თავზე ეხურა საფეთქლებთან აგრეხილი კოვბოური ფართოფარფლებიანი ქუდი. გრძელი, კეხიანი ცხვირი ჰქონდა, სქელი უღვაძებნი, ხოლო წვრილი თვალები ისე ახლო-ახლო იყო ერთმანეთთან, ცხვირი რომ არა, ერთმანეთს დაჭამდნენ. მოდიო-



მარჯოთ, ვინ ხართ? აქაურები არ ჩანხართ. საით გაგიწევიათ, ამ ხნის ხალხი ფეხით სად მიდიხართ, დასხედით, აგიყვანათ.“

— ჯუთას ვაპირებთ, — შევძახეთ ბიჭს. — ჯუთას? აგიყვანთ ჯუთას, დასხედით!

სამივენი ავბობდით ძარაზე. გადებულ ძელზე სამი ხევსური იჯდა. ყურადღება არ მოუქცევიათ, არც ხელი გამოგვიწოდეს ასვლისას, არც ჩაინჩამოინივნენ. ჩვენსავე ზურგჩანთებზე ჩამოვსხედით, მძღოლმა უეცრად მოწყვიტა მანქანა, რუკზაკებიდან გადმოვცვივდით და ერთმანეთს მიველაუქეთ. ხევსურები მშვიდად ისხდნენ, დინჯად, მდუმარედ. სამივე ფერხორციანი და ცისფერთვალე-ბა იყო, შუაში მოხუცი ევდათ, ძვალმსხვილ ნაკვეთებთან სახეზე ნაჭრილობები დაძმნეოდა, მოლუშული კუშტად იმზირებოდა წინ და მზემოკიდებულ, ჩაშვებულ სახეზე ისე მოუჩანდა ნათელი ცისფერი თვალები, როგორც რომის ხორხის ვეება უანგისფერ ლოდებსა და პირქუშ ჭიუხებს შორის მოქცეული პანია ცისფერი ტბა აბდელაურისა, მხოლოდ ცას რომ ირეკლავდა და ამ უკაცრიელ მკაცრ გარემოში ცრემლივით ლივლივებდა. მანქანა მიქროდა. ხევსურნი სდუმდნენ. ჩვენ მანქანის ძარის ფსკერზე ვეყარენით.

კარკუჩაში გზა მოგვიჭრა ადიდებულ-მა მდინარემ. მოქუხდა გაავებული მღვრიე წყალი. ბიჭმა შეუჩერებლივ შეაგდო მანქანა აბორგებულ მდინარეში. სამივემ ერთმანეთს გადავხედეთ, მანქანას წყალი დაეძგრა, ნავივით აქანავებდა აქეთ-იქით.

— რას შრევაბა ეს გიჟი, არ ჩავგახრჩოს ამ წყალში! — აყვირდა გივი. ხევსურები მშვიდად ისხდნენ, უძრავად, მდუმარედ,

თითქოს ბედისწერას მინდობილნი. მოქუხდა მდინარე, მოაგორებდა ლოდებს, ისმოდა ყრუ გრუხუნის, გაღმა ნაპირებზე ყეფით მოგვედევდა ნაგაზების ხროვა, ათამდე ქოფაკი იქნებოდა. უეცრად მანქანამ ნაპირისკენ აუხვია და ქვალორიან გზას გაუყვა სოფლისაკენ. ძაღლები ყეფით მოგვედევდნენ. ბიჭი ახელებდა ძაღლებს, კაბინიდან ხელს უყვოდა. ძაღლები მალა ხტებოდნენ, მაგრამ ბიჭი დროულად მალავდა ხელს.

ბიჭი სოფელში შევიდა და ერთ ძველებურ, შავი კლდის ნაშალი ფილებით ნაგებ სახლთან შეჩერდა. სწრაფად გადმოხტა მანქანიდან, ქვებს დასწვდა და ქოფაკები დაიფრინა. მერე კაბინის კარი გამოაღო და თოვლივით თეთრებში გახვეული ჩვილი ჩამოართვა ქალს, ჩვილი კიბეზე მდგარ შოსან მოხუც ქალს გადასცა, თვითონ გამოქანდა და კაბინაში მყოფ ქალს ჩამოსვლაში შეეშველა. ქალი ფეხმძიმედ იყო. ბიჭმა ქვის კიბეებზე აიყვანა და გამოემშვიდობა. ფულის ალებზე მტკიცე უარი განაცხადა, ადგილიდან მოწყდა და კაბინაში შეხტა. მანქანა დაიძრა. ქოფაკები ყეფით შემოგვეგებნენ, ერთხანს გვეიეს და სოფლის ბოლოს ჩამოგვეშორდნენ.

— არ მეგონა, თუ გაღმა გავალწევდით, ნახეთ, რა კარგად გაიყვანა ადიდებულ წყალში ამ ბაღმა, — წარმოთქვა გაოცებულმა შოთამ.

— მახევე! — გამოსცრეს ხევსურებმა.

მათთვის ეს ერთი სიტყვა რაღაცას ნიშნავდა, ჩვენივეს კი გაუგებარი იყო. მანქანა მიქროდა ქვალორიან გზაზე, ბიჭი მიხვეულ-მოხვეულ გზაზე სიჩქარეს არ უკლებდა და ისევ ვანყდებოდით ერთმა-

ნეთს.
— ვინ არის, არ გადაგვჩეხოს სადმე,
— თქვა გივიმ.
— არ გადაგვეყრის, ნუ გეშინიათ!
— რატომ? — ვკითხე სიცილით ხევსურს.

— მახევე! — თქვა ხევსურმა. სხვებიც თავის დაქნევით დაეთანხმნენ, დაუდასტურეს ნათქვამი.

გზა გასწორდა.
— ეს ვინ ყოფილა, — ვერ ისვენებს გივი.
— მახევე! — თავისას გაიძახიან ხევსურები.

მოულოდნელად ჩვენს წინ, გზის ბოლოს მაღალი მწვანე მთა აღიმართა ზედ დაკიდული ჩანჩქერით თეთრი გზით. აქ კი ვეღარ ავა, — გავიფიქრე და მომაგონდა რომ ამ აღმართის ბოლოს იყო ჯუთა. უეცრად მანქანა კვამლში გაეხვია, ბიჭი კაბინიდან გადმოხტა და გაიქცა.

— წყალი აუდულდა, — თქვა შოთამ და დავინახეთ პატარა ვედროთი წყალს მოარბენინებდა ბიჭი, კვამლი გაიფანტა. მანქანა დაიძრა, მოებლაუჭა ქვა-ლორიან აღმართს, გაივარა და სოფელიც გამოჩნდა. მანქანა პატარა მოედანზე იდგა. ხევსურებმა წინასწარ გამზადებული მანეთიანი გაუნოდეს მძღოლს, ბიჭი თეთრ კბილებს აჩენდა და სწრაფად იდებდა ჯიბეში ფულს. რატომღაც მომინდა, დამესაჩუქრებინა, რაღაცით მესიამოვნებინა. ჯიბეში თხუთმეტი მანეთი მედო, ხუთმანეთიანი და თუმნიაანი. ღიმილით გავუნოდე ბიჭს თუმნიაანი, სამი კაცის აილე-მეთქი. სწრაფად ამართვა ფული და ჩემს ხელში დარჩენილ ხუთმანეთიანს დააცქერდა ციმციმა შავი თვალებით.

— რა, საკმარისი არ არის სამ კაცზე თუმანი? — ვკითხე ღიმილით და ვაგრძნობინე, რომ ხურდას არ ვითხოვდი და თუმნიაანი მთლიანად მას ეკუთვნოდა.

ბიჭმა სწრაფად გამომიწოდა თავის ხელისგულზე დადებული ჩემი თუმნიაანი, შემომანათა თეთრი კბილები, შემომხედა შავი ნაპერწკლიანი თვალებით და მითხრა:

— დაადე ეგ შენი ხუთმანეთიანი ამ თუმანს და სწორი ვიქნებით.

მერე მანქანა მოსწყვიტა და დაღმართში დაეშვა.

მანქანის ადგილას დარჩა ლურჯი კვამლის ბოლქვები და ჩემი განვდილი მარჯვენა, რომელზეც აღარ იდო ხუთმანეთიანი. ხევსურებს მოვუბრუნდი:

— თქვენ ხომ მანეთი გადაიხადეთ? ჩვენ შუაგზაზე დავსხედით, ამდენი რატომ გამოგვართვა? სამ კაცზე თხუთმეტი მანეთი ნაილო.

სამივე ხევსურმა გაიღიმა და ერთხმად წარმოთქვა:

— მახევე!!!

მთვრალი ჯალათი

და მაღალ ფეხებზე შემდგარი, კავალერისტივით ფეხებმონგრეული და ხელკავით მოჰყავდა ჩვენი ნაზი გოგონა.

აქ დადიოდნენ რაფაელის და პერუჯინოს გოგოები, აქ სეირნობდა და ქუჩა მოჰქონდა ტიციანის ვენერას. ეს იყო ქერა, თქოსრული, მკერდსავსე, ალისფერბაგეებიანი ულამაზესი ქალბატონი. მას ფართე ფარფლებმოვლებული ქუდი ეხურა, რომელიც მოფენილი იყო იების კონებით, ვარდებით და ქრისანთემებით, მუდამ გვერდით დაჰყვებოდა ასევე მშვენიერი ქერა ქალიშვილი. რაინდული ბუნების თბილისელი ბიჭები ხაზგასმულ ელევანტურობით გზას უთმობდნენ მითოსიდან გადმოსულ დედაშვილს, ქალმერთებით რომ მოაბიჯებდნენ ლაღად. რუსთაველი იყო ჩვენი თავშეყრის ადგილი. ვიდექით ჭადრებქვეშ და ფოთლების შრიალში ვსაუბრობდით ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, მუსიკაზე, გოგოებზე. ცუდადამით, საათის ისარი ორს რომ გადასცუდებოდა, ვიმღვებოდით და შინ ვბრუნდებოდით. ახლაც ვიგონებ იმ საღამოებს, იმ ბედნიერ, ნეტარ დროს.

მაგრამ რუსთაველის ხალისიან ყოფას ამახინჯებდა ერთი მეტად მძიმე სურათი. ეს იყო მთვრალი ჯალათი. გამოჩენისთანავე ჭადრის ფოთლების შრიალში გაისმოდა ხოლმე მისი სახელი — საშურკინი! საშურკინი! ვხედავდით როგორ მოჰყავდა მთვრალი ჯალათი მის ცოლს, მათ

უკან მოსდევდა პატარა გოგონა, მათი შვილი. ქალს ლოთობის კვალი ემჩნეოდა შემუშებულ სახეზე, ჩაცვნილ თვალებქვეშ თითქოს წყლით სავსე პარკები ეკიდა, ნაოჭდამზრალ გაბოროტებულ სახეზე მინის ფერი დასდებოდა. თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ სულ ოდნავ ღიად დარჩენილი. აბურდულ, ქერა, ძინძლიანი, მოკლედ შეჭრილ თმიდან გამხდარი კისერი მოუჩანდა. ის ჩუმად იგინებოდა, ვის აგინებდა? ინყევლებოდა, ვის წყევლიდა? ალბათ ქმარს, ანდა მთელ ქვეყანას. ჯალათის სახე ვერასდროს ვერ დავინახე, ისე ჰქონდა თავი მოწყვეტილი და ჩაქინდრული, ხანდახან შემოგვესმებოდა მისი გმინვა, ქალს იგი გაღეშილი, ხელჩაკიდული მიჰყავდა (როგორც დედას პატარა ბიჭი). ჯალათი, ეტყობა, იმ დღეს, როცა თავის საქმეს აღასრულებდა, მაგრამ გაილეშებოდა, რათა დაევიწყებინა, ადამიანს ტყვიით რომ ახადა კეფა. წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ვხედავდით შინ დაბრუნებულ მამას, დედას და პატარა გოგოს, უკან რომ მიჰყვებოდა მათ ატირებული, ფრჩხილები კენეტი. ამ დროს ვილაც იტყოდა: „ამან ცოტა ხნის წინ კაცი დახვრიტა!“

ახლაც მიკვირს ჩვენი თაობის ამბავი. ეს რა ჯურის ხალხი ვიყავით!

ერთი მაინც ხომ უნდა აღმოვითებულიყო ჯალათის დანახვაზე. არა, არცერთი არ გამოგხატავდით სიძულვილს, ზიზღს, პირიქით კი იყო — გვეცოდებოდა.

ჩვენ ვგრძნობდით მის უბედურებას, მათი დაწყვეტილი ოჯახის საშინელებას. გამწარებული ცოლი სვამდა და თანაუგრძნობდა თავის უბედურ ქმარს, ყველამ იცოდა, ვინც იყო საშურკინი.

„საშურკინი“ — ისმოდა ჩურჩული და ერთვოდა ჭადრის ხმელი ფოთლების შრიალს.

და მიდიოდნენ ისინი მთელი ქვეყნიერებისგან გარიყულნი, განკიცხულნი, არავითარი ადამიანური ურთიერთობა აღარ გააჩნდათ, იყვნენ კრულნი და დაწყვეტილნი, მოკვეთილნი, მიტოვებულნი. მათი რუსთაველზე გამოჩენა დროგამოშვებით ხდებოდა. რუსთაველი ზემოდაბო, ხარობდა, საშურკინი ხვრეტდა. გაღეშილი, თავჩაკიდული ჯალათი — ჩაკეცილი ჩექმებით, ხაკისფერი ხალათი, მუქლურჯი გალიფე, რომელსაც ძაფივით წვრილი წითელი კანტი ჩასდევდა, დიდრონი მძიმე ხელები სახსრებში მომწყვდარივით ეკიდა, ცოლს მისი მკლავი ჰქონდა ჩაბლუჯული, ბუზღუნით მიჰყვებოდა.

რუსთაველის ცხოვრება კი სულ სხვა იყო. მხიარული, ხალისიანი, სიხარულითა და ბედნიერებით სავსე. ეს ყოფა არ ეხებოდა მათ, ის სადღაც მიღმა მიედინებოდა. ცხოვრება ჩქეფდა, ოღონდ არა მათთვის. მათი ხანმოკლე გამოჩენა რუსთაველზე მწუხარებას ტოვებდა ახმაურებულ ქუჩაში. ცოლი მხარში ედგა, მთვრალი ჯალათი კი ფეხებს ძლივს მიათრევდა, თავჩალუნული, სახეზე ქუდ-ჩამოფხატული, თითქოს სურდა, არ დაენახათ ადამიანებს, ანდა მას არ დაენახა ისინი.

26

ოფიციალურად ორი ბოთლი ლიმონათი, ერთი კათხა ლუდი და პური მოიტანა. მაგნიდაზე დადო და წავიდა. დეტექტივმა ჯამმა ლიმონათი ჯერ შვილს დაუსხა, შემდეგ დეტექტივ გახარიას, შემდეგ ბოთლი მაგნიდაზე დადგა, კათხა აიღო და ლუდი მოსვა.

— კარგია — შეაფასა და კათხა კვლავ პირთან მიიტანა, ლუდი მოსვა, შემდეგ კათხა მაგნიდაზე დადგა — როგორ მიდის გამოძიება? — კითხა დეტექტივმა გახარიას.

— ნელ-ნელა — დეტექტივმა გახარიათამ გაიღიმა — სამ ადამიანს ველაპარაკე და ყველაზე უცნაური იცოდა რა არის, არცერთს არ უთქვამს, მკვლელები ხომ დაჭერილია და ეს ყველაფერი რა საჭიროაო. შო კიდევ; ყველა ძირითადად საკუთარ თავზე მელაპარაკა.

— ადამიანებს უყვართ საკუთარ თავზე ლაპარაკი, ბავშვს, ქალს, კაცს, ყველას, საბოლოო ჯამში, ყველას საკუთარი თავი ანუხებს, ყველა საკუთარი თავით არის დაკავებული და საკუთარი თავისთვის ცხოვრობს, ეს მოცემულობაა. მინიშნება ხომ არ გჭირდება?

— გამოძიებაში? — დეტექტივმა გახარიათამ ლიმონათი მოსვა და ლუდის კათხას შეხედა. ლუდის გემო გაახსენდა და გაიფიქრა — „დალევდა კაცი“ — თუმცა სურვილი იქვე მოაშთო — „ლუდს არაფერი მოყვება, მერე დაინყებო ჩაკიდულები და დამენძრევა“ — დეტექტივმა ჯამს შეხედა — ნებისმიერ საქმეში ერთადერთი მინიშნება არსებობს, თუ მოკლეული კაცია, მაშინ ეძიე ქალი, თუ მოკლეული ქალია, მაშინ ეძიე ქალი.

— და ეძებ? — ნაპოვნი მყავს, ბოლოსთვის ვინახავ, დაახლოებით ვხედე რაც მოხდა, მაგრამ არ ვჩქარობ.

— არც უნდა იჩქარო, ოფიციალურად საქმე გახსნილია.

ქაბაბი მოვიდა. რა თქმა უნდა, თავისით არა, ოფიციალურად მოიტანა. ბიჭმა მობილური ტელეფონი მაგნიდაზე დადო, ქაბაბს შეხედა და ნერწყვი ჩაყლაპა. დეტექტივმა ჯამმა ქაბაბი სამ ნაწილად დაჭრა. ყველაზე კარგი ნაწილი შვილს დაუდო თეფშზე და შემდეგ დეტექტივ გახარიას კითხა:

— რომელი ნაჭერი გინდა? — სულ ერთია — თქვა დეტექტივმა გახარიათამ და უნებურად ბავშვის თეფშისკენ გაიხედა. ბიჭი ქაბაბს ათობლავებდა.

ღამე სახლში დაბრუნებულმა დეტექტივმა გახარიათამ გაიფიქრა, რომ ბევრი ჭამა და კარგი იქნება, თუ ჭამას მოუკლებს, თორემ რამდენიმე წელიწადში ღიპიანი ბიძა გახდება და დაინყებს რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ქმენას, თანდათან გული მოექონება და მალე მოკვდება.

ქაბაბს ხაჭაპური მოყვა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, როდესაც საზღვრები დემოკრატიასთან, თავისუფლებასთან, ადამიანის უფლებებთან და სხვა ამდღევანდელ თეორიებთან ერთად ყოვლადმინიერმა კოკა-კოლამ, ჰამბურგერმა და პიცამ გადმოკვეთეს, დაიწყო (ალბათ უაზრო) კამათი, რა ჯობდა: მასონური კოკა-კოლა თუ ეროვნული ლალიძის წყლები, ეროვნული ხაჭაპური თუ მასონური პიცა, ჰამბურგერი რატომღაც უპირობოდ იქნა მიღებული, სანამ მის უკან მდგომი უდიდესი მასონური ქსელი „მაკდონალდი“ არ იქნა აღმოჩენილი. დეტექტივი გახარიათამ კამათობდა ამ საკითხებზე, შემდეგ გააზრა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მაინც ადრე თუ გვიან მოკვდებოდა და სულ ერთი გახდა ყველაფერი.

მწვადი უგემური გამოდგა. საერთოდ რესტორნებში იშვიათად აკეთებენ გემრიელ მწვადს, არსებობს რამდენიმე წერტილი, მაგრამ ეს რესტორანი მათ რიცხვში ნამდვილად არ შედიოდა.

არც დეტექტივმა ჯამს მოეწონა მწვადი. რაც შეხება ბიჭს, ის გემრიელად ილუქებოდა.

— ამას ჯერ კარგი მწვადი არ უჭამია — თქვა დეტექტივმა ჯამმა და შვილს შეხედა.

ბიჭმა ლუკმა ჩაყლაპა. — რა, არ ვარგა ეს მწვადი??? — იკითხა გაკვირვებულმა. — დამშვიდობებისას ბიჭმა და დეტექტივმა გახარიათამ ტელეფონის ნომრები

გაცვალეს. ბიჭმა ძალიან გულმოდგინედ ჩაინერა მისი ნომერი და ყოველი შემთხვევისთვის ზარიც გაუშვა. დეტექტივმა გახარიათამ ბიჭს თავზე გადაუსხა ხელი, შემდეგ ჰაერში მოფარფატე თოლიებს შეხედა.

— თოლიები იყვნენ ადრე თბილისში? — კითხა დეტექტივმა ჯამს. — დეტექტივმა ჯამმა მხრები აიჩეჩა და დაფიქრდა.

— მე როგორც მახსოვს, არ იყვნენ, შეიძლება არასწორად მახსოვს.

დეტექტივი გახარიათამ მანქანაში ჩაჯდა. დეტექტივი ჯამის მანქანას მიადევნა თვალის. ბიჭმა ხელი დაუქნია და გაუღიმა. დეტექტივმა ჯამმა გამოსამშვიდობებელი სიგნალი მიცა, ხოლო დეტექტივმა გახარიათამ გაიფიქრა: „ვერ მითხრა, რაც უნდოდა. მგონი, ჩემზე ცუდადაა“.

დეტექტივმა გახარიათამ ღვედი გადაიჭირა. რადიო ჩართო. ვილაც ტიპი საკუთარი წარმართების ისტორიას ყვებოდა.

„სირი“ — გაიფიქრა და რადიოთაღლა შეცვალა.

სახლში მისვლა არ უნდოდა და წრეზე წავიდა. ნელა მოძრაობდა. გამვლელებს აკვირდებოდა. „ცხოვრობენ, ვცხოვრობ, კვდებიან, მოვკვდები“ — ფიქრობდა და საჭეს ატრიალებდა ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ. მინიშნელობა არ ქონდა, საით წავიდოდა და ყველაზე მეტად ეს აპატარავებ-

დავით ქართველიშვილი

მოცემულობა

ფრაგმენტი რომანიდან



და და რაც უფრო პატარავდებოდა, მითუფრო დიდი ხდებოდა ირგვლივ ყველაფერი; ქუჩები, შენობები, ადამიანები, ყველაფერი დიდდებოდა და კიდევ უფრო გაუგებარი ხდებოდა.

„რამდენ რამეს ვერ ვხედავ, რამდენი რამე არ ვიცი“ — გაიფიქრა დეტექტივმა გახარიათამ.

მანქანა გაჩერდა. ღვედი მოიხსნა, მანქანის კარი გააღო, გადავიდა. ღრმად ამოისუნთქა. ცას ახედა. ზღმურტიანი ბიჭი გაახსენდა. გაახსენდა, რა უთხრა ამ ზღმურტიან ბიჭს, ეგონა დამშვიდდებოდა, მაგრამ სიმშვიდე არ მოვიდა. ხელები თავზე მოიკიდა, წარმოიდგინა, რომ თავი საზამთროსა და ხელისგულებით დაანვა. შემდეგ მანქანაში ჩაჯდა. მანქანის კარი მიკეტა. სავარძელი გადაწია და გადაწვა.

„გამოსავალი არ არსებობს“ — გაიფიქრა, გულზე ხელები დაიკრიფა და გაიმეორა: „გამოსავალი არ არსებობს.“

სწორედ ამ დროს ფეისბუქზე „მსოფლიოში ულაზარესებმა“ დაპოსტეს:

„ცხოვრება მშვენიერია“.

ძალიან ბევრს მოეწონა ეს.

ღამე განვიმდა. ჯერ მსხვილად დაუშვა, შემდეგ წვიმამ თანდათან იკლო. დილისკენ ცრიდა. დილით წვიმამ გადაიღო.

დეტექტივი გახარიათამ ფანჯარასთან იდგა და თვალს ადევნებდა ამინდის ცვალებადობას.

27

დილით დეტექტივმა გახარიათამ მონასტერში გამგზავრება გადაწყვიტა მოკლეულის მოძღვართან შესახვედრად. მანქანა ვერ დაქოქა, კაპოტი აწია, რაღაცები იჩაღიჩა, გამოაერთა, შეაერთა, ამ საქმეში სრული დილენტი, ანუ უვიცი იყო, არაფერი გამოუვიდა. ავტოსადგომში ტაქსით მივი-

და, სალაროში ავტობუსის ბილეთი შეიძინა და ავტობუსში ავიდა. მონასტერში ტაქსით გამგზავრება ძალიან ძვირი ღირდა.

მძლოლი ავტობუსის შევსებას ელოდებოდა.

დეტექტივმა გახარიათამ ავტობუსში ცარიელი სკამები გადათვალა. ავტობუსის



დავით ქართველიშვილი

მოცემულობა

ფრაგმენტი რომანიდან

გასასვლელად კიდევ რვა მგზავრი იყო საჭირო.

„რამე წასაკითხი მაინც მქონდეს. გავერთობოდი“ — გაიფიქრა დეტექტივმა გახარიათამ.

ავტობუსი ნელნელა შეივსო, განსაკუთრებით ბოლო მგზავრის მოლოდინში გაინელა დრო.

დეტექტივ გახარიათამ არასდროს ყოლია მოძღვარი, არც აღსარება უთქვამს და არც ზიარება მიუღია. თვლიდა, რომ ღმერთი ისევე იყო რიტუალებში, როგორც რიტუალებს მიღმა და საერთოდ ყველგან იყო ღმერთი და მასთან საუბარი შუამავლის გარეშე ერჩინა.

წარმოსახვაში ბევრჯერ მისულა ეკლესიაში, დალაპარაკებია მღვდელს, უთქვამს აღსარება, მოუყოლია საკუთარი ცხოვრება, საკუთარი შეცდომები, ცოდვები, მაგრამ თავად საკუთარ შეცდომებს, საკუთარ ცოდვებს არ ნანობდა, ეს ყველაფერი ბუნებრივად და კანონზომიერად მიაჩნდა, მაგალითად, ურთიერთობა ქალებთან, ან ვილაცებისთვის სამაგიეროს გადახდის სურვილი, შური — ამ ყველაფერს მოცემულობად თვლიდა. სხვაგვარად ცხოვრება შეუძლებელი იყო, ადამიანური ცხოვრება, ჩვეულებრივი ცხოვრება შეუძლებელი იყო, რაც შეეხება სინანულს, დეტექტივი გახარიათამ არა მოცემულობად, არამედ შემთხვევითობად თვლიდა, ადამიანები მხოლოდ მაშინ ნანობენ რაღაცებს, როდესაც ძალიან უჭირთ, როდესაც ძალიან ახლოდები ადამიანი კვდება. მამა რომ გარდაიცვალა, დეტექტივი გახარიათამ ნანობდა, რომ უფრო ხშირად არ ელაპარაკებოდა მას, უფრო ხშირად არ ინტერესდებოდა მისი მდგომარეობით, შემდეგ ეს მდგომარეობა გაქრა.

დეტექტივმა გახარიათამ მგზავრები შეათვალა, რამდენიმე ახალგაზრდა იყო, დანარჩენი სოფლის მშრომელი ადამიანები, ჩანთებით მუხლებზე. დაღლილი მზერით. ახალგაზრდები მობილურებში თამაშობდნენ.

დეტექტივმა გახარიათამ ფანჯარაში გაიხედა. ძალიან ღარიბ ქვეყანაში ცხოვრობდა. გაახსენდა საკუთარი მეგობრები, რომლებიც საქართველოდან წავიდნენ. ევროპაში, ავსტრალიაში და ამერიკაში დასახლდნენ და დაასვენა, რომ მათ სწორი არჩევანი გააკეთეს, თუმცა წარმოადგენა არ ქონდა, როგორ ცხოვრობდნენ ისინი, რას აკეთებდნენ, რას განიცდიდნენ, რამდენად კმაყოფილები იყვნენ საკუთარი არჩევანით და ცხოვრებით, მაგრამ მაინც თვლიდა, რომ ისინი სწორად მოიქცნენ.

თავად დეტექტივ გახარიათამ არასდროს უცდია საქართველოდან გადასახლება, უცხო ქვეყანაში დამკვიდრება. მიუხედა-

ვად ამისა, დეტექტივი გახარიათამ არ ეკუთვნოდა ტრადიციული ყაიდის ქართველი პატრიოტების ლეგიონს, საერთოდ არ იზიარებდა მათ იდეოლოგიას: „მოკვდი იქ, სადაც დაიბადე“, „საქართველო ყველაზე მაღლიანი ქვეყანაა მსოფლიოში“ და ა.შ. უბრალოდ ზარმაცი იყო.

„საქართველოში მხოლოდ ზარმაცები დავრჩით, სხვა ყველა წავიდა“ — გაიფიქრა დეტექტივმა გახარიათამ და მინას ხელი გაუსხა, თითქოს რაღაც ნაშალა.

ავტობუსი სოფლის ცენტრში გაჩერდა, მონასტრამდე მისასვლელად აღმართის ავლა იყო საჭირო.

„მანქანით მაინც ვერ ავიდოდი“ — გაიფიქრა დეტექტივმა გახარიათამ და აღმართს აუყვა. დროდადრო ჩერდებოდა.

აქეთ-იქით იყურებოდა. ხედავდა ტყეს, ცას, მინდორს, ეკლესიის გუმბათს.

„სპორტულად უნდა ჩამეცვა“ — დაასკვნა დეტექტივმა გახარიათამ, თუმცა ეს უკვე დაგვიანებული დასკვნა იყო.

მონასტრის ჭიშკართან გაჩერდა. ლელავდა. ზოგადად ასე ემართებოდა, როდესაც ეკლესიას უახლოვდებოდა. იძაბებოდა, გული უფართოვდებოდა, თითქოს ვილაც გულზე კიდებდა ხელს და მაგრად უჭერდა.

დეტექტივმა გახარიათამ ზარი დარეკა და ორი ნაბიჯი გადადგა უკან. ხან მინას უყურებდა, ხან ცას.

კარი ახალგაზრდა ბიჭმა გააღო.

დეტექტივმა გახარიათამ მორიდებულად აჩვენა საბუთი და მოსვლის მიზეზი უთხრა. ახალგაზრდა ბიჭმა დეტექტივი გახარიათამ შეიპატიჟა.

— მოზრდანი, მამო ლოცვაზე და დაელოდეთ, თუ გინდათ, ლოცვას დაესწარი.

— არა, იყოს დავიცი — თქვა დეტექტივმა გახარიათამ.

— ნამობრდანი.

დეტექტივი გახარიათამ ახალგაზრდა ბიჭს გაყვა. ეზოში ვილაცები მუშაობდნენ. ერთი ბაღს რწყავდა, მეორე შეშას ჩეხავდა, მესამეს დაჩეხილი შეშა სადღაც მიქვდა.

რამდენიმე წამით დეტექტივი გახარიათამ შეათვალა იერს, შემდეგ მუშაობა განაგრძეს.

ახალგაზრდა ბიჭმა კიბე აიარა და აივანზე ავიდა, დეტექტივი გახარიათამ მიყვა. შენობა ერთსართულიანი იყო.

ახალგაზრდა ბიჭმა კარი გააღო.

— მოზრდანი — მიიპატიჟა დეტექტივი გახარიათამ.

დეტექტივმა გახარიათამ მაღლობის ნიშნად თავი დაუქნია და შენობაში შევიდა.

ახალგაზრდა ბიჭმა კარი დახურა, შემდეგ ერთთორ ოთახში შევიდა, დეტექტივი გახარიათამ ანიშნა, რომ მას მიყოლოდა.

ოთახში ახალგაზრდა ბიჭმა დეტექტივი გახარიათამ სკამზე მიუთითა:

— დაბრძანდით.

დეტექტივი გახარიათამ დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიღო. გაიფიქრა, არსნორად ვიქცევიო და ფეხი ჩამოიღო.

ახალგაზრდა ბიჭი მის წინ დაჯდა, კითხა:

— ხომ არ გწყურიათ?

„ალბათ მეტყობა, რომ ვლელავ“ — გაიფიქრა დეტექტივმა გახარიათამ, შემდეგ ახალგაზრდა ბიჭს გაუღიმა და უთხრა:

— კი, წყალს თუ დამალევიანეთ, კარგი იქნება.

ახალგაზრდა ბიჭმა თავი დაუქნია, წამოდგა და ოთახიდან გავიდა, რამდენიმე წუთის შემდეგ წყლით სავსე გრაფინით და ჭიქით დაბრუნდა. დეტექტივი გახარიათამ ჭიქა გაუწოდა, დეტექტივმა გახარიათამ ჭიქა გამოართვა და ახალგაზრდა ბიჭმა წყალი დაუსხა. დეტექტივმა გახარიათამ ჭიქა პირისკენ წაიღო, მიიტანა და წყალი მოსვა, შემდეგ ახალგაზრდა ბიჭს შეხედა, მიხვდა, რომ ზედმეტად დაძაბულად და, აქედან გამომდინარე, საეჭვოდ იქცეოდა. ჭიქა მიიყუდა და გამოცალა. წამოდგა. ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— ძალიან ლამაზია აქაურობა — თქვა სხვათაშორის.

— თქვენ მთავარ განყოფილებაში მუშაობთ? — კითხა ახალგაზრდა ბიჭმა.

— კი — დეტექტივმა გახარიათამ ახალგაზრდა ბიჭს შეხედა.

— დეტექტივმა ჯამს იცნობთ?

— არა — მოიტყუა დეტექტივმა გახარიათამ, არ უნდოდა უცხო ადამიანთან სამსახურზე და თანამშრომლებზე ლაპარაკი — მე ახალი მისული ვარ და ჯერ თითქმის

არავის ვიცნობ. — კარგი ადამიანი, ადრე დადიოდა ჩვენთან, კაი ხანია, აღარ გამოჩენილა.

28 — ძირითადად, მეორედ მოსვლაზე ვლაპარაკობდით — თქვა მოძღვარმა. დეტექტივი გახარია პირისპირ იჯდა, ლაპარაკისას ხელებს იფშენებდა — მეორედ მოსვლა არ ნიშნავს დასასრულს, ეს უფრო ერთი მოცემულობის მეორედ ჩანაცვლებაა, თუმცა როგორი იქნება ეს ახალი მოცემულობა მხოლოდ და მხოლოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუმცა ადამიანური წარმოდგენა ისეთივე არასრულყოფილია, როგორც თავად ადამიანი, ადამიანებმა თავად აირჩიეს არასრულყოფილება.

დეტექტივი გახარიას გაახსენდა ადამ და ევას ისტორია, თუმცა აქ სულ სხვა მიზეზით იყო ამოსული, საუბრის მიმართულების შეცვლა სცადა: — ვინმე ხომ არ ეშუქრებოდა?

მოძღვარმა დეტექტივი გახარიას შეხედა, სევდიანად გაიღიმა: — რა თქმა უნდა, ეშუქრებოდა, ეშუქრებოდა ის, ვინც ყველას ეშუქრება, მეც, თქვენც, ნებისმიერ ადამიანს.

დეტექტივი გახარია მიხვდა, რომ მოძღვარი სიკვდილს გულისხმობდა. — სიკვდილის გარდა, ვინმე კონკრეტული პიროვნება.

— სიკვდილი ძალიან კონკრეტული რამ არის, თუმცა პიროვნებას ვერ ვუნოდებთ, მაგრამ პიროვნული ნამდვილად არის.

დეტექტივი გახარია გრაფინისკენ გაიშვირა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი: — წყალი შეიძლება?

— მიირთვით — უთხრა მოძღვარმა. დეტექტივი გახარია წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, წყალი დაისხა და დალია.

— მე ფაქტები მაინტერესებს — თქვა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— სიკვდილი ფაქტია — თქვა მოძღვარმა — იცით, ადამიანები რაში ცდებიან? — დეტექტივი გახარია ყურადღებით შეხედა მოძღვარს — საკუთარი ძალების შეფასებაში, შეუძლებელია შეცვალო სხვის მიერ შექმნილი კანონზომიერება.

— და თავისუფლება? — ყველაზე დიდი თავისუფლება ღმერთზე მინდობაა, ყველაზე მცირე თავისუფლება ღმერთზე მიუდობლობა, ადამიანები სამწუხაროდ უკანასკნელს ირჩევენ და ყველა უბედურება აქედან მოდის, მცირე თავისუფლება საკმარისი არ არის, ადამიანების ყოველდღიური ბრძოლა ამ მცირე თავისუფლების განვრცობის მცდელობაა, თუმცა მათი მცდელობები კიდევ უფრო ამცირებენ მათ ისედაც მცირე თავისუფლებას, ღმერთის არსებობის თითქმის აღარავის ჯერა, გაიხედეთ ირგვლივ, ჩაიხედეთ თქვენს გულში, ყველგან კერპებია. ქრისტე ყველაფერი გახდა: დიდი ფსიქოლოგი, დიდი რეჟისორი, დიდი მემბოხე, დიდი პოეტი, დიდი ფილოსოფოსი, დიდი მორალისტი. სინამდვილეში, ქრისტე უბრალოდ ღმერთია. ამას თითქმის აღარავინ აღიარებს, უკვე დიდიხანია ასეა, პირველი დებატები ქრისტეს შესახებ მოციქულებმა დაიწყეს, მიუხედავად იმისა, რომ მოციქულები ყოველდღე ხედავდნენ ქრისტეს, მათთვის ბევრი რამ გაუგებარი იყო, შეუძლებელია გაუგო ღმერთს, ღმერთის უნდა გნამდეს, არ იფიქროთ, რომ გასხვიანებული ადამიანის პოზიციიდან გელაპარაკებით, ჩემთვისაც ბევრი რამეა გაუგებარი, მაგალითად, რატომ კვდებიან ბავშვები, ვერანაირად ვერ ვიგებ, რატომ უჭირთ ნესიერ ადამიანებს მესმის, მაგრამ ბოლომდე არა, ეს ნესიერი ადამიანებიც ვინ არიან, ესეც ნაკლებად მესმის, ქმედება ძირითადად გაუაზრებელია, ძირითადად, ადამიანები ჯერ აკეთებენ რალაცას და შემდეგ ფიქრობენ, ამიტომ საქმეებით ძნელია იმსჯელო ადამიანებზე, ბევრი რამეა ჩემთვის გაუგებარი, მაგრამ ვცდილობ, რომ მწამდეს, მხოლოდ და მხოლოდ ვცდილობ, რომ მწამდეს.

— გამოვადით? — დეტექტივი გახარია იმპულსურად გაიხარა.

— ვცდილობ, — მოკლედ უპასუხა მოძღვარმა. წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, წყალი დაისხა და დალია — გემრიელი წყალია ჩვენსკენ — თქვა და ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა — ფაქტები არაფერს

ნიშნავს. ფაქტები არაფერს ნიშნავს, როდესაც ადამიანი მკვდარია.

ჭიქკარი კვლავ ახალგაზრდა ბიჭმა გაულო. ერთმანეთს დაემშვიდობნენ. დეტექტივი გახარია გამოვიდა. ზურგსუკან გაიგონა ჭიქკარის დაკეტვის ხმა. საღამოვდებოდა. დაღმართზე დაეშვა. „ყველა მარტოა“ — გაიფიქრა. ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიყო და ცას ახედა. ბავშვობაში მამამ ფეხბურთზე მიიყვანა, მწვრთნელმა რამდენიმეჯერ ათამაშა, შემდეგ მამას გულწრფელად უთხრა: „ძალიან ხშირად იხედება ცისკენ, ნაღდად არ გამოვა ფეხბურთელი ამისგან.“

მამამ სევდიანად დაუქნია თავი მწვრთნელს. დეტექტივი გახარია შვიდი წლის იყო ამ დროს, მამას გვერდზე იდგა, მწვრთნელის სიტყვები ესმოდა და ცას უყურებდა. ავტობუსის ბილეთი იყიდა და ავტობუსში ავიდა. დაჯდა. ავტობუსი ნელნელა გაივსო. და დაიძრა. მგზავრები ლაპარაკობდნენ ფასების ზრდაზე. გაჭირვებაზე. ვიდაცის გათხოვებაზე. მთავრობაზე. რალაც დამის გარყვნილ გადაცემაზე. ამ

უკანასკნელზე აღშფოთებულად, ეტყობოდათ, რომ გადაცემა თავიდან ბოლომდე ქონდათ ნახაი და მომავალშიც თავიდან ბოლომდე ნახავდნენ და კვლავ აღშფოთდებოდნენ და ასე აღშფოთებულები დაელოდებოდნენ ახალ გადაცემას. „გამოსავალი არ არის“ — გაიფიქრა დეტექტივი გახარია და თვალები დახუჭა.

ავტოსადგურიდან გამოვიდა. შიოდა. ტაქსი გააჩერა და სახლში დაბრუნდა. დედა ტელევიზორს უყურებდა — რა გვაქვს საქმელი? — კითხა დედას.

— კარტოფილი — უპასუხა დედამ. დაჯდა. ჭამა. ჭამისას ტელევიზორიდან წამოსული ხმები ესმოდა. მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე ლაპარაკობდნენ. რომელიღაც დიდი ფირმების მაქინაციაზე. დეტექტივი გახარია ვერ ხვდებოდა, რა კავშირი ქონდა ამ ყველაფერს საქართველოსთან. რა იყო, ან ვინ იყო საქართველო მსოფლიოსათვის, ან ეს მსოფლიო რა იყო, ან ვინ იყო.

„ზიხარ, ჭამ, გძინავს, სამსახურში დადიხარ, იღლები და... რა შუაშია მსოფლიო, ყველა მარტოა, არანაირი დაჯგუფებები არ არსებობს, ყველა მარტოა.“

დეტექტივი გახარია წამოდგა. მაგიდიდან ჭურჭელი აიღო და ონკანის ქვეშ დალო, ონკანი გახსნა და ჭურჭელი დარეცხა.

„ცოლი რომ მყავდეს, ის გარეცხავდა“ — გაიფიქრა და გარეცხილი ჭურჭელი კარადაში შეაწყო.

საძინებელში შევიდა. კომპიუტერი ჩართო. პირველ რიგში, ფოსტა შეამოწმა. არაფერი.

„არც მინდა!“ — გაიფიქრა და ფოსტიდან გამოვიდა.

29 პროფილაქტიკაში მეზობელს ჩაება ბუქსირით, მანამდე მეზობელმაც ახადა მის მანქანას კაპოტი, იხიბრკედელავა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

პროფილაქტიკაში ორი ხელოსანი დახვდათ. დეტექტივი გახარია მეზობელს

მადლობა გადაუხადა. მეზობელმა გაუღიმა, დაემშვიდობა და წავიდა.

ერთერთმა ხელოსანმა მანქანას კაპოტი ახადა, რალაცები იჩალიჩა, შემდეგ დეტექტივი გახარიას თხოვა, მანქანა დაექოქა. დეტექტივი გახარია გასაღები გადაატრიალა და მანქანა დაიქოქა.

დეტექტივი გახარია მანქანიდან გადმოვიდა, ხელოსანს ფული გადაუხადა და მანქანაში დაბრუნდა.

მეორე ხელოსანი კუთხეში იჯდა და კროსვორდს ავსებდა.

სამსახურში შეიარა. უკანასკნელი გასაუბრებლად ქონდა დარჩენილი მოკლულის საყვარელთან. გაახსენდა, როგორ იდგა მოკლულის სახლთან, როგორი ლამაზი იყო, მამინვე იფიქრა, რომ მოკლულის საყვარელი იყო, შემდეგ ეს ფაქტობრივადაც დაამტკიცა.

დეტექტივი გახარია ხვდებოდა, რომ ამ ქალთან გასაუბრების შემდეგ ყველაფერი გაირკვეოდა და მისი პირადი გამოძიებაც დასრულდებოდა.

„ადამიანებს არცერთი საიდუმლო არ აქვთ, მაგრამ ყველა თავს იტყუებს, რომ



მათი ცხოვრება საიდუმლოებითაა მოცული. სხვანაირად მოსაწყენია და ერთფეროვანი ცხოვრება.“

დეტექტივი გახარია განყოფილების უფროსის კაბინეტისკენ წავიდა.

განყოფილების უფროსი, როგორც ყოველთვის, დაკავებული იყო.

„ჰო, კიდევ, ყველა თავს იტყუებს, რომ საქმეები აქვთ, დაკავებული არიან.“ დეტექტივი გახარია განყოფილების უფროსის მოსაცდელში დაჯდა, ათი წუთის შემდეგ განყოფილების უფროსმა მიიღო.

— დასვენება მჭირდება — უთხრა დეტექტივი გახარია განყოფილების უფროსს.

— მესმის, არაფრის კეთება ყველაზე დამლელია — თქვა განყოფილების უფროსმა და გაიღიმა. დეტექტივი გახარია შეხედა, მიხვდა, რომ მისი შეფასება ამ უკანასკნელს მაინც და მაინც არ მოეწონა და ოდნავ გაკეთილშობილდა — უსაქმური კი ხარ, მაგრამ ამავე დროს უცნაური ხარ, ცხოვრებაში უცნაურობები ხშირად ხდება და ამიტომ გყავებარ აქ. რაც შეეხება შევებულებას, არ გენყინოს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გავიშვებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გუშინ დეტექტივი ჯაში გავიდა შევებულებაში, კიდევ ერთი უსაქმური, მაგრამ ეგეც დიდი უცნაური კაცია, ოღონდ სხვანაირად — განყოფილების უფროსმა დეტექტივი გახარიას შეხედა და კითხა — კიდევ რამე გაქვს სათქმელი?

— არა — თქვა დეტექტივი გახარია და განყოფილების უფროსის კაბინეტიდან გამოვიდა.

განყოფილების უფროსი წამოდგა და ქოთნის ყვავილები ფაქიზად მორწყა. შემდეგ კომპიუტერთან მივიდა და ბოტანიკურ ლექსიკონს ჩაუჯდა.

„ცხოვრებას არ გაცლიან, რა ხალხია“ — გაიფიქრა უკმაყოფილოდ.

გზები გადატვირთული იყო. დეტექტივი გახარია რამდენჯერმე საცობში გაიჭედა. ნერვიულობდა.

მანქანა სადარბაზოსთან გააჩერა. გადავიდა. კორპუსი შეათვალიერა და სადარბაზოში შევიდა. ქალი მეშვიდე სართულზე

ცხოვრობდა. დეტექტივი გახარია ლიფტთან მივიდა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ლილაკისაკენ წაიღო, მაგრამ რატომღაც ლიფტით ასვლა გადაიფიქრა და და კიბეს აუყვია.

კიბეები ცხრასაფეხურიანი იყო. დეტექტივი გახარია საფეხურებს ითვლიდა.

კარზე დააკაკუნა, შემდეგ ზარი შენიშნა და ზარიც დარეკა. კარი რამდენიმე წამში გაუღეს.

ქალმა ოდნავ გამოალო კარი და მხოლოდ თავი გამოაჩინა.

დეტექტივი გახარია ქალს საბუთი აჩვენა და მოსვლის მიზეზი განუმარტა, რასაც დააყოლა: — კარგია, რომ სახლში დამხვდით.

— მობრძანდით — ქალმა კარი გააღო. საშინაოდ ეცვა, სპორტულები.

დეტექტივი გახარია შენიშნა, რომ ქალს უნებური უკმაყოფილების განცდა გაუჩნდა საკუთარი ჩაცმულობით.

ქალმა დეტექტივი გახარია სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა, სასტუმრო ოთახში ტელევიზორი იყო ჩართული. ქალმა მაგიდიდან პულტი აიღო და ტელევიზორი გამორთო.

„ლელავს, რომ არ ლელავდეს, ტელევიზორს უბრალოდ ხმას ჩაუწვენდა“ — დაასვენა დეტექტივი გახარია.

— ნუ ლელავთ — უთხრა ქალს. — არ ვლელავ — თქვა ქალმა — მკითხეთ, რის საკითხავადაც მოხვედით, ისე, რაც ვიცოდი, დაკითხვაზე ყველაფერი ვთქვი.

— ნავიკითხე — იცრუა დეტექტივი გახარია.

პირისპირ დასხდნენ. გვერდითა ოთახიდან კატა გამოვიდა. ქალისკენ წამოტასავდა. ქალი ნერვიულად წამოდგა. კატა ხელში აიყვანა, დეტექტივი გახარიას შეხედა.

— ამას იქით გავიყვან, თორემ დეტექტივში მგონია თავი, კატა, ქალი, გამოძიებელი.

ქალი გავიდა. ეზოდან ბავშვების ხმა ამოდიოდა, თამაშობდნენ.

დეტექტივი გახარია ოთახი მოათვალიერა. არაფერი განსაკუთრებული. კედელზე ნახატები ეკიდა. დეტექტივი გახარია მხატვრობის მოყვარული არ იყო, თავის დროზე რამდენიმე წიგნი წაიკითხა მხატვრობის ისტორიის შესახებ, მაგრამ მხატვრობას ვერ ამულამებდა, თუმცა ხვდებოდა, რომ რალაც მისთვის გაუგებარი მულამი ქონდა.

ქალი ოთახში დაბრუნდა. — მხატვრობა გიყვართ? — კითხა დეტექტივი გახარია.

— არა, ჩემი ძმამ მხატვარი, მისი ნახატებია — თქვა ქალმა.

საშინაო ტანსაცმელშიც კი ძალიან ლამაზი იყო. ყოველშემთხვევაში, დეტექტივი გახარია ასე თვლიდა.

— არ შემიძლია, გამოვიცვლი რა ტანსაცმელს და მერე დავინცოთ.

— კი, როგორც გინდათ — დაეთანხმა დეტექტივი გახარია ქალს, ხოლო საკუთარ თავს შენიშვნა მისცა: „ნუ უყურებ ლენჩივით!“ რა თქმა უნდა, ეს ხმამაღლა არ უთქვამს, მხოლოდ და მხოლოდ გაიფიქრა.

ქალი გავიდა. დეტექტივი გახარია წამოდგა და ნახატების თვალიერება დაიწყო. ძირითადად, პეიზაჟები იყო. ნახატებს ახლოდან ათვალიერებდა, გაახსენდა, რომ ზოგიერთ ნახატს შორიდან უნდა უყურო. „იქნებ ეგეთი ნახატებია“ — გაიფიქრა და შორიდან დაუწყო თვალიერება. „არა, არ არის ჩემი საქმე მხატვრობის შეფასება“ — გაიფიქრა და დაჯდა. ფეხი ფეხზე გადაიდო და გაიფიქრა — „მონვენდა კაცი.“

ქალი დაბრუნდა, საშინაოდ ეცვა, ოღონდ არასპორტულად.

— შეგიძლიათ, დაინცოთ. ქალმა სიგარეტს მოუკიდა.

— ხომ არ მონევთ — შეთავაზა დეტექტივი გახარია და სიგარეტის კოლოფი გაუწოდა.

დეტექტივი გახარია ოდნავ წამოინია, შემდეგ თავს ძალა დაატანა და თქვა: — არა, დიდი მადლობა — და იქვე მოკლე ექსკურსი გააკეთა — ადრე ვწნეოდი, ეს ისე, ყოველი შემთხვევისთვის, დედიკოს ბიჭი რომ არ გვეგონოთ.

ქალმა გაიღიმა.

ანარალი



— „საბაზე“ გამორჩეული გამოსვლა გქონდა, ორიგინალური და სახალისო. რამ გაგახსენათ მულტიფილმის გმირი ჩიბურაშკა?

— წელს მეოთხედ გავხდი „საბას“ ნომინანტი. ყოველთვის მქონდა გამარჯვების იმედი, რომელიც ბოლო წუთს კვდებოდა. უკვე შეგუებული ვიყავი, რომ ჩემი ექიმობა ამ კონკურსში სერიოზულად შემძლიდა ხელს. შეიძლება ნომინანტად წარვედგინებ, მაგრამ პრემიას არ მომიტყენებ. წელსაც იგივე განცდა მქონდა, ამიტომ როდესაც გამარჯვებულად გამოაცხადეს, სახტად დავრჩი. არ არსებობს! — ასეთი იყო პირველი რეაქცია. ყველაზე მეტად გული იმაზე დამწყდა, რომ ჩემი გოგონები უკან იდგნენ და ვერ დავინახე, როგორ უხაროდნენ. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს სადღაც გავფრინდი. სანამ ბანკის აივანთან მივედი, სიხარულისგან ყურებს ვაპარტყუნებდი და დეტყობა, ჩიბურაშკა ამიტომ გამახსენდა.

წინა წლებში ყოველთვის ვამზადებდი ხოლმე სამადლობლო სიტყვას და ვიცოდი, რომ ოდესმე „საბას“ თუ ავიღებდი, გამოსვლას ასე დავიწყებდი: დიდ მადლობას ვუხდით სკოლის ქართული ენის მასწავლებლებს, იმიტომ, რომ ჩემი ქართულის ცოდნა მხოლოდ მათ განაპირობეს, მაგრამ ეს „ოდესმე“ იმდენად მალე დადგა, დავიბენი. არადა, ბევრისთვის უნდა გადაემხნა მადლობა — თუნდაც პაატა ნაცვლიშვილისთვის, რომელიც ჩემი პირველი წიგნების გამომცემელი გახლავთ; არაერთი ადამიანისთვის, ვინც ლიტერატურაში გზა დამილოცა, მათ შორის იყვნენ ირაკლი აბაშიძე, მირიან ფოცხიშვილი, იოსებ ნონეშვილი; თამარ თამარ თამარისთვის, რომელთანაც, მართალია, ინგლისურზე დავდიოდი, მაგრამ ქართულის სიყვარული მისი დამსახურებაა. იყო კიდევ ერთი კარგი ადამიანი — ფაცია პაიჭაძე, რომელიც პიონერთა სასახლეში მუშაობდა. ეს ქალბატონი დაუზარლად გვაკითხებდა და გვიხსნიდა, რატომ არ ვარგა ერთი ტექსტი და რატომ არის კარგი მეორე. ერთი სიტყვით, საინტერესო ადამიანებთან მიმართებაში ვამიერთა.

— როგორ მოხდა, რომ პროფესიით ექიმი ლიტერატურას მიაღებდი?

— პირიქით იყო. ისე გამოვიდა, რომ ლიტერატორი მივადექი მედიცინას. ადრეული ბავშვობიდან რაღაცებს ვერითმე ვეძიებ, სამი წლისა ერთსტროფიან ვეცხებ. ერთი წელი. ეს პროცესი მოგვიანებითაც გაგრძელდა, თუმცა პერიოდულად მქონდა ჩავარდნები, მერე ისევ ვიწყებდი წერას. სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის დროსაც აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ვცხოვრობდი — ჟურნალ-გაზეთებში ვიბეჭდებოდი, სცენაზე ლექსებს ვკითხულობდი. მართალია, პროფესია მერე შემეყვარდა, მაგრამ ლიტერატურა ჩემთვის გაცილებით მეტია.

— შემთინახსენებ ცნობილ პოეტებთან როგორ აღმოჩნდით?

— დედაჩემის დამსახურებით. მომკიდებდა ხელს პიონერის ყელსახვევიან, ნითელბაფთიან გოგონას და მივდიოდი რომელიმე ცნობილ პოეტთან ჩემი „შემოქმედების“ წარსადგენად. ძალიან სასაცილო იყო შეხვედრა იოსებ ნონეშვილთან, რომელმაც საკუთარი ლექსები ნამიკითხა და წიგნზეც წამიწერა. მეორე დღეს შემთხვევით შემხვდა და მომესალმა. სახლში კი არ მივიდი, მივფრინდი. ყველას ვახარე, ნონეშვილმა მიცნო და მითხრა — მოგესალმებათ მგოსანო. არადა, აღმოჩნდა, თურმე ყველა, უცნობებსაც, ასე ესალმებოდა.

შოთა ნიშნინიძის მივხერეთ ერთხელ წერილი. მერე დიდხანს ვიყავი და პასუხს ფოსტის ყუთში ველოდი. ძალიან მძაფრი გამოხმაურება მქონდა მის ერთ ლექსზე, რომელიც პესიმისტურად მომეჩვენა და ვერ ვაპატივტერებდი გრანელის პესიმისმი მიყვარდა, მაგრამ შოთა ნიშნინიძე ყოველთვის ოპტიმიზმით აღსავსე უნდა ყოფილიყო, ომხიანი. ყოველ დღით ვიჭყიტებოდი ფოსტის ყუთში, მაგრამ არ მოვიდა ბატონი შოთასგან პასუხი. ასეთივე გულსიფანტეალები ველოდი „ნორჩ ლენინელს“, სადაც ერთი-ორჯერ დავიბეჭდე.

მაკა მიქელაძე:

„ჩემი პირველი სერიოზული პუბლიკაცია სკანდალს უკავშირდება“

„სრულიად ორიგინალური ხელნერის მქონე ავტორი, დახვეწილი მწერლური ენით. არ გაურბის ნეოლოგიზმებს, ენობრივ გადახრებს და აქვს სტილის საოცარი შეგრძნება“ — ასე წარუდგინა ნლევიანდელი „საბას“ ჟიურის წევრმა, მანანა ლარიბაშვილმა აუდიტორიას „საუკეთესო პროზაული კრებული“ გამარჯვებული, მაკა მიქელაძე. „მე და ჩემი კუსტურიცა“ მისი რიგით მეთხუ კრებულია. მანამდე იყო „ფლეში“, „ნარჩენი მოვლენა“, „წეროს ჯვარი“. ბესო ხვედელიძესთან ერთად დაწერა ექსპერიმენტული რომანი „იხვის ტოლმა“, ცოტა ხნის წინ მისი ავტობიოგრაფიული რომანი — „ნამყვანი ორგანო“ ვიხილეთ. პროფესიით ფსიქოთერაპევტი და ნარკოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს. მძიმე სამუშაოს მიუხედავად, წერისთვის დროს ყოველთვის პოულობს, რადგან ლიტერატურა მის ცხოვრებაში უმთავრესია. დღეს მაკა მიქელაძე ჩვენი სტუმარია.

მოკლედ, პატარა ლენინელი გოგო ვიყავი. შედარებით მოზრდილ ასაკში იზა ორჯონიკიძესთან აღმოვჩნდი, რომელმაც ბევრ რამეზე „ამიხილა“ თვალის. სამედიცინოზე გინდა, არა, ჩაბარება, ათი შვილის ყოლა და თან მწერლობასაც აპირებ? არ გამოვივაო — მითხრა პირდაპირ. აი, მე ასეთი ლექსი მაქვს — „არ გამოვიდა ჩემგან ცოლი და ბუხრის კატა“, იმიტომ რომ, ეს, გენაცვალე, შეუთავსებელია. ასეც მოხდა — მხოლოდ ორი შვილი მყავს, თუმცა არიან ადამიანები, ვინც ამ ყველაფერს ახერხებს. ამისთვის ვიღაცას ძალიან უნდა უნდოდეს, რომ ეს გამოვიტყუდე.

— პირველი წიგნები როგორ დაბეჭდეთ?

— პირველი სერიოზული პუბლიკაცია სკანდალს უკავშირდება — შტურმით ვიღებდი „ციცკარს“. იმ პერიოდში ეს ერთადერთი ლიტერატურული ჟურნალი იყო და გადავწყვიტე, რამდენიმე ლექსი მიმეტანა. ორჯერ უარით გამომისტუმრეს — დებიუტანტი-სთვის „ნობაში“ გვაქვს და იქ მიბრძანდითო. როგორც ექნა, მივედი „ნობაში“ და თენგიზ ჩალაურს ლექსების რეგული დავუტოვე. წარმოიდგინეთ, რა რაოდენობის ნაწერი უნდა წაეკითხა მას და, ბუნებრივია, ვერ მოასწრო. ორი კვირის შემდეგ გავიარე და მომიბოდიშა, თქვენი ლექსები სუსტია და ვერ დაბეჭდვითო. არ ნაგვიკითხავთ-მეთქი — შევეპასუხე და ჩემი ლექსების რეგული იმავე ადგილიდან გამოვუტანე, სადაც დავტოვე. ბევრი იცინა, მერე ლექსები წაიკითხა და რამდენიმე დამიბეჭდა. მერე მორისმაც გამომიბეჭდა ლექსები, „არილი“ და ვიბეჭდე. მახსოვს, ეს იყო „სამი მოთხრობა ომზე“ და მოგვიანებით მოთხრობა — „გვირაბი“, რომელსაც გამომხაურება მოჰყვა. ეს თემები შემდეგ დარჩა ჩემს შემოქმედებაში.

— პირველი წიგნიც სკანდალს ხომ არ უკავშირდება?

— ესეც არაორდინარული ისტორიაა. პირველი წიგნიც პაატა ნაცვლიშვილმა დამიბეჭდა, რომელიც მოდელის რანგში გავიცანი. „ვოგის“ კონკურსში ვმონაწილეობდი, ისინი კი ამ კონკურსს აშუქებდნენ. ვითავხედე და პაატას ლექსების მიტანა შევეთავაზე. მომიტანე ერთი — მითხრა და თურმე დიდი განადგურებისთვის მოემზადა. ერთი კვირის შემდეგ დამირეკა, შენი გაკრიტიკება მინდოდა, მაგრამ არ გამომივიდა, ასეთს არ ველოდი. ცოტა ხანში წიგნების გამოცემა შემომთავაზა. ყველაფერი მოამზადა და ის დროა, სტამბაში უნდა გავგზავნიო, რომ მირეკავს ალექსებელი — არაფერი არ ვარგა, უამრავი კორექტურა და მოვიფარე შენთანო. წარმოიდგინეთ, რა დღემი ჩავევარდი. ნახევარ საათში რეკავს ზარი. სრულიად გადაფორებული ვაღებ კარს და ვხედავ, დგას პაატა ორი შეკვრით — ეს იყო ჩემი ნილი წიგნები. ჩემს კვილს მიჰქონდა ყველაფერი. აი, ასეთი სიურპრიზი მომიხდოდა პაატა ნაცვლიშვილმა.

— „მე და ჩემი კუსტურიცა“ თქვენი მესამე პროზაული კრებულებაა. მანამდე იყო ექსპერიმენტული რომანი — „იხვის ტოლმა“, რომელიც ბესო ხვედელიძესთან ერთად დაწერეთ. რატომ დათანხმდით ამ ექსპერიმენტში მონაწილეობას?

— ბევრს აინტერესებს, როგორ ვწერდით ერთად, ხად ვწერდით. მე და ბესომ შემთხვევით გავიცანით ერთმანეთი. მითხრა, რომ აქვს ტექსტი, რომელიც, მისი აზრით, რომანად უნდა იქცეს და დახმარება მთხოვა. დღევანდელი გადასახედიდან ალბათ სულ სხვანაირად განეთიხადებოდა ყველაფერი, მაგრამ მაშინ ავიღეთ ბესოს ნაწერი, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო და ჩემი ტექსტით შევავსეთ. „იხვის ტოლმა“ ამიტომ დავარქვეთ — ხორცი უკვე არსებობდა და ახალი ტექსტით შევფუთეთ. წერის პროცესში ერთმანეთი თითქმის არ გვინახავს. ბესო ველად იყო გაჭრილი და ტელეფონით ვეძებდი. სხვათა შორის, ამ რომანზე მუშაობა კომპარირით ახსოვს: ყველაზე კარგ ხასიათზე რომ ვიყავი, მეცხერ ციდან მხსნიდა მიქელაძის კვილი — სად ხარო? ასე, ტელეფონით ვარ-

კვევდი დეტალებს. 4 თვის მანძილზე ერთადერთად შევხვდით და ერთად წავიკითხეთ უკვე გამზადებული ტექსტი. წიგნი ბევრმა მოიწონა, თუმცა ვფიქრობ, ბევრად საინტერესო იქნებოდა, რეალურად ერთობლივად რომ გვემუშავა და უფრო მეტად გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის აზრები.

— ზოგადად ასეთი ექსპერიმენტების მიმართ როგორ ხართ განწყობილი?

— კარგად, რადგან ორივე მწერლის გამდიდრებას ემსახურება. მართალია, ჩვენგან ილფი და პეტროვი არ გამოვიდა, მაგრამ პირველი ცდისთვის, მგონი, საინტერესო იყო. მერე მე და ბესომ დავიწყეთ თავის გაპიარება, რომ დავწერდით თხის კუდს, ბუს კვერცხებს და ეს იქნებოდა ოთხტომეული. მკითხველი დიდხანს ელოდა ოთხტომეულს, მაგრამ ამაოდ, რადგან ამ დროს ორივე ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებდით. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მეორე ადამიანთან ერთად რომანის დასაწერად ორივე ახლებურად უნდა იყოთ სავსე. თუ იმდენად სავსე ხარ, რომ შეგიძლია სათქმელი მარტომ თქვა, სხვა აღარც გჭირდება. თანაც, ამ ექსპერიმენტს გაყიდვისა და გახმაურების კუთხით დიდი აქტიუობა არ მოჰყოლია.

— ალბათ იმიტომ, რომ უფრო ფორმის თვალსაზრისით იყო ქართულ რეალობაში ახალი და საინტერესო.

— ესეც არის, თუმცა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერთი ფაქტორიც: როდესაც კომერციულად მომგებიან პროექტს აკეთებ, პატივსხვად უნდა გააკეთო საქმე. ლიტერატურაში კი ეს ძალიან ძნელია.

— რა თვალსაზრისით?

— წარმოიდგინეთ, მკითხველი შენგან გასართობ ჟურნალს ელის, შენ კი სერიოზულ ლიტერატურას აპარებ. ამ დავებზე, რომ ადამიანის ტექსტთან მისაყვანად ხშირად მივმართავ სხვადასხვა ხრიკს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მაგალითად, ფეექტურ, ბრჭყვილა დასაწყისს, ე.წ. ხმაურიან ამერიკულ სტილს. მკითხველი მოგყვება, რადგან მარტივ საკითხავს, სენტიმენტალურ ლავ-სთორის ელის. ამ დროს მოულოდნელად თხრობა „რთულდება“ და ისიც იძულებულია ტექსტი ბოლომდე წაიკითხოს, რადგან უკვე ჩათრულია. ზოგს მოსწონს ეს, ზოგი კი მთხოვს თავი დავანებო ასეთ თამაშს და თავიდანვე სერიოზული ნაწერი შეეთავაზო. მე კი მგონია, რომ ეს სულაც არ არის მიუღებელი. რით არის ცუდი, რომ მკითხველი მარტივად გავიდეს რთული იდეაზე? თუმცა ბოლო დროს ცოტა მომწყინდა ეს ყველაფერი და მინდა სხვა საფეხურზე გადავიდე, თუმცა ამას მეტი დრო ან უფრო მეტი ლიტერატურული ვარჯიში სჭირდება.

— ლიტერატურული სავარჯიშოები შევლის საქმეს?

— კი. ამ დროს გამომუშავდება სხვადასხვა სტილი, რომელიც შეგიძლია საჭიროების შემთხვევაში პირდაპირ გამოიყენო. ცოტა ხნის წინ, როდესაც რომანს ვწერდი, ძალიან გამიჭირდა იმერული, სვანური კილოებით წერა. აღმოვაჩინე, რომ თითოეული აბზაცი ჩემგან ყურადღების დაძაბვას და დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. დარწმუნებული ვარ, სოფლის მკვიდრი ლაფსუსებს აუცილებლად აღმოაჩენს. ეს არ არის სუფთა დიალექტზე დაწერილი ტექსტები, რაც ლიტერატორის მინუსია.

— როგორ ფიქრობთ, რატომ აღინიშნა „მე და ჩემი კუსტურიცა“ ლიტერატურული პრემიით, რა არის მასში ისეთი, რაც წინა კრებულებში არ იყო?

— პირველი პროზაული კრებული — „ფლეში“ საერთოდ ვერ მოხვდა ნომინანტთა სიაში: დებიუტით არ შეიტანეს, რადგან ლექსების კრებულში უკვე გამოქვეყნებული მქონდა, პროზის ნომინაცია კი ალბათ დიდ პატივად მოეჩვენა ჩემთვის. არადა, „ფლეში“ ამ წიგნს არაფრით ჩამოუვარდებია, ისევე, როგორც „წეროს ჯვარი“. თითოეულში 7-8 მოთხრობაა და ყველა თითქმის ერთი რანგის.

— მომეჩვენა, რომ სტილი მკვეთრად არ შეცვლილა.

— არა, უბრალოდ „მე და ჩემი კუსტურიცა“ ერთი რამითაა ძალიან საინტერესო — უფრო მთლიანია, შეკრული და თემატიკაც გაცილებით მრავალფეროვანია. ომის თემა ნამოწეული — არა მარტო აგვისტოს, სოხუმისა და დიდი სამამულო ომისაც. სიყვარულის, რწმენის, შურისა და მისი დამარცხების თემებიც აქტუალურია. კიდევ ერთი დეტალი — ამ წიგნში უფრო მეტი თავისუფლება მივეცი საკუთარ თავს ტრადიციული ფორმიდან გამოსვლისა და მწერლური ძიებების თვალსაზრისით, რამაც ტექსტები უფრო საინტერესო გახადა.

— სათაურიც მიმზიდველია, უხეშად რომ ვთქვათ, მომგებიანი.

— გეთანხმებით. სხვათა შორის, ეს მოთხრობა არაფრით ეხება ცნობილ რეჟისორს, გარდა იმისა, რომ მთავარი გმირი ომის პერიოდში უყურებს კუსტურიცას ფილმებს, რაც გარკვეულწილად გადაარჩენს კიდევ. რანაირად შეიძლება გავიცინოთ, როცა ირგვლივ ომია? — ასეთია მთავარი შეკითხვა, რაზეც ვპასუხობ, რომ ჩვენ ამას ყოველთვის ვახერხებდით. მოთხრობაში ბევრი იუმორია, რაც ასევე დამახასიათებელია ჩემი ტექსტებისთვის. ჩემს მოთხრობებში ყოველთვის გეღიძება. ერთი-ორ ადგილას გაგვიცინება კიდევ, რაც უნდა მძიმე იყოს თემატიკა.

— გამორჩეულად საყვარელი მოთხრობა თუ გაქვთ?

— ძალიან მიყვარს „ერთი მოთხრობა ამ რთულ ციკვაზე“, ახალ კრებულში — „ძმები ფრთებით“, შურზე მიყვარს მოთხრობა, რომელსაც ჰქვია „ერთი მოთხრობა ორ რთულ სიმღერაზე“ და ქართულ ხალხურ სიმღერას ეხება. მასში აღწერილია ერთი ქართველის განცდები, რომელიც ვერ მღერის და ეს სამინულად ტანჯავს. სხვათა შორის, დღეს მგონია, რომ ეს მოთხრობა ცოტა სხვანაირად უნდა დაწერილიყო.

— გაქვთ ხოლმე ასეთი მომენტი?

— რა თქმა უნდა. ამაზე ხშირად ვფიქრობ, თუმცა ჩამოყალიბებული პოზიცია მაქვს. ობიექტურად რომ მივუდგეთ, როგორ შეიძლება ქართულ ხალხურ სიმღერაზე გურამ დოჩანაშვილზე უკეთ დაწერო, მაგრამ მე ჩემი სათქმელი მაქვს, რომელიც მკითხველს აუცილებლად უნდა გაეუზიაროს.

— ლიტერატურაში პოეზიით მოხვედით, მაგრამ დღეს როგორც პროზაიკოსს გიცნობენ. რითი ხსნით ამას, რა არის მიზეზი?

— მიზეზს ნამდვილად ვერ ვეტყვით. ლიტერატურულ წრეებში პოეტად უფრო მიცნობენ, თუმცა რადგან მოთხრობები უფრო ხშირად იბეჭდება, პროზასთან მოხდა ჩემი გაიგივება. წიგნებიც თანაბარი რაოდენობით მაქვს — ოთხი პოეტური კრებული და ოთხი — პროზაული.

— რომელიც უფრო თქვენია?

— ასე არ ვმიჯნავ, პროზას სხვანაირად ვწერ და პოეზიას — სხვანაირად, განწყობას გააჩნია. გაბრაზებული თუ ვარ — პროზის წერა მირჩევნია, უფრო მეტ ენერგიას მოითხოვს, თუმცა ლექსებსაც არანაკლები შრომა სჭირდება. ორივე ძალიან მიყვარს. ადვილად ვერთვები ერთიდან მეორეზე. ხანდახან ბაზარი მკარნახობს, კონკრეტულ მომენტში რა დაწერო — პოეზია, პროზა თუ საბავშვო მოთხრობა.

— მიყვებით ხოლმე ბაზრის ძახილს?

— ყოველთვის ვერა, იმიტომ რომ ჩემი საქმეც მაქვს. ახლა, მაგალითად, თავში მაქვს ერთი რომანი, რომელიც აუცილებლად უნდა დაწერო. თუ ბევრი მუშაობის საშუალება მომეცემა, დიდ რომანს დავწერ, თუ არა — შედარებით პატარას. ეს არის სასიყვარულო ისტორია, რომელიც მოგზაურობაში გადადის. მას მოსდევს ფსიქოდრამა და პოეტურ-ეპისტოლარული ჟანრით მთავრდება. კიდევ ვმუშაობ ჩეხი განმანათლებლის წიგნზე „ციცინათლები“, რომელიც არაერთ ენაზე თარგმნილი და მთელი ევროპა იცნობს. გვაქვს წიგნის ნახატები და პნკარედი, ახლა ტექსტი უნდა ითარგმნოს. სექტემბრისთვის ამ პროექტის დასრულებაც მინდა.

ესაუბრა ნანა კობახიძე

აკოტხაილი ლევან ჭოლოშვილი:

„ბავშვობაში ნებისმიერი მოცულობის ლექსს ზეპირად ვიმასსოვრებდი“

მხატვარ ლევან ჭოლოშვილის ოჯახის ისტორიაში ლიტერატურას განსაკუთრებული ადგილი აქვს. მხატვრის წინაპარი ხრესილის ცნობილი ომის დროს სოლომონ პირველს მიმხრობია, მესხეთიდან იმერეთში გადასულა და მეფის მწერალი და პირადი მდივანი გამხდარა. იქიდან მოყოლებული, მათი გვარის წარმომადგენლები უმეტესად ინტელექტუალური საქმიანობით გამოირჩეოდნენ. მათ შორის იყო მხატვრის ბაბუა — აკაკი წერეთლის პირადი ექიმი, რომელმაც მოგვიანებით აკაკიზე და სანერეთლოს მაშინდელ ყოფაზე ძალზე საინტერესო მოგონებები დაწერა.

მხატვრის დიდი ბებია ეკატერინე გაბაშვილი გახლდათ — ცნობილი მწერალი და ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე. ბატონი ლევანის დედას თვრამეტ წლამდე ეკატერინე ზრდიდა. მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი მათ ოჯახს სიძედ ეკუთვნოდა. ბატონი ლევანის მეორე ბაბუამ, კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა, განათლება სორბონის უნივერსიტეტში მიიღო, დრამატურგიასა და რეჟისურაში მუშაობდა, კინემატოგრაფისტთა კავშირის ერთ-ერთი პირველი თავმჯდომარე გახლდათ, მწერლობა კიდეც. მოლიერი პირველად მან თარგმნა ქართულად. 1924 წელს, როცა ბოლშევიკური რეჟიმი ანდრონიკაშვილებს სასტიკად გაუსწორდა, კონსტანტინე საფრანგეთში ყოფნის გამო გადაურჩა დახვრეტას. 1937 წელს კი, მეუღლის ნათესავმა შეატყობინა, დაპატიმრებას გიპირებენო და თავადი ანდრონიკაშვილი ფარულად გაერიდა საფრთხეს. დარჩენილი ცხოვრება ვოლგისპირეთში გაატარა, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა.

ამგვარი ისტორიის მოსმენისას, წარმოიდგინე, რომ ბატონი ლევანის საოჯახო ბიბლიოთეკა ძველი გამოცემებითა და უნიკალური ხელნაწერებით იქნებოდა მდიდარი. თუმცა მითხრა, დედის ოჯახის წევრთა დევნის გამო, მათი წიგნებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი შემოგვრჩაო.

— ბატონო ლევან, ამას წინათ, თქვენს შესახებ სტატია წავიკითხე. ენერა, ხატვა ოთხი წლისამ დაიწყო, იმ ლიტერატურას ასურათებდა, რომელსაც მშობლები უკითხავდნენო. მართლა ასე იყო?

— ბავშვობაში ასეთი ნიჭი მქონდა — ნებისმიერი მოცულობის ლექსს ზეპირად ვიმასსოვრებდი. დედაჩემი ქართულ-სპარსული ენების სპეციალისტი იყო და უმეტესად ქართულ ხალხურ პოეზიას, ქართულ-ირანული ეპოსის ნიმუშებს მიკითხავდა. მისგან ვიცნობდი „ყარამანინას“, „ამირან-დარეჯანინას“, „ვისრამინას“. საგმირო თემატიკა ბავშვისთვის, და მით უფრო ბიჭისთვის, შთაბეჭდილია, მაგრამ, წაკითხულს გულმოდგინედ ვასურათებდი. რაინდობის თემაზე მოთხრობებს თვითონაც ვწერდი და შემდეგ ვხატავდი. 6-7 წლის ასაკში, მამაჩემმა მოსკოვში წამიყვანა. იქ, უცხოელების მალაზიაში, „ბერძნული მითების“ წიგნი შეიძინა და ყოველ დღე მიკითხავდა. თან, პუშკინის მუზეუმში დაყვავდი, სადაც იმ გმირების ანტიკურ ქანდაკებებს მიჩვენებდა, რომლებსაც მითებიდან უკვე ვიცნობდი. მოგესხებოდა, პუშკინის მუზეუმში მარინა ცვეტაევას მამის დაარსებულია. ახლაც მახსოვს, როგორ იდგა მამაჩემი მუზეუმის მემორიალურ დაფასთან და ივანე ცვეტაევის შესახებ კითხულობდა. მოგვიანებით, მარინა ცვეტაევა ჩემი ერთ-ერთი საყვარელი პოეტი გახდა. ყოველდღიურად დავდიოდით მუზეუმში. ანტიკური ხელოვნების ნიმუშების ხილვითა და მითების კითხვით მიღებული შთაბეჭდილება ერთმანეთის ადეკვატური იყო. ვინაიდან, ბავშვს მიბაძვის თავისებური უნარი აქვს, ჩემს მიერ ბერძნული ქანდაკებების გავლენით შექმნილი სურათები ორიგინალური გამოდგოდა და სხვა ბავშვების ნახატებს არ ჰგავდა. ამის შემდეგ რამდენიმე წელი სკოლის გაკვეთილები თითქმის აღარ ჩამტარებია, რადგან მასწავლებლები ბერძნულ მითებს, „ილიადასა“ და „ოდისეას“ მაყოლებდნენ. ჩემი თანაკლასელებისთვის ეს სრულიად უცხო ისტორიები იყო.

როცა ნაშრომებზე, მამა ცდილობდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური გამოცემები შეეძინა. მეუბნებოდა, უცხო ენები თუ არ გეცოდინება, ყრუ და მუხჯი იქნები. მე კი ძირითადად რუსულად ვკითხულობდი. ზოგჯერ დაუმალავს კიდეც რუსული წიგნები, იქნებ სხვა ენებზე კითხვა ამან მაინც აიძულოსო. მას სურდა, ფიზიკოსი გაემხდარიყავი, მაგრამ მხატვრობისაკენ ჩემმა სწრაფვამ მამის სურვილს სძლია.

— ჯერ ისევ ბავშვი იყავით, როცა ორიგინალური აზროვნებისა და ხელნერის გამო საბჭოთა ცენზურამ თქვენი ნამუშევრები დაიწუნა და საერთაშორისო საბავშვო კონკურსში მონაწილეობის საშუალება არ მოგცათ. გარკვეულწილად, ეს ისტორია ლიტერატურასაც უკავშირდება.

— დაახლოებით ცხრა წლის ასაკში მამაჩემმა წამაკითხა პოემა ინდიელთა შესახებ — „ჰაიავათას სიმღერა“. ჯერ კიდევ ანტიკური ქანდაკებების შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი და რადგან ინდიელებსაც არ ეცვათ ტანსაცმელი, მათთვისაც ხეულის სიშშიველი იყო დამახასიათებელი,

ადვილი გახდა ჩემთვის მათი ფორმალურად დაკავშირება ელინურ პლასტიკასთან. ჰაიავათაც დავასურათე — მთელი სერია, სადაც მწვანე და წითელი ინდიელები ერთმანეთს ებრძოდნენ და მას „ბალახისა და ცეცხლის ბრძოლა“ დავარქვი. ჩვენს ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ მხატვრები, მათ ჩათვალეს, რომ „ბალახისა და ცეცხლის ბრძოლა“ აბსტრაქტული აზროვნების ერთგვარი ნიმუში იყო და ნამუშევარი მომინონეს. საბჭოთა პერიოდში ხომ ყველაფერი აბსტრაქტული იკრძალებოდა; ალბათ, ჩემმა ნახატებმა უფროსების ყურადღება ამიტომაც მიიქცია. გადაწყვიტეს, ნამუშევარი კანადას საერთაშორისო კონკურსზე წარედგინათ, მაგრამ ცენზურამ წითელი ინდიელები ბოლშევიკებს დაუკავშირა, ჩათვალა, რომ არ შეიძლებოდა წითლებს მწვანეებთან ებრძოლათ და ნახატი კონკურსზე არ გაიგზავნა. ამის შესახებ მამაჩემს პირდაპირ უთხრეს. ასე რომ, ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ ცენზურა ებრძოდა მხატვრობას.

— თქვენი აზრით, ნორჩი მკითხველის ლიტერატურულ გემოვნებას რამდენად განსხვავებს ის პირველი წიგნები, რომელსაც მას უფროსები აწვდიან?

— დღეს გაცილებით ხელმისაწვდომია საბავშვო ლიტერატურა, არჩევანი დიდია. ჩემს ბავშვობაში ასე არ იყო. მახსოვს, სადაც ამოვიკითხე, რომ ჩრდილოეთ კორეას დიქტატორმა გადაწყვიტა გამოეცვა და მოსახლეობისთვის გაცივებული „სამი მუშუკეტი“ და ჟიულ ვერნის რომელიღაც სათავგადასავლო რომანი. საბჭოთა კავშირშიც იგივე მდგომარეობა იყო — ამა თუ იმ უცხოელ მწერალს რაიმე პოლიტიკური პრინციპით გამოარჩევდნენ და ამის შემდეგ, მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ იმ მწერლის შემოქმედება ითარგმნებოდა, მხოლოდ მას გამოსცემდნენ, კითხულობდნენ, მასზე საუბრობდნენ. ასე გაცივო მოსახლეობამ რემარკი, შემდეგ ჰემინგუეი, ფოლკნერი... მაგრამ ამას ლიტერატურულ განათლებას ვერ დაარქმევდი, ეს ვერც მკითხველის ლიტერატურულ გემოვნებას განავითარებდა. იგივე მდგომარეობა იყო მხატვრობაში, მუსიკაში, მეცნიერებაშიც კი.

მახსოვს, მამაჩემის ერთმა ამერიკელმა მეგობარმა ლიტერატურული ჟურნალი გამოგვიწერა. მისი საშუალებით უახლოეს ლიტერატურული პროცესებისთვის თვალის მიდევნება შეიძლებოდა. პერიოდულ გამოცემას რამდენიმე წელი შეუფერხებლად ვიღებდით. როგორც ჩანს, ცენზურამ მასში საფრთხე ვერ დაინახა.

— მარინა ცვეტაევა ახსენით, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი პოეტი არისო. ერთხანს, საბჭოთა ცენზურა მის შემოქმედებასაც კრძალავდა.

— სიმართლეა ყველაფერი, რაც აკრძალულია — ეს არის ჩემი, როგორც ხელოვანის კრედი. ტყუილს არავინ აკრძალავს. ისეთ სფეროებში, როგორცაა ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება, ტყუილი საკუთარ თავს თვითონვე გააბათილებს. ადამიანები იოლად მხოლოდ სულელურ ტყუილს იჯერებენ. ამიტომ, როცა რაიმე მკაცრად აკრძალულია, ის აუცილებლად არის სიმართლე, და რაკი სიმართლეა, მაშასადამე ხელოვნების

ობიექტია, რადგან ხელოვნება, როდენის თქმით — და ამას სხვა დიდი მხატვრებიც ამბობდნენ — არის სიმართლის, ჭეშმარიტების სამსახური. ცვეტაევას იმიტომაც დევნიდნენ, რომ პოეტი შინაგანად მართალი იყო, თავის ნაწერებშიც არასოდეს ტყუოდა. რა მიზეზით უნდა აეკრძალათ მისი შემოქმედება? მითოლოგიაზე, სიყვარულზე, ადამიანურ ურთიერთობებზე წერდა. გარდა ამისა, ველიმირ ხლემბნიკოვის, ილია ზდანევიჩისა თუ სხვათაგან განსხვავებით, ის არ ყოფილა უკიდურესი ავანგარდისტი. ასე რომ, ცვეტაევას შემოქმედების აკრძალვის მიზეზი ჭეშმარიტების სიყვარული იყო. გახსოვთ ის ლექსი, სიკვდილის შემდეგ პასტერნაკმა რომ მიუძღვნა? ამგვარ მიძღვნებში ხომ, როგორც წესი, იმაზე წერენ, რაც ადამიანს სიცოცხლეში განსაკუთრებით გამოარჩევდა, რაც დამახასიათებელი იყო მისთვის. მაგალითად, ახმატოვამ პასტერნაკზე თქვა, მას მთელი ბუნება მემკვიდრეობით ერგო. პასტერნაკი კი ცვეტაევაზე წერდა: „ქმნი იქი, იქი იქი, იქი იქი, იქი იქი, იქი იქი, იქი იქი, იქი იქი“. მახსოვს, სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა გარკვეული წრე აკრძალულ ლიტერატურას ვკითხულობდით, მაშინ პირველად მოვისმინე ცვეტაევას ყველაზე აკრძალული ლექსების სერია „ქმნი იქი, იქი იქი“, სადაც თეთრგვარდიელებზე, მათ წინასწარ განწირულ რაინდულ სულზე ეწერა. პოლონელებს ასეთი გამოთქმა აქვთ — დიდება დამარცხებულებს! მათი ქვეყნის ისტორიული წარსული ძალიან ჰგავს საქართველოს ისტორიას. ცვეტაევისთვისაც, რომელსაც დედა ნახევრად პოლონელი ჰყავდა, განსაკუთრებით ახლობელი იყო ამგვარი დამოკიდებულება დამარცხებულის, დაჩაგრულის მიმართ. დამარცხებული — თუნდაც იმიტომ, რომ ის დევნილია, სიმართლისთვის ენამა — ყოველთვის ახლოს დგას ქრისტიანულ ჭეშმარიტებასთან. სიმართლე კი ორივე მხარეს აქვს. ცვეტაევა წერდა თეთრი არმიის ოფიცრებზე, გლეხებზე, სამედიცინოებაზე, ძველ მოსკოვზე — ყველაზე და ყველაფერზე, რასაც ბოლშევიზმი ანადგურებდა და რისი დამცველებიც განწირულნი იყვნენ დამარცხებისთვის.

— თქვენი შემოქმედებაც ხომ იმავე სიმართლეზეა აკებული. თქვენ ყოველთვის ხატავდით იმ სახეებს, ვის მიმართაც შეუწყნარებელი იყო კომუნისტური რეჟიმი, რადგან ეს სახეები ქართულ სულს, შინაგან კულტურას ასხივებდა. სატავდით იმ თბილისს, რომელიც ასე შორს იყო საბჭოთა რეალიზმისგან და წარსულში აბრუნებდა ადამიანებს.

— მახსოვს, გურამ ასათიანი ჟურნალ „ლიტერატურაშია გრუზიას“ რედაქტორად რომ დაინიშნა, ვილაც რუსი თეთრგვარდიელი პოეტის ლექსები მიუტანეს დასაბეჭდად. მეუბნებოდა: „რა ვქნა, ეს ლექსები რომ დაბეჭდო, მომედავებან, საქართველოსთან ამ პოეტს რა კავშირი აქვს? ხომ არ ვეტყვი, თეთრგვარდიელია და ესაა მისი კავშირი საქართველოსთანო?“ მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, შინაგანად ვხვდებოდი რას გულისხმობდა გურამი, მაგრამ მინდოდა რაციონალურად გამეაზრებინა მისი სიტყვები.



1937 წელს, როცა ბოლშევიკური რეჟიმი ანდრონიკაშვილებს სასტიკად გაუსწორდა, კონსტანტინე საფრანგეთში ყოფნის გამო გადაურჩა დახვრეტას. 1937 წელს კი, მეუღლის ნათესავმა შეატყობინა, დაპატიმრებას გიპირებენო და თავადი ანდრონიკაშვილი ფარულად გაერიდა საფრთხეს. დარჩენილი ცხოვრება ვოლგისპირეთში გაატარა, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა.

საქმე ისაა, რომ თეთრგვარდიელები ისტორიული, მონარქიული, არისტოკრატიული კულტურის მატარებლად მიიჩნეოდნენ. ქართული ეთნოსიც ამ კულტურის მატარებელია. ამიტომაც, იგი მუდამ უპირისპირდებოდა ბოლშევიზმს. ცხადია, ამ შემთხვევაში გლეხობასთან დაპირისპირებას არ ვგულისხმობ. პირიქით, არისტოკრატიაში ფეოდალური ხანის — მემამულურ-გლეხური — კულტურა მოიაზრება. რაკი საქართველოში, და ნაწილობრივ რუსეთშიც, ბურჟუაზიული ფენა შედარებით გვიან დაწინაურდა, ქართული ეთნოსი დიდხანს რჩებოდა არისტოკრატიულად. ამიტომაც, საბჭოთა წლებში დევნიდნენ და კრძალავდნენ ყველაფერს, რაც არისტოკრატიულობის ნიშანს ატარებდა. ეს კი იყო ქრისტიანული სარწმუნოება, ქართული ენა, ეროვნული სამოსი, შუასაუკუნეების კედლის მხატვრობა, ხალხური ფოლკლორი. მახსოვს, პირველად ოჯახური პორტრეტები რომ დავხატე, მითხრეს, ნამუშევრები არავის აჩვენო, მენშევიკებს დაგინახტავს და დაგიტყენო. რატომ იყვნენ მენშევიკები? რადგან ძველი ქართული სამოსი ეცვათ?! გამომდინარე ჩემი კრედიდან, რომ რაც აკრძალულია — ჭეშმარიტებაა და მაშასადამე ხელოვნებაა, ამის მხატვრულად გააზრება დავინყე და სოციალისტურ რეალიზმს ქართული ფენომენი დავუპირისპირე. გადავწყვიტე სოცრეალიზმს არამხოლოდ ფორმით, არამედ იდეოლოგიურადაც დავპირისპირებოდი. ამიტომაც, 1975-დან მოყოლებული, ათი წლის განმავლობაში, თუკი რამე ღირებული შეექმენი, იმ პერიოდში შეექმენი. გამოფენებში მონაწილეობის საშუალება ერთხელაც არ მომცეს, ჩემს ნამუშევრებს არსად იღებდნენ.

— დღეს, როცა წიგნის დიდი არჩევანია, როცა ავტორები აღარ იკრძალებიან, რა მიმართულების ლიტერატურას კითხულობთ?

— როცა ასეთი არჩევანია, შეუძლებელია ყველაფერი წაკითხო. მე და ალბათ ყველა იმ ადამიანს, რომელსაც ჩემსავით უფიქრია მწერლობაზე, ლიტერატურაზე, სურვილი ჰქონია სწორედ ლიტერატურულ პროცესებს მიჰყოლოდა, უამრავი მიზეზის გამო დრო აღარ რჩება არაპროფესიული ლიტერატურის საკითხავად. არის წიგნები, რაზეც მსმენია, მიფიქრია, რისი ნაკითხვაც მინდა, მაგრამ ზოგი ვერ ვიშოვე, ზოგი ძვირია, ან კითხვისთვის ვერ მოვიცალე. ისე, ყოველთვის ვცდილობდი, ყველა მიმართულების ლიტერატურა მეკითხა.

— თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნიმუშებს რამდენად იცნობთ?

— ზოგს ვიცნობ, ზოგს — არა. რაღაც მომწონს, რაღაც — ნაკლებად. ვფიქრობ, ბევრ მწერალს წერის კარგი ტექნიკა და საინტერესო თემები აქვს. იმისთვის, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაზე გარკვეული აზრი ჩამოვიყალიბებდეს, მხოლოდ ნაკითხვა არ კმარა, დრო უნდა გავიდე — დროის და ეპოქის შეფასება მოხდეს და გამოჩნდეს, ამ მწერლობამ რა თქვა, რა არ თქვა ან, რისი თქმა ვერ მოახერხა.



არჩილ ლუღუშაური

ერთხელ ფრანგი მთამსვლელის, როჟე ბერნანდინისთვის უკითხავთ, მთაში რატომ დადიხარო? უპასუხია: „თუნდაც იმისთვის, რომ იქ ასეთ ბრიყვულ შეკითხვებს არ იძლევიანო“.

მართალია, მთამსვლელობას საკმაო ხნის ისტორია აქვს, მაგრამ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ მთაზე მსვლელობის ჟინისა და მისწრაფების ნელ-ნელა იცვება მაინც შეუძლებელია. მას შემდეგ, რაც ცა-მინის მოციქულები, უმშვენიერესი ვერტიკალები არსებობენ, ადამის მოდგმასაც დაკარგული აქვს მშვიდი ძილი და მოსვენება — „შერეკილები“ თუ „თვით-მკვლელები“ ნებით უვარდებიან ხახაში პირდაფრენილ ნაპრალებსა და დაუნდობელ სტიქიონებს.

ამ წერილში მწერლის შეუპოვარ ლტოლვაზე გვინდა გვიამბოთ, ოღონდ, საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი ერთი მოგონების კვადრატად.

ალპინიზმის ინსტრუქტორთა საკვალ-იფიკაციო კომისიისა და საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდენტის ნევი, 1940 წლის კავკასიონის დიდი ტრავერსის, ხოლო 1938 წლის ბაკურიანი-ლიკანის პირველი სათხილამურო გადარბენის მონაწილე, 1938 წელს სათხილამურო სპორტში თბილისის პირველობის მთავარი მსაჯე, 1940 წელს სამთო-სათხილამურო სპორტში საქართველოს პირველობის შეჯიბრების ორგანიზატორი, ალპინადების ინსტრუქტორი და სამთო-საძიებო ჯგუფების ხელმძღვანელი — არჩილ ლუღუშაური ქართველ მთამსვლელთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც სპორტის დამსახურებული ოსტატის, ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ეზიარა კავკასიონის მწვერვალთა სიმალეებს. მისი სამთო ცხოვრების გამორჩეული მოგონება კი 1937 წელს უკავშირდება.

1937 წლის აგვისტოა. მთამსვლელთა ჯგუფი ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, „ხევის პატარძლის“ — მყინვარწვერის დასალაშქრად ემზადება, დაგეგმილია მწვერვალ შანზე (შავანაზე) სპორტული ასვლა.

დილის ხუთ საათზე შეუყვარა მთამსვლელთა ჯგუფი წმინდა სამების „ბავერდოვან, მწვანე ფერდობებს“, ამინდიც საშურია, გამოიძარა და ნისლმაც გადაიყარა, პირბადეაბდილი პატარძალივით მიმზიდველი და ამო საჭერეთია მყინვარწვერი: „ვუახლოვდებით მეტეოროლოგიურ სადგურს, ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე მყინვარის უზარმაზარ ქედზე გადმოდგარი კაცის სილუეტს ვხედავთ, რომელიც ბუნების სილამაზით ტკბება. ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არა აქვს. მესმის ალიოშა ჯაფარიძის გაკვირვებული ხმა: — ვინაა ეს, მარტო რამ ამოიყვანა აქ?! ვუახლოვდებით. კაცი სიცილით გვხვდება — თმაბურძენილი, ზურგჩანთააქიდებული, წერაყინს დაყრდნობილი, მუხლზე შარვაღადახეული. გვესალმება... ყველას ხელს გვართმევს... მეც ჩამოვართვი ხელი, ჩამოვართვი და აღარც გამიშვია, ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, ვიყვირე — ლევან მასწავლებლო, და გადავხვიე. ათი წლის უნახავ მასწავლებელს ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე ვკოცნი მთელი სიხარბით.

— ბიჭო, რომელი ხარ, ვერ გიცანი!

„რაა სიცოცხლე, თუნდაც ერთ მწვერვალს, თუ ნამით ფეხი ვერ დააბიჯე“

მთამსვლელის დღიურიდან

— თქვენი მოსწავლე ძაუგის ქართულ სკოლიდან, არჩილ ლუღუშაური.

ახლა თავის მძლავრ და ღონიერ მკლავებით ჩამიკრა გულში ჩემმა მასწავლებელმა“.

მკითხველი, ალბათ, უკვე სუნთქვაშეკრული ელის ოთხი ათას მეტრზე ამბლღებული უცნაური მასწავლებლის ვინაობის გაგებას. ვინც იცის დიდი ქართველი მწერლისა და დისიდენტის, უზადო პიროვნების, ლევან გოთუას ცხოვრებისეული პერიპეტეიები, მისი ქართველიანი და დაუდგომელი ცხოვრება, რომელიც პედაგოგობასა და მთასვლა-მგზავრობასაც მოიცავს, არ გაუკვირდება, რომ 1937 წლის აგვისტოს თვეში, მყინვარწვერის მისადგომებთან, 4000 მეტრის სიმაღლეზე სრულიად მარტო, ალტაცებული მონაწილე ნინ სწორედ ლევან გოთუა იდგა.

ყველაფერი კი სკოლის მერხიდან, ანუ ცოტა შორიდან დაიწყო. აი, რას გვიამბობს არჩილ ლუღუშაური თავის დღიურში: „1927-28 წ.წ.-ში ლევან გოთუა მასწავლებელია ჩრდილოეთ ოსეთის ქ. ორჯონიკიძის ქართულ მე-19 საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას. ლევან გოთუა მასწავლებელთა შორის უსაყვარლესი მასწავლებელი იყო. გაკვეთილების შუალედებში ყოველთვის მოსწავლეებთან ფუსფუსებდა, ვეხვეოდით გარს, ათასი შეკითხვით ვაბეზრებდით თავს. ლევან მასწავლებელიც სიამოვნებით გვპასუხობდა და გვეაღიარებდა. უყვარდა ჩვენთან ერთად ბურთის თამაში. ბევრჯერ ლახტით თამაში ქამარიც მოხვედრია. ჩვენ გვიხაროდა, ცას ვენვლიდით, ის კი ლახტის დარტყმას სულ ღიმილით დებულა. მისი ლახტის დატყმასაც არ გავურბოდით მოსწავლეები. ერთხელ მე მინია წრეში ჩადგომა. — აბა, არჩილ, გაუძელი ლახტს! მეც სიამოვნებით ვღებულა მასწავლებლის მსუბუქად მოქნეულ ქამარს, „რატომღაც“ რბილად მხვედებოდა და არ მტკიოდა, რაღაც უჩინარ სიამოვნებას განვიცდიდი. ლევან მასწავლებელი კი სიცილით იბადრებოდა. მოსწავლეთა და მასწავლებლის მხიარულ თამაშს სკოლის დირექტორი — ვანო გიორგობიანიც ადევნებდა თავს. მართალია, იგი ძალზე მკაცრი იყო, მაგრამ, ამავ დროს, ძალზე მამაშვილური და მხიარული.

ლევან მასწავლებელს ხშირად დავეყვადით ექსკურსიებზე. ძალიან უყვარდა ბუნება, ძველი ძეგლების დათვალიერება.

ერთხელ მოგვიყარა უფროს კლასელებს თავი და გვითხრა: აი, იმ მთას ხომ ხედავთ და აღმოსავლეთისკენ გაიშვია ხელი, მას „სასადილო მთა“ ეძახიან; კავკასიონის ქედის კალთებზე რომ მოკალათებულა, თითქოს თვითონვე ეპატიუბოდეს სტუმრებს — მოდი და დატკბით ჩემი სილამაზითო. ვის გაქვთ სურვილი ჩემთან ერთად ავიდეთ და ღამე გავათენოთ იქ? ხუთმა ამხანაგმა გამოვთქვით სურვილი. გაგვავრთხილა, რომ მშობლებისთვის გვეთქვა, თბილად ჩაგვეცვა და წაგველო ორი დღის საგზაო. დავეთქეთ, რომ შაბათს, დილის 6 საათზე სკოლაში მოვიყრიდით თავს. ჩვენი გადაწყვეტილება შეეტყო სკოლის დირექტორს, ვანო გიორგობიანს და სკოლაში რომ მივედით, იქ დაგვხვდა — მეც თქვენთან ერთად მოვდივარო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

გავუდექით გზას, გეზი ყაზბეგისაკენ ავიდეთ, მივედიოდა საქართველოს სამხედრო გზით. მივედით სოფელ ბალთაში — თერგის მარჯვენა ნაპირზე გრძლად გაშლილი ქისტების დასახლება მწვანეშია ჩაფლული, პატარა კოხტა სახლებითა და ბაღჩეებით, თხილის წნელით ღამაზად დაწნული ღობეებით. გზიდან მარცხნივ გავუხვიეთ, ვინრო ხის ხიდი დადავით

მდინარე თერგზე. თერგი ამ ადგილებში არ ბობოქრობს და არ აფრქვევს შემზარავ შხეფებს, მდორედ მომდინარეობს.

შეყვევით აღმართს, ბილიკმა უღრან წინწარ ტყეში შეგვიყვანა, ლევან მასწავლებელმა შესვენება გამოაცხადა — იქვე, მწვანე მდელიზე წავისაუზმეთ, მე გულაღმა გავიშხლართე და ცას შევცქეროდი, მაგრამ ისე იყო დაბურული ტყე, ცა არც კი ჩანდა.

— ხომ არ დაილაღეთ, ბავშვებო?

— არა, მასწავლებლო, — ყველამ ერთხმად შევძახეთ.

შუადღე ახლოვდებოდა.

— აქედან ორ საათში „სასადილო მთაზე“ წავიხემსებთ.

გზას გავუდექით, ბილიკი აღმა-აღმა მიდიოდა, ნინ ლევან მასწავლებელი მიგვიძლოდა, ბოლოსკენ — დირექტორი, ვანო გიორგობიანი გემფარველობდა და თუ ვინმეს შეგვნიშნავდა დაღვას, ლევანს ასძახებდა — ლევან, ცოტა ნელა, სული ამოგვძვრაო, ლევანიც უკლებდა სვლას.

დაბურული ტყე გავლიეთ, გავედით ხვედროვან, მობიბინე მთის კალთებზე, მისი მშვენიერებით ვერ ძღებოდა თვალი. მალე მწვანე ფერდობები ქვა-ლორღმა შეცვალა, აქ ცოტა გაგვიჭირდა სიარული. შეგვატყო მასწავლებელმა და კვლავ მცირე დროით შევისვენეთ.

— ახლა კი სულ ახლოსა ვართ, ბავშვებო, საცაა მივალთ!


დავიწყეთ „სასადილო მთაზე“ ასვლა. მისი კალთები კაუჩუკით მაგარი კლდით იყო შემოფარგლული. — ბავშვებო, მე უკვე ავედი! — ერთიმეორის მიყოლებით ხელს გვაველებს და გვეხმარება ლევან მასწავლებელი. — ვაშა! — დაიძახა ლევანმა, ჩვენც ყიჟინით ავიკელით იქაურობა. შორეთიდან კი ექოდ ჩვენივე მხიარული ხმები გვესმოდა.

„სასადილო მთა“ ზედაპირმოპრიალეზულ, ოვალურ მაგიდას წარმოსახავდა, საიდანაც ხელის გულივით სჩანდა ქ. ორჯონიკიძე (ამჟამად ვლადიკავკაზი — ს.ჯ.) და ძალიან ლამაზი სანახაო იყო.

— აი, ბავშვებო, ხომ ხედავთ, ჩვენ რომ მოვდიოდით, იმ გზას, საქართველოს სამხედრო გზა ჰქვია, თუმცა, საქართველო აქედან არ იწყება — ეს გზა კავკასიის ქედებს შუა მიიკლავება და დარიალის ხეობით ჩვენს დედაქალაქ თბილისში ჩადის. დარიალის ხეობაში პირველი პატარა ქართული სოფელი მოხვევებით დასახლებული ღარსია, — ლევან მასწავლებელმა მე გადმოხმედა და გაიღიმა. — ჩვენი საყვარელი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის გმირები, დარიალის მისადგომებში სწირავდნენ თავს სამშობლოსათვის და საქართველოში არ უშვებდნენ ურჯულეობს“...

ვინ იცის, იქნებ იმ დროს ყაზბეგის გმირების მაგალითზე, ლევან გოთუა, ფარულად, თავის ანწყო თუ სამერმისო ისტორიასაც უამბობდა საყვარელ შეგირდებს. მისი ბიოგრაფიის მცოდნეთ კარგად უწყია, რომ 22 წლის ლევან გოთუა, სოლოვეციკის კუნძულებზე საკონცენტრაციო ბანაკებში გატარებული პირველი პატიმრობის შემდეგ, 1927 წლის აგვისტოში, ვლადიკავკაზში, თავისუფლად გადასახლებაში ითვლებოდა. მას ეკრძალებოდა საქართველოში, დედაქალაქებსა თუ საზღვრისპირა რაიონებში ცხოვრება. ბ-ნი ლევანის მამა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე პარტენ გოთუა კი, ერთ დროს, „კავკაზში“ მუშაობდა, იქ მრავალი ნაცნობი ოჯახი თუ მეგობარი გულებოდა და არჩევანიც ამან განაპირობა, მაგრამ უმთავრესი მიზეზი, მაინც, სამშობლოსთან გეოგრაფიული სიახლოვე იყო.

ლევან გოთუას ვლადიკავკაზში ჩამოსვლისას, ქართველთა სათვისტომოში 10 000 ქართველი ცხოვრობდა. აქვე იყო ქართული სკოლა და ეკლესია, სადაც დიდად გან-



ლევან გოთუა

სწავლული და პატიოსანი მღვდელი, მამა გიორგი ნათაძე წირავდა. სწორედ მისი მეცადინეობით აუჩინეს ლევან გოთუას ბინაც და სამუშაოც. 1927-29 წლებში ძაუგის სკოლის მასწავლებელი თავს არ ზოგავდა ქართული საქმისათვის. ამის შედეგი გახლდათ, რომ 1930-იან წლებში ბევრი ქართული ოჯახი საცხოვრებლად თბილისს გადმოსულა. მუდმივი მეთვალყურეობით განაწამები და აფორიაქებული ახალგაზრდა მასწავლებელი ყოველთვის ნახულობდა სასიცოცხლო ძალებს ეროვნული საქმის სასიკეთოდ:

„...რეგისტრაციაზე ძველებურად დავდივარ, ამას გარდა, ახლა ყოველ თვეში ერთხელ დაკითხვაზე უნდა ვიარო, მათ არ მოსწონთ, მე რომ ქართულ სკოლაში ვარ, მაგრამ არა უშავს რა... აქ სკოლასთან ერთად გვაქვს კლუბი და თეატრი, ხშირ-ხშირად იმართება წარმოდგენები და საღამოები. სამკითხველო მიიღო ბევრი ახალი ქართველი წიგნი. საერთოდ, ქართულ კოლონიას კვლავ გამოცოცხლება ეტყობა, მე რა თქმა უნდა, ვეხმარები მათ რაც შემიძლია“...

უნდა ითქვას, რომ ვლადიკავკაზიდანვე შეუყვარა დიდი ქართველი მოღვაწე გოლგოთის აღმართს, გზის ბოლოს კი „ბედნიერ ტანჯულად“, სამშობლოს უზომო სიყვარულისთვის წამებულ რაინდად იქცა.

ისევ მთამსვლელის დღიურს დავუბრუნდეთ. 1929 წელს მოსწავლე-მასწავლებლის გზები გაიყარა. არჩილ ლუღუშაურმა სწავლა თბილისში განაგრძო. აქ კი ხშირად სტუმრობდა საქართველოს ალპურ კლუბს, პირადად გაიცნო და დაუახლოვდა ქართული ალპინისტური სკოლის შემქმნელს, საქვეყნოდ ცნობილ მთამსვლელს — ალიოშა ჯაფარიძეს და მისი ხელმძღვანელობით მონყოილ რამდენიმე ასვლაშიც მონაწილეობდა.

სანთელ-საკმეველი, მოგვხსენებათ, თავის გზას ყოველთვის იკვლევს, კვლავ მთამ შეყარა ერთად შეგირდი და პედაგოგი. თითქმის ათწლიანი განმორების შემდეგ, სპეტაკ, შურწყენელი სინმინდემი, ბეთლემის საუფლოში ისევ გაგრძელდა „სასადილო მთასთან“ შეწყვეტილი ბილიკი. ცხოვრებისეული საოცრება და მოულოდნელობა კი ის არის, რომ მთათა საბრძანისში მოსწავლე ახლა თავად იქცა მასწავლებლად. უმჯობესია, კვლავ არჩილ ლუღუშაურის მონათხრობს მივადევნოთ თვალთ, ალტაცებული მონაფე-მასწავლებელი ჩვენ 4000 მეტრზე დავტოვოთ: „გზას ერთად გავუდექით, სულ მალე მეტეოსადგურში გავაგრძელებთ საუბარი. ლევან მასწავლებელს უფრო ახლოს ვაცნობ ალიოშას და ჯგუფის წევრებს.

ადრე მოვეწყვეთ დასაძინებლად — დილას ხო გამთენიეს უნდა შევუთითო ყაზბეგს. ღამე მონმენდილია და წყნარი. მწვერვალზე ასვლაც უნდა მოვასწროთ და ყაზბეგში დღის სინათლით დაბრუნებაც. ლევან მასწავლებელი შუამავლად მგზავნის ალიოშა ჯაფარიძესთან, რომ მწვერვალის დალაშქვარში მიიღოს მონაწილეობა. ვთხოვე ალიოშას და ცივი უარით გამომისტუმრა: — მე შენი მიკვირს, არჩილ, — მეუბნება იგი, მართალია სანდომიანი, გულმისაგალი კაცი სჩანს ეს შენი მასწავლებელი, მაგრამ არ ვიცით მისი ხა-

სიათი, მუხლის ძალა და რაც მთავარია, პირველად მთაში. ვერ წავიყვან მწვერვალზე.

მოვასხენე ლევან მასწავლებელს, რომ ალიოშა სასტიკი წინააღმდეგია თქვენი მწვერვალზე წაყვანის-მეთქი.

— უთხარ მაგ ჯაფარიძეს, რომ მუხლიც მიჭრის და ძალაც მერჩის, როგორც მეტი-სადგურამდე ამოვედი მარტო, ისე თქვენ ნაკვალევს გამოვეყვები და მწვერვალზე მაინც ავაღ.

ლამის 4 საათია. ვდგებით და ვემზადებით მწვერვალის დასალაშქრად, ლევან მასწავლებელი უკვე მზადაა.

ისევ ალიოშა ჯაფარიძეს ვთხოვ, ვეხვეწები, წავიყვანოთ ლევანი, თორემ მტკიცე გადაწყვეტილება აქვს, ჩვენს ნაკვალევს გამოვეყვები და რამე რომ დაემართოს, ხომ სირცხვილს ვჭამთ. ალიოშას, რომელმაც გულმოსვლა არ იცოდა და ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება არ სჩვეოდა, ოდნავ წყენით მითხრა:

— ჩაიბი ბანარში შენი მასწავლებელი, თვალი და ყური არ მოაცილო!..

გავუდევით გზას. ჩავიბი მასწავლებელი თოკში და ჩემ წინ გავუშვი, თვალი რომ მედევნებინა მისი მოძრაობისთვის, თან ვუხსნიდი მთაში მოძრაობის წესებს, წერაყინის ხმარებას და სხვა...

მწვერვალის მუდმივ ყინულიან-თოვლიან ფერდობს მივეყვებით სულ მაღლა-მაღლა. „ხევის პატარაძალიც“ უფრო და უფრო ლამაზდება და გვიხსლოვდება. თუ თვით მწვერვალის უმაღლესი წერტილი მოძრავ ღრუბლებშია ხშირად ჩაფლული, ჩვენს ზურგს უკან, თვალის მომჭრელი, ქათქათა თოვლით დაფარული უშველებელი ტაფობია, რომლის ირგვლივ ჯარის სარდლებივით აღმართულან მწვერვალის ორწვერი, ყაზბეგის უმცროსი ძმა, სულ თეთრ ჩოხაში შემოსილი, ცოტა მოშორებით კი უფრო მიუკარებელი, ჯმუხი, მედიდური გამოხედვის, სტუმართმოძულე — გიმიარაი-ხოხი. ლევან მასწავლებელი შედგა, მზერა გადაიტანა ზღაპრულ სანახაობაზე. ალიოშას შევეხმარე, ხუთწუთიანი შესვენება ვთხოვე. ლევანს ესიამოვნა, სახეგაბადრული, განცვიფრებული, თვალთა მზერას არ აშორებდა კავკასიონის ქედის უღამაზეს პანორამას:

— არჩილ, რაზე ჩადგებოდა ალიოშა ჩემს ცოდვაში და ამ ზღაპრული სილამაზის უნახავს გამხდოდა?!

გზა განვაგრძეთ, მივდივართ სულ მაღლა და მაღლა, ცა ინმინდება, ღრუბლები დაბლა ეშვებიან, უნაგირაზე ავდგით ფეხი, ოდნავ დაივაკა. ალიოშამ დაგვასვენა. — ერთიც შევუტით ბიჭებო, — შემოგვძახა და რამდენიმე წუთში თავს მოვექეციით უმაღლეს წერტილს. 5043 მეტრზე ვართ.

— ვაშა, — დაიძახა ალიოშამ და ერთხმად ბიჭებმაც „ვაშა“ დავძახეთ. ვეხვევით, ვკოცნით ერთმანეთს. ლევან მასწავლებელმა ჩამბუჯუნა თავის მძლავრ მკლავებში და დიდხანს არ მიშვებდა. სიზმარში მგონია თავი. საღამოს ყაზბეგში ვართ, ვისვენებთ. დამეს ვათევთ საბრალო გომიაშვილის ოჯახში. არ ისვენებს ლევანი — რალაცას ინერს უბის წიგნაკში, ფიქრობს ხვალ-ინდელ დღეზე. ალიოშამ შეუქო მუხლის სიმძლავრე და ენატყბილი მოუბრობა. ლე-

ვანი ექსპედიციაში ჩაირიცხა.

ერთი დღე დავისვენეთ ყაზბეგში. ვემზადებით ხდის ხეობიდან III ჯგუფის სიძნელის მწვერვალის, შანის (შავანას) დასალაშქრად...

დღიურში გრძელდება შავანაზე ასვლის პერიპეტეების ემოციური თხრობა, მაგრამ ჩვენ აქ ვწყვეტთ, რადგან დინტერესებულ მკითხველს ლევან გოთუას ნარკვევი „ხდედალეული“ შეუძლია მოიძიოს და მწვერვალ შანის დალაშქრის მხატვრულ-დოკუმენტურ ვერსიას უკვე დიდი მწერლის დღიურით გაეცნოს.

ჩვენ მხოლოდ გვსურდა მთამსვლელის აქამდე უცნობი მასალა მოგვეწოდებინა თქვენთვის და გვეჩვენებინა, როგორ გადაიხადა გულთბილი და მოსიყვარულე მასწავლებლის ამაგი მადლიერმა, სწორი და სუფთა ცხოვრებისეული გზით მავალმა მოსწავლემ. ვფიქრობ, არჩილ ლუდუშაურის დღიურმა ქართული კლასიკოსის ნატურა კიდევ ერთი უმშვენიერესი კუთხით წარმოგვიდგინა.

თავის მხრივ, არც ბატონი ლევანი დარჩენია ვალში შეგირდს. მან თავისი უბადლო კალმით ასე უკვდავყო მთასვლის ინსტრუქტორი, მისი გზამკვლევი და თოკის მენეჯერი:

„გნევიარ ლოდზე ცეცხლის პირას, ხან ზეცას შევცქერი, ხან თავაშლილ კოცონს. კარგები გაშლილია. დამეც უჩუმრად ჩამოწვა. ცეცხლზე ჩაიდანა ჩიფჩიფებს. კოცონის ირგვლივ თავმოყრილ მთამსვლელებს რული დასტრიალებს.“

მთაში ცეცხლმა ბარზე უფრო განცხრომის მოგვრა იცის.

— ვინც ქვაზეა, ზღაპარი თქვას!

ეს მე შემეხება. ვიცი ვინცაა — არჩილ ლუდუშაური (მთასვლის ინსტრუქტორი) — ოდესღაც ჩემი მონაფე, ახლა დამენია და მთასვლაში მასწავლებლობასაც გამიწევს... „ალიოშამ თოკი წელზე შეიბა და კერპს შეახოხდა. არჩილი დამცველად დაუდგა და თოკს წელ-წელა უშვებს კლდეზე დახვეულს...“ „თოკ-ჩაბმულნი ჩავყევით ყინვარს. წინ ხან ალიოშაა, ხან არჩილი. ვაჭედებთ ტერფებს. წრიაპებს წერიალი გააქვთ. ვცდილობთ ერთ ნაკვალევში სიარულს“...

აი, მარადიული კითხვის პასუხიც: ზვიადი და „ფარცხალა“ მთების დაღაზვის გარდა, მთამსვლელობა სწორედ „ერთ ნაკვალევში“ ჩამდგარ იმ ადამიანთა ერთობაა, სიფხიზლითა და სიყვარულით რომ უნდა უცქერდეს თანამგზავს, საფრთხის დროს მისი დამცველი თოკი მთელი ძალით მოზიდოს და სიცოცხლე სიკვდილზე აზვიმოს.

კაცობის ამ უმაღლეს „ყველა სხვა მწვერვალზე უმკაცრეს“ მწვერვალს კი დღემდე ღირსეულად ატყვია ლევან გოთუასა და არჩილ ლუდუშაურის მტკიცე ნაფეხურები!..

P.S. მადლობას ვუხდით მთამსვლელ არჩილ ლუდუშაურის შვილიშვილს, ბაბუის სეხნიას და მისი გზის ღირსეულ გამგრძელებელს, უმცროს არჩილ ლუდუშაურს, ნდობისა და მასალის მოწოდებისათვის.

მოამზადა სოფიო ჯაფარიძემ



„ნეტავ ჩემს გამოცემელს ქალაქის მოსვლა შეუბვიანოს ზღვითა თუ ხმელით...“

1962 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ ქართული პროზის შედევრი — გიორგი ლეონიძის „ნატურის ხე“ გამოსცა. მაღალმხატვრულ ნოველებად აკინძული ყრმობის მოგონებანი მწერალმა ძვირფას დედას მიუძღვნა. წიგნის დასაწყისში ბატონი გიორგი წერს:

„ზელქარად მომიხდა ამ წიგნის წერა, სულ რამდენიმე თვეში! ღოლოს უთქვამს: ნეტავი ჩემს პატრონს ათი წლის უნახავი ძმა მოუვიდეს, რომ ცოტა კიდევ ვიხაროო!“

მე ვინატრებდი: ნეტავ ჩემს გამომცემელს ქალაქის მოსვლამ შეუბვიანოს ზღვითა თუ ხმელით, რომ ნება-ნება, მყუდროებითა და სიტკბოებით ვწერო; რათა ჩემი სიტყვა გავფურჩხო, გავჩარხო, გავაკამკამო და ისე წარვდგე მკითხველის წინაშე, გულითა წრფელითა და სიტყვითა ნათელითა!“

რატომ ნატრობდა მწერალი გამომცემლისთვის ქალაქის დაგვიანებას და როგორ შეიქმნა მისი „ნატურის ხე“, ამ ამბავს იხსენებს თავის მოგონებებში არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენგან ნასული შესანიშნავი მთარგმნელი და ლიტერატორი, ქართული საგამომცემლო საქმის ამაგდარი, ქალბატონი ნონა კალანდარიშვილი. იგი რამდენიმე ათეული წელი გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარი რედაქტორი იყო. გარდაცვალებამდე ორიოდე წლით ადრე მან დანერა მოგონებანი — „წლები და ადამიანები“.

ქალბატონი ნონას ჩანანერები გამომცემლობის ისტორიას და თანამშრომლებს, იქ გატარებული წლებს ეძღვნება. მოგონებათა ფურცლებზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ცნობილ ქართველ მწერლებსაც, ვისაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ გამომცემლობა „ნაკადულთან“ — ვახტანგ ჭელიძეს, არჩილ სულაკაურს, რევაზ ინანიშვილს, გიორგი ლეონიძეს, გიორგი შატბერაშვილს და ბევრ სხვას.

გვინდა, მკითხველს შევთავაზოთ აღნიშნული მოგონებების ხელნაწერიდან ის ფრაგმენტი, რომელიც გიორგი ლეონიძეს და მისი დიდებული „ნატურის ხის“ შექმნას ეძღვნება. ეს საყურადღებო ისტორია ლიტერატურულ წრეებსა და გიორგი ლეონიძის ბიოგრაფებისა და შემოქმედების მკვლევართათვის კარგადაა ცნობილი. ვფიქრობ, მწერლის თანამედროვესა და ამ ამბის უშუალო მომხსნის ქალბატონ ნონას ჩანანერებში დაფიქსირებული ლიტერატურული ფაქტი ასევე დაინტერესებს ლიტერატურის მოყვარულ მკითხველთაც.

„ამბავი წელს (ლაპარაკია 1961 წელზე — მ.ც.) დაარსდა სერიები „გამორჩენილ ადამიანთა ცხოვრება“, „ნორჩი თაობის მოამაგენი“ „თანამედროვე ქართული პოეზიის ბიბლიოთეკა“. ამ სერიის პირველ წიგნად გამოვიდა გალაკტიონის „ასი ლექსი“, შემდეგ მას მოჰყვა გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მირცხულავას, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ალექსანდრე გომიაშვილის, ვიქტორ გაბესკირიას და სხვათა ლექსები.“

ცალკეულ გამოცემათაგან აღსანიშნავია მაყვალა მრეველიშვილის საბავშვო ლექსები, დასურათებული შალვა ცხადაძის მიერ, ანდერსენის „გედების“ თედო სახოკიასეული თარგმანი, კრებული „იზარდე, მწვანე ჯეჯილო“, მიხეილ შოლოხოვის „გატყეხილი ყამირი“ და „ბედი კაცისა“.

მოძლიერებულ გამომცემლობას შესაძლებლობა მიეცა ცნობილ ავტორთათვის წიგნები დაეკვეთა. იმ დროის საუკეთესო გამომცემბად მიმაჩნია აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული ნარწერები“ და გიორგი ლეონიძის „ნატურის ხე“.

ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდები გიორგი ლეონიძის „ნატურის ხის“ შექმნის ისტორიაზე.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „თანამედროვე ქართული პოეზიის ბიბლიოთეკის“ სერიის პირველ წიგნად გალაკტიონის „ასი ლექსი“ გამოვიდა. მცირე შესავალი წერილი ამ გამოცემისათვის თვით ავტორებს უნდა დაენერათ. ჯერი გიორგი ლეონიძის ლექსების გამოცემაზე მიდგა და დირექტორის დავალებით მე და ქეთევან ქუჩუკაშვილმა (მე მთავარი რედაქტორი ვახლდით, ქეთო — ლექსების რედაქტორი) ბატონ გოგლას ვთხოვეთ, თვითონვე დაენერა ამ წიგნისთვის წინასიტყვაობა. მას უარი არ უთქვამს, შესდგომია წერას, მაგრამ ისე გაუტაცნია თავისი ბავშვობის მოგონებებს, რომ რამდენიმე თვე წერდა იმ მშვენიერ ნოველებს და სულ გადავიწყებია ჩვენი სათხოვარი. როცა შევახსენებდით, გვპასუხობდა: „დამაცა, ქალო, დამაცა, ვწერო“. ამ წიგნის წინასიტყვაობაში წერს კიდევ: „ნეტავ ჩემს შემკვეთს ათი წლის უნახავი ძმა მოუვიდეს, ან ზღვით ან ხმელით, ქალაქად დაუგვიანოს, რომ ნება-ნება ვწეროო“. რომ გავიგეთ დავგვიანების მიზეზი, მეტი აღარ შეგვიწუხებია ბატონი გიორგი, მის ლექსებს წინასიტყვაობა ჩვენვე დაუწერეთ და დაველოდეთ მის მოსვლას.

1961 წლის გვიანი შემოდგომა იყო. ერთ დღეს დაგვირეკა, ეს წიგნი თქვენ დამანერინეთ და პირველად თქვენ უნდა წავი-



კითხოთო. დიდხანს გვალოდინა, საღამო ხანს მოვიდა ამაყი, ზვიადი, ლამაზი, ცისფერი თვალები კეთილად უცინოდა.

მთელი გამომცემლობა და რამდენიმე ავტორიც მოუთმენლად ველოდით. ბატონი ხუტას (ხუტა ბერულავა გამომცემლობის დირექტორი იყო 1958-1965 წლებში — მ.ც.) კაბინეტი ველარ იტყვდა მსურველებს და მაშინდელმა პოლიგრაფიისა და გამომცემლობის სამმართველოს უფროსმა ბატონმა ბორის ნანსიტაშვილმა მიგვიწვია თავის კაბინეტში.

კითხულობდა ბატონი გოგლა თავისი ბუხუნა ხმით, დროდადრო შეისვენებდა, სულს მოითქვამდა.

რომ დავიშალეთ, თენდებოდა, ქალაქი უკვე იღვიძებდა. აღარავის ახსოვდა, თუ სახლში ვინმე ელოდებოდა. დედაჩემს როგორღაც კი შევატყობინე, მაგრამ ის ღამე ქუჩაში გაეთენებინა.

ბატონი კონსტანტინეს (იგულისხმება კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გამომცემლობის დირექტორი 1965-1973 წლებში — მ.ც.) დროს იშვიათად მოდიოდა ხოლმე გამომცემლობაში გიორგი ლეონიძე.

ერთ დღეს მობრძანდა, დირექტორი არ დაუხვდა და ჩემთან შემოვიდა. მითხრა: „ქალო, ფიროსმანზე პოემა მაქვს, მინდა დაგვებჭდო, თუ დამიბეჭდავთო“. რაღა თქმა უნდა, შესპირდი ისე, რომ ბატონ კონსტანტინეს პასუხს არ დავლოდებოვარ, დაგირეკავთ-მეთქი. ეს იყო მისი უკანასკნელი მოსვლა გამომცემლობაში. უკანასკნელად ენახე ბატონი გიორგი. გარეგნულად არაფერი ეტყობოდა. რა ვიცოდი მაშინ, თუ მისი დღეები დათვლილი იყო“.

მოამზადა მაია ცერცვაძემ

მწერლები იცინიან

„ის, რაც სასაცილოა, არ შეიძლება საშიში იყოს“.

ვოლტერი

* * *

ერთ მექალთანე პოეტს ჰაინემ აუწყა:
— დღეს ერთი ქალბატონი მესტუმრა,
ერთადერთი ქალბატონი, რომელსაც
თქვენ არ იცნობთ.
— რომელი?
— მუზა!



* * *

გერმანიაში მოგზაურობისას ერთ-ერთ
გაზეთში ჰაინემ ამოიკითხა ცნობა მისი
გარდაცვალების შესახებ.
— ყველაზე მეტად იმან გამაბრაზა,
რომ რედაქტორმა ეს ინფორმაცია გაზე-
თის პირველ გვერდზე არ დაბეჭდა, — გა-
ნაცხადა აღშფოთებულმა პოეტმა.

* * *

ბანკირი როტშილდი რომ გარდაიცვ-
ალა, ჰაინემ იხუმრა:
— ეტყობა, დაესიზმრა, თითქოს
ლატაკებს ასე ფრანკი დაურია და ამის
ჯავრმა გადაიყოლაო.

* * *

ახალგაზრდა მწერალმა კონან დოილს
საკუთარი დეტექტიური რომანი მიუტანა
შესაფასებლად. ცოტახნის შემდეგ ავ-
ტორს ხელნაწერი დაუბრუნდა ასეთი მი-
ნაწერი: „მშვენიერი ნიგნია! ავტორი ისე
ღრმად შეიჭრა დამნაშავეს როლში, რომ
თვითონაც სხვისი სიუჟეტის მითვისების
უდიდესი ნიჭი გამოამჟღავნა“.

* * *

ხანდაზმულ ბერნარდ შოუს ერთმა
ქალბატონმა ჰკითხა:
— ბოდიშს გიხდით ზედმეტი ცნობის-
მოყვარეობისათვის, ბატონო შოუ, მაგრამ
მაინტერესებს რამდენი წლისა ბრძანდებ-
ით?
— ეს დამოკიდებულია თქვენს გან-
ზრახვაზე, — უპასუხა მწერალმა.

* * *

ავადმყოფ შოუს მეგობარი ესტუმრა.
მასპინძელი ინვა და წერდა.
— როგორ წერთ მწოლიარე? —
გაუკვირდა სტუმარს.
— რა ვქნა, კარგად რომ გავხდები და
წამოვდგები, წერისთვის დრო არ დამრ-
ჩება.

* * *

ცხარე კამათის დროს ერთმა ახალ-
გაზრდა პოეტმა წამოიძახა:
— მე თავს დავდებ, რომ...
— უკაცრავად, — შეაწყვეტინა შოუმ, —
ჩვენ მხოლოდ ძვირფას ნივთებს ვღებუ-
ლობთ.

* * *

ერთხელ შოუს აცნობეს, რომ დეტექ-
ტიური რომანების ავტორი ედგარ უოლე-
სი მხოლოდ მაშინ წერს, როცა ეწვევა.
— ეჰ, რომ შეიძლებოდა წევას გადა-
ვარჩიოთ! — ამოიხრა შოუმ.

* * *

საათების გამოფენის დათვლიერების
შემდეგ შოუს ჰკითხეს, როგორი შთაბეჭდ-
ილება მოახდინეს მასზე ექსპონატებმა.
— სამწუხაროდ, ვერაფერს ვერ
რეგ ვერ ვხედავ. თანამედროვე საათები
იმავე სიჩქარით მუშაობენ, როგორც ჩემი
სიყმაწვილის დროინდელი ქრონომეტრე-
ბი მუშაობდნენ.

* * *

ავადმყოფ შოუსთან ექიმი მოინვიეს:
— სამწუხაროდ, მე სასწაულმოქმედი
არა ვარ და ვერ გააახალგაზრდავებთ, —
გულწრფელად განუცხადა ექიმმა.
— მე გააახალგაზრდავებას არც ვა-
პირებ, მე მხოლოდ ის მინდა, რომ არ
დავბერდე, — უპასუხა მწერალმა.

* * *

ერთ წვეულებაზე ერთმა სტუმარმა
შოუს ჰკითხა:
— თქვენა ხართ ის სახელგანთქმული
იუმორისტი? მართალია, რომ მამათქვენი
თერძი იყო?
— დიახ.
— მაშინ თქვენც რატომ არ აირჩიეთ
მამის ხელობა?
— ძნელი სათქმელია. ალბათ ბედისწ-
ერის ბრალია, ანდა უბრალო ახირებაა. აი,
მაგალითად, მამათქვენი, თუ არ ვცდები,
ჯენტილმენი ბრძანდებოდა, არა?
— რა თქმა უნდა.
— მაშინ თქვენ რატომ არ დაემს-
გავსეთ მამათქვენს?!

* * *

შოუ თეატრს ეწვია და პირველი მო-
ქმედების შემდეგ სახლში წამოვიდა, რად-
გან არ სურდა დრო ამოდ დაეკარგა. მე-
ორე დღეს თეატრის დირექტორისაგან
გამოგზავნილი კონვერტი მიიღო. კონ-
ვერტში შვიდი შილინგი და წერილი იდო:
„ღრმად პატივცემული ბერნარდ, ძალიან
ვწუხვარ, რომ ბოლომდე არ დაესწართ
სპექტაკლს. გიბრუნებთ მეორე მოქმედე-
ბის თანხას“.



* * *

— ტაში გახლავთ მავნე ჩვევა, რომელ-
იც თეატრის მყიდველებს არღვევს, — ამ-
ბობდა შოუ, — ზოგიერთები ბუნებრივად
ამჟღავნებენ თავიანთ კეთილ ნებას ისე,
რომ არაფერი ეხარჯებათ. დანარჩენები
კი სხვებს ბაძავენ. მე, რაკი ბილეთი ვიყ-
იდე, ამით შევაფასე და დავაფასე არ-
ტისტების შემოქმედება და ამიტომ ტაშს
ალარ ვუკრავ.

* * *

შოუს თეატრში დააგვიანდა და სთხ-
ოვეს, ჩუმად მისულიყო თავის ლოჟასთან.
— როგორ, მაყურებლებს უკვე სძი-
ნავთ? — იკითხა შოუმ.

* * *

ახალგაზრდა შოუ გამოცდას აბარებ-
და. პროფესორმა ველარ აიტანა მისი ხან-
გრძლივი დუმილი და გაბრაზდა:
— იცით, ყმანვილო, გამოცდა იგივე
თეატრია. თქვენ მსახიობი ბრძანდებით და
მე — მაყურებელი.
— გეთანხმებით, ბატონო პროფესო-
რო, — დაუდასტურა შოუმ, — თუ შეიძლება
ჩემი თანაკურსელი ჯიმი მომიყვანეთ.
— ჯიმის აქ რა უნდა?
— სუფლიორი მჭირდება!

* * *

ერთმა მწერალმა შოუ საკუთარი კო-
მედიის პრემიერაზე დაპატიჟა. როდესაც
ავტორი და შოუ ერთად მივიდნენ თეატრ-
ში, კონტროლიორმა შოუ არ გაატარა.
საქმეში ადმინისტრაცია ჩაერია და შოუ
შეუშვეს.
სტუმარმა ყურადღებით მოისმინა
მთელი კომედია, მაგრამ არავითარი აზრი
არ გამოუთქვამს. როდესაც ფარდა დაეშ-
ვა, გამოვიდა დარბაზიდან, მონახა კონ-
ტროლიორი, რომელიც არ უშვებდა და
გადასცა ერთი ფუნტი სტერლინგი:
— ბოდიშს გიხდით! ახლა დავრწმუნ-
დი, რომ თქვენ ჩემდამი სავსებით სა-
მართლიანი განზრახვა გამოძრავებდათ.

* * *

შოუს ძალიან მსუქანი ჯენტლმენი შეხ-
ვდა და, გამხდარი მწერალი რომ დაინახა,
უთხრა:
— ვინც თქვენ შეგხედავთ, ეგონება,
რომ მთელი ინგლისი შიმშილობს.
— ვინც თქვენ შეგხედავთ, ის კი იფ-
იქრებს, რომ ამ შიმშილის მიზეზი თქვენ
ბრძანდებით.

* * *

შოუ რეჟისორებს პიესის ტექსტის
შეცვლაზე და შემოკლებაზე არასოდეს
ეთანხმებოდა. ლონდონის ერთ-ერთმა
თეატრმა შოუს კომედია დადგა. გენერ-
ალური რეპეტიციის შემდეგ თეატრის
დირექტორმა ავტორს დეპეშა გაუგზავ-
ნა: „ნება გვიბოძეთ, შევამოკლოთ პიესა,
წინააღმდეგ შემთხვევაში პროვინციული
ქალაქებიდან ჩამოსულ მაყურებლებს
უკანასკნელ მატარებელზე აგვიანდებთ“.
„შემოკლებას გიკრძალავთ: შეცვალეთ
მატარებლების განრიგი“, — იტყობინებო-
და საპასუხო ტელეგრამა.

* * *

როგორც ცნობილია, შოუმ თავის
დროზე უარი თქვა ნობელის პრემიაზე.
როცა მიზეზი ჰკითხეს, უპასუხა:
— ნობელის პრემია გახლავთ მაშვე-
ლი რგოლი, რომელსაც გადაუგდებენ
ხოლმე დასახრჩობად განწირულს იმ მო-
მენტში, როდესაც მან უკვე მიაღწია ნა-
პირს.

* * *

ერთ საქველმოქმედო საღამოზე შოუმ
საცეკვაოდ გამოიწვია ქალბატონი,
რომელმაც აღტაცება ვერ დამალა:
— როგორი თავაზიანი ბრძანდებით,


ბატონო ბერნარდ, ჩემისთანა უმნიშვნელო
პიროვნებას რომ ეცეკვებით!
— მომიტევეთ, ქალბატონო! — გაელი-
მა შოუს, — ეს ხომ საქველმოქმედო საღა-
მოა?!

* * *

ერთმა ავტორმა შოუს უსაყვედურა,
ჩემი პიესის კითხვის დროს ჩაგეძინათო.
— ძილიც კრიტიკის ერთ-ერთი ფორ-
მაა, — უპასუხა შოუმ.

* * *

გასეირნებისას შოუს ველოსიპედი
დაეჯახა. საბედნიეროდ, ორივემ მხოლოდ
მცირედი დაჟეჟილობა მიიღო და შეშინ-
და. როდესაც შენუხებულმა და დარცხვენ-
ნილმა დამნაშავემ ბოდიში მოუხადა, მხ-
ცოვანმა დრამატურგმა იგი შეაჩერა:
— არ გაგიმართლათ. ცოტა მეტი ენ-
ერგიულობა რომ გამოგეჩინათ, უკვდავ-
ებას მოიპოვებდით, რაკი ჩემი მკვლეელი
აღმოჩნდებოდით.



* * *

ნიგნისმოყვარელებზე საუბრისას ალ-
ფონს დოდემ განაცხადა:
— ზოგიერთ კერძო ბიბლიოთეკას,
როგორც წამლის შუშას, ასეთი იარაღი
უნდა მიაკრა: „მხოლოდ გარეგანი მოხ-
მარებისათვის“.

* * *

— როგორაა საქმე? — იკითხა ოსკარ
უაილდმა, როდესაც თავისი ერთი პიესის
დასრულების შემდეგ თეატრში მივიდა.
— შესანიშნავად, სპექტაკლმა დიდი
წარმატებით ჩაიარა, ოღონდ, სამწუხ-
აროდ, მაყურებლებმა შეირცხვინეს თა-
ვი.

* * *

ერთ-ერთ მიღებაზე მარკ ტვენი ერთ
ქალბატონს ესაუბრებოდა, კარგ ხასიათ-
ზე ბრძანდებოდა და თანამოსაუბრეს მი-
მართა:
— ნამდვილად მომაჯადოებელი ბრ-
ძანდებით.

კეკლუცმა ქალბატონმა უპასუხა:
— სამწუხაროდ, არ შემიძლია მსგავსი
კომლიმპენტი გადაგიხადოთ მადლობა.
მწერალს გაეცინა:
— ჩემსავით მოიქეცით: მომატყუეთ!

* * *

ტალეირანი მწერალ ქალს ანა სტალს
ეარშიებოდა და იმავე დროს ერთ ქალ-
ბატონთან გააბა რომანი. ანა სტალმა გა-
დანყვიტა, გამოეცადა ტალეირანი და
ჰკითხა:
— მაინტერესებს, ორივე რომ ვიხრჩო-
ბოდეთ, რომელ მათგანს გადაგვარჩენ-
დით?
— დარწმუნებული ვარ, თქვენ შესანი-
შნავად ცურავთ, — თავი დაიძვინა ტა-
ლეირანმა.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი
გამოვა 2 სექტემბერს

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტიკა ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ყურული

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com